საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა


# ლელო

№015
(12 085)

20 იანვარი შაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი


● ფეხბურთი



19-წლამდელთა ნაკრები

**ტოპმიოლერს ხუთეული გამოაკლდა** 2

**დინამო ანთალიიდან მოგებული ბრუნდება**

ზელიჩი გერმანიაში წავიდა 2

**რატომ ჩაიშალა სიონის ვარჯიში?**

თანამეგობრობის თასი. უვარჯიშებელი სიონი დღეს კაუნასს შეერკინება 2

**ჩიხურა იშლება?**

მეორე წრის წინ 2

მეტოქე. შოტლანდია

**ფერგიუსონი: დაიჭირეთ მაკლიში!** 4

● ჭიდაობა

**ანტიკოსთა პირველი ოთხეული**

საქართველოს ჩემპიონატი. ბათუმი ნოზაძის მოლოდინში 13

ჩვენი პარტნიორია
CDN კავკასიის ციფრული ქსელი CAUCASUS DIGITAL NETWORK

# ტრანსფერი საკვირველი

## გოგუა ჰართსში ითამაშებს



**გოგიტა გოგუა**

უბედნიერესი კაცი ვარ. როგორც იქნა, ჩერვიჩენკო დაგვითანხმე და ტრანსფერის საქმე გადაწყვეტილია. არ ვიცი, რატომ მიშლიდა ხელს...

**ჰართსის მწვრთნელი ვალდას ივანაუსკასი**

გულწრფელად გეტყვით, გოგუათი ყოველთვის განსაკუთრებულად ვინტერესდებოდი. ამ ტიპის ფეხბურთელები ძალიან მომწონს. ბედნიერი ვარ, რომ მისი აყვანის საშუალება მოგვეცა... 3

# გამარჯვებულის გასამართლება

კობა ხატისაშვილი

საქართველოს ხელბურთელთა ნაკრებმა, როგორც იქნა, პირველი გამარჯვება იზეიმა ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე: - აქამდე ჩვენსავით უქულოდ მყოფ ბულგარეთთან - 22:21. ხვალ გაბროვოში საპასუხო მატჩია.

გამარჯვებულებს, როგორც წესი, არ ასამართლებენ, მაგრამ... გუშინ საქართველოს ნაკრებმა იმაზე გაცილებით უარესად ითამაშა, ვიდრე წინა ორ საშინაო მატჩში. მადლობა ღმერთს, ბულგარელებიც კარგი ბედოვლათები აღმოჩნდნენ და ჩვენი ნაკრების კარს ისეთი უმაღლესი კლასის მეკარე იცავს, როგორიც **შოთა თევზაძეა**, თორემ ალბათ კიდევ ერთ მოსაგებ თამაშს წავაგებდით. ვიმედოვნებთ, საქართველოს ნაკრების გუშინდელი უამრავი შეცდომა გადაღლილობის ბრალი იყო, თორემ ასეთი გარჯით ბულგარეთში მარცხი და ბოლო ადგილი არ აგვცდება... 11



გუშინ სპორტის სასახლეში. საქართველო-ბულგარეთი 22:21. აკაკი ტალახაძის გადამწყვეტი გოლი

ნუგზარ სუარიძის ფოტო

გახსენი... ყაზბეგი
www.kazbegi.com
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

19-წლამდელთა ნაკრები

# ტოპმიოლერს ხუთეული გამოაკლდა

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები დღეიდან თურქეთში იწყებს მოსამზადებელ შეკრებას. გუშინ ვწერდით, წელის ტკივილის გამო **ჰაინც ტოპმიოლერის** გუნდს "ზესტაფონის" ნახევარმცველი **გიორგი განუგრავა**, რომ გამოაკლდა და მის ნაცვლად გუნდს "ზესტაფონისვე" ფორვარდი **დავით ჯანელიძე** დაემატა. ჭაბუკთა გუნდში გუშინ კიდევ რამდენიმე ცვლილება მოხდა. თბილისიდან გამგზავრების წინ საბოლოოდ გაირკვა, რომ ნაკრები "ამერის" 5 ფეხბურთელის გარეშე დარჩა. მცველების **დავით მჭედლიშვილის, ზურაბ გვაძაბიას, გიორგი ელბაქიძის,** ნახევარმცველ **გიორგი ნიკოლაიშვილისა** და ფორვარდ **რატი წინამძღვრიშვილის** ნაცვლად გუნდს, 4 ფეხბურთელი "ზესტაფონის" მცველი **ირაკლი შარანგია,** ნახევარმცველი **ნიკო კვასხვაძე,** "ჩიხურის" ნახევარმცველი **გიორგი სალარიძე** და "ვიტ ჯორჯიის" ნახევარმცველი **რევაზ წულაძე** დაემატნენ. ამერელები კლუბის ხელმძღვანელობამ არ გაუშვა.

*"22 და 24 იანვარი ფიფას მიერ ამხანაგური მატჩების გასამართად გამოყოფილ თარიღთა ნუსხაში არაა. ასე რომ, 19-წლამდელთა ნაკრებში ფეხბურთელთა გამოშვება მხოლოდ კლუბების კეთილ ნებაზე იყო დამოკიდებული. ფეხბურთის ფედერაციისა და "ამერის" ხელმძღვანელობის საუბრის შედეგად გადაწყდა, რომ ეს 5 ფეხბურთელი ამ ეტაპზე ნაკრებს ვერ დაეხმარება. "ამერი" სეზონის მეორე ნახევრისთვის ემზადება. კლუბის ხელმძღვანელობამ ჩათვალა, რომ ჭაბუკთა ნაკრებში გამოძახებული ეს 5 მოთამაშე მგზავრობით გადაიღლებოდა და მიზანშეწონილად ჩათვალა, ამ ეტაპზე, ფეხბურთელები გუნდთან ერთად მომზადებულიყვნენ. მათ ნაცვლად გუნდს 4 ფეხბურთელი დავამატეთ და შეკრებას 19 მოთამაშით გავივლით"*, - გვითხრა ნაკრები გუნდების მენეჯერმა **თამაზ ბოკერიამ.**

ცვლილებათა შემდეგ, ჰაინც ტოპმიოლერის გუნდის შემადგენლობა ასე გამოიყურება:

**მეკარეები:** რევაზ თევდორაძე (დილა), რონ კვასხვაძე (ზესტაფონი).

**მცველები:** გულვერდ თომაშვილი (დინამო), ვახტანგ ქვრივიშვილი, ლაშა თოთაძე (ორივე გაგრა), ამირან სანაია (ზესტაფონი).

**ნახევარმცველები:** ალექსი ბენაშვილი, მირზა ბჟალავა, მურთაზ დაუშვილი, გიორგი ხიდეშელი (ყველა ზესტაფონი), ლევან ყენია (ლოკომოტივი), დავით თარგამაძე (დინამო), ნიკო კვასხვაძე (ზესტაფონი), გიორგი სალარიძე (ჩიხურა), რევაზ წულაძე (ვიტ ჯორჯია).

**თავდამსხმელები:** ლევან მჭედლიძე (ემპოლი), ბექა გოცირიძე, დავით ჯანელიძე (ორივე ზესტაფონი).


ჰაინც ტოპმიოლერი

დაბოლოს, გუნდს თურქეთში შეუერთდება ჰაინც ტოპმიოლერი და ნაკრები გუნდების მწვრთნელ-დამკვირვებელი **პეტარ სეგრტი**. ასევე ჭაბუკთა ნაკრებს ტრაბზონში დახვდება თბილისის "დინამოს" მცველი **გულვერდ თომაშვილი**. ჩვენი გუნდი, ორშაბათს, 22 იანვარს ამხანაგურ მატჩში "ტრაბზონსფორის" ახალგაზრდულ გუნდს დაუპირისპირდება, ოთხშაბათს, 24-ში კი "არაკლისფორთან" მოსინჯავს ძალებს.

**დავით ცაბაძე**

მეორე წრის წინ. ჩიხურა

# საჩხერეს ფეხბურთელები შემოეფანტა

საჩხერის "ჩიხურა" მეორე წრის დაწყებამდე სერიოზულად ძლიერდებოდა. წინასწარი მოლაპარაკებები, საკმაოდ გამოცდილ და მაღალი კლასის ფეხბურთელებთან, წარმატებითაც დასრულდა.

სია მართლაც სოლიდური იყო: ბოლნისის "სიონის" მეკარე **ზურაბ ბათიაშვილი,** მცველები **ლაშა ჭელიძე, დათო ჭიჭვეიშვილი,** დინამოელი ნახევარმცველი **შოთა ბათუნაშვილი,** რუსთავის "ოლიმპის" მცველი **ბესო მიქიაშვილი** და თავდამსხმელი **ირაკლი სირბილაძე**. ამ ბიჭებით სამეულისთვის ბრძოლაც კი შეიძლებოდა, არათუ უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება.

ეს საკითხი გადაწყვეტილიც გვეგონა, თუმცა, როცა გუნდებმა მეორე წრისთვის მომზადება დაიწყეს, მათ შორის არ ყოფილა "ჩიხურა".

როგორც შევიტყვეთ, საჩხერის "ჩიხურას" საკმაოდ სერიოზული ფინანსური პრობლემები შეექმნა, შეკრების მოსაწყობ და ფეხბურთელთა შესასყიდ თანხას ვინ ჩივის, გუნდის მომავალიც საკითხავი გახდა.

ჩვენი ინფორმაციით, გუნდის სპონსორები პირველ წრეში გაცილებით უკეთეს შედეგს ელოდნენ. მათ საკმაო თანხა დახარჯეს მას შემდეგ, რაც უმაღლესი ლიგის საგზური მოიპოვეს. მწვრთნელად "სიონში" ნამუშევარი **ხვიჩა ქასრაშვილი** დანიშნეს და იფიქრეს, რომ გუნდი სამეულისთვის იბრძოლებდა. მართალია, "ჩიხურამ" თასის საგაზაფხულო ეტაპამდე მიაღწია, მაგრამ ჩემპიონატის პირველ ნახევარში თოთხმეტ გუნდს შორის, მხოლოდ მეთერთმეტე ადგილს დასჯერდა.

გუნდის დამფინანსებლებს იმედები გაუცრუვდათ და ახლა ფიქრობენ, შეინახონ თუ არა გუნდი. ამბავი გავრცელდა, შესაძლოა, "ჩიხურას" დაფინანსება საკუთარ თავზე საჩხერის გამგეობამ აიღოსო, არც იმას გამორიცხავენ, რომ გუნდმა უმაღლეს ლიგაში გამოსვლაზე უარი თქვასო და ა.შ.

ჭორ-მართალში გასარკვევად საჩხერელთა ერთ-ერთ ხელმძღვანელს, გუნდის უფროს **ბადრი ბრეგვაძეს** ვთხოვეთ კომენტარი.

**- "ჩიხურას" დღემდე შეკრება არ დაუწყია და იქნებ გვითხრათ, რა ხდება გუნდში?**

- რა გითხრათ, ჯერ ბევრი რამაა გაურკვეველი. ამის გამო, ჯერ მოლაპარაკებასაც ვერ ვიწყებთ და ვერც ფეხბურთელთა დამატებას ვახერხებთ. იმის თქმაც გამიჭირდება, მომზადებას როდის დავიწყებთ.

**- რაღა დაგიმალოთ და ბევრისგან შევიტყვეთ, თითქოს "ჩიხურას" აღარ აფინანსებენ და უმაღლეს ლიგაში ადგილის გაყიდვას აპირებენო. ეს დასაჯერებელია?**

- არა, ადგილს არ ვყიდით. ჩემამდე მსგავს ინფორმაციას არ მოუღწევია. თუმცა რა მოხდება ხვალ, ეს ჩვენც არ ვიცით.

**- მართალია, რომ "ჩიხურა" მხოლოდ საჩხერის გამგეობის იმედად დარჩა?**

- ჩემამდე არც ასეთ ინფორმაციას მოუღწევია. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ რამდენიმე მოთამაშის დამატება გვსურდა, მაგრამ "ჩიხურას" დაფინანსების საკითხი გაურკვეველია და ამის გამო, საჭირო მოთამაშეების გადმოსვლა ველარ მოხერხდა.

**- ვის იმატებდით?**

- ძალიან გვსურდა ბათიაშვილის, ლაშა ჭელიძის, ჭიჭვეიშვილის, კობაურის, ბაბუნაშვილის, სირბილაძის, მიქიაშვილის დამატება. მაგრამ ახლა ეს ალბათ ველარ მოხერხდება.

**მერაბ მამულაშვილი**

მეორე წრის წინ. დინამო

# დინამო თბილისში, ზელიჩი გერმანიაში

| დინამო-ხარკოვი | 2:1 |
| --- | --- |

1:0 გიგაური (73. დილმელაშვილის პასით), 2:0 გიგაური (82. იაშვილის პასით), 2:1 გლადკი (88).

**დინამო:** ლორია, შ. კაშია, ზელიჩი, თომაშვილი, აკობია, ჯანაშია, ხმალაძე, დილმელაშვილი, კობახიძე, მერებაშვილი, დვალი.

**მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ:** ნოზაძე, გ. კაშია, ხუციშვილი, იაშვილი, გიგაური, ჩირიკაშვილი, კაკალაძე.

ანთალიაში მყოფმა თბილისის "დინამომ" თურქეთში პირველი მოსამზადებელი შეკრება დაამთავრა. დასკვნით ამხანაგურ მატჩში **დუშან უგრინის** გუნდმა უკრაინის უმაღლესი ლიგის წარმომადგენელი "ხარკოვი" დაამარცხა. თავიდანვე ცნობილი იყო, რომ მიკროტრავმების გამო ხარკოველთა წინააღმდეგ მეკარე **სოსო გრიშიკაშვილი** და ნახევარმცველი **დავით ოდიკაძე** ვერ ითამაშებდნენ. მათ გარდა გუნდს კიდევ **გუგავა** და **ნერგაძეც** გამოაკლდნენ. როგორც ირკვევა ოდიკაძეს, რომელიც გუშინწინ ვარჯიშზე დაშავდა, გამოსაჯანმრთელებლად დაახლოებით ერთი კვირა დასჭირდება. გუგავასა და გრიშიკაშვილს მიკროტრავმები აწუხებთ, ნერგაძეს კი სიცხე ჰქონდა. მიკროტრავმების გამო, საეჭვო იყო **სანდრო იაშვილისა** და **დავით დილმელაშვილის** მოედანზე გასვლაც, მაგრამ გუშინ ორივემ შეძლო თამაში.

დანაკლისის მიუხედავად დინამოელებმა მოგება შეძლეს. გამარჯვებაში კი ლომის წვლილი მცველ **დავით გიგაურს** მიუძღვის, რომელმაც მხოლოდ მეორე ტაიმში ითამაშა.

"დინამოს" პრესატაშე **გიგა გვენცაძის** ცნობით, პირველი ტაიმი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. ხიფათი ორივე გუნდის კართან შეიქმნა. შესაბამისად, თბილისელთა მეკარე **გიორგი ლორიასაც** არაერთხელ მოუწია თამაშში ჩართვა და გუნდის გადარჩენა.

მეორე ტაიმის საწყისი 10-15 წუთი თანაბარ ბრძოლაში მიილია. დასკვნითი 30 წუთის განმავლობაში კი მოედანზე ვითარებას სრულად "დინამო" აკონტროლებდა. უგრინის ბიჭებმა ამ უპირატესობის რეალიზებაც შეძლეს. აღსანიშნავია ისიც, რომ მატჩის სამივე გოლი კუთხურს მოჰყვა. პირველად დილმელაშვილის მიერ მოწოდებული ბურთი თავდასხმაში თანაგუნდელთა დასახმარებლად ჩასულმა გიგაურმა თავით კარში გადაგზავნა. თბილისელები მინიმალურ ფორას არ დასჯერდნენ, მეტოქეზე დაწოლა გააგრძელეს და ანგარიშის გაზრდაც შეძლეს. **ჩირიკაშვილის** მიერ მოწოდებული კუთხურისას იაშვილმა საჰაერო ბრძოლა მოიგო, ბურთი გიგაურს მიუვიდა და 2:0. მატჩის მიწურულს კი უკვე "დინამოს" კარისკენ მოწოდებული კუთხური დასრულდა გოლით, **ალექსანდრ გლადკიმ** ანგარიშში სხვაობის მინიმუმამდე შემცირება შეძლო. ამის შემდეგ აღარაფერი შეცვლილა.

თბილისის "დინამო" დღეს დილით ანთალიიდან ტრაბზონში გადაფრინდება, იქიდან კი თბილისისკენ აიღებს გეზს. გვენცაძის თქმით **ნედ ზელიჩი,** გერმანიას გაემგზავრა. ზელიჩი ფრანკფურტში ცხოვრობს. ის ერთი კვირის განმავლობაში ინდივიდუალურად ივარჯიშებს და "დინამოს" მეორე შეკრებაზე შეუერთდება, რომელიც ანთალიაში 27 იანვარს დაიწყება და 7 თებერვლამდე გასტანს.

**დავით ცაბაძე**

ფუტსალი

# ისევ 1:4!

საქართველოს ფუტსალის ეროვნულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მეორე ეტაპზე გასვლის ყოველგვარი შანსი დაკარგა. გუშინ ჩვენი მეტოქე კვიპროსი იყო და მანაც ზუსტად ისევე გაგვანადგურა, როგორც ყაზახეთმა - 1:4. ისევე, როგორც წინა დღეს, პირველი ტაიმი თანაბარ ორთაბრძოლაში წარიმართა და 1:1 დასრულდა, რის შემდეგაც კუნძულელებმა შანსი აღარ დაგვიტოვეს. ბოლო გოლი ჩვენმა გუნდმა მას შემდეგ გაუშვა, რაც მოედნიდან მეკარე **ჯამბურია** გააძევეს.

მალტურ შესარჩევ რაუნდს საქართველოს ნაკრები დღეს დაასრულებს მასპინძლებთან შეხვედრით. ამ მატჩს პრინციპული მნიშვნელობა აღარ აქვს. ჯგუფში პირველ ნომრად განთესილი ქართველებისთვის ევროშესარჩევი ციკლი აღარ გაგრძელდება.

აქვე ერთი დღის დაგვიანებით მოგაწვდით პირველი ტურში გამართული საქართველო-ყაზახეთის ოქმს.

**საქართველო:** ზაქაიძე, ჯამბურია, ალთუნაშვილი, ძაბირაძე, სარქისიანი, თოთლაძე, ასათიანი, ბოკერია, დევდარიანი, შელეგია, წერეთელი, ცნობილაძე

**ყაზახეთი:** ხალიავინი, პერემიშლინი, აბდრახმანოვი, ბონდარევი, ბუტრინი, სამოხვალოვი, ბატოვი,ერშანოვი, კოსინი, შპიჩკა, სულეიმანოვი, ტერენტიევი

**გოლები:** 1:0 ძაბირაძე (5), 1:1 შპიჩკა (17), 1:2 კოსინი (26), 1:3 ბუტრინი (29), 1:4 კოსინი (37)

**მსაჯი:** ტივოლდი (სლოვენია)

**ლევან ჯანეზაშვილი**

თანამეგობრობის თასი

# სიონს ბარიერები არ ელევა

## პირველივე ვარჯიში ჩაიშალა, დღეს კაუნასს შევერკინებით

თანამეგობრობის თასის წინ "სიონი" კიდევ ერთ დიდ თავსატეხს გადააწყდა. თბილისიდან სომხეთის დედაქალაქში ავტობუსით ჩასულ ქართულ დელეგაციას უსიამოვნო ამბავი დახვდა - უამინდობის გამო, ერევანი-მოსკოვის ავიარეისი რამდენიმე საათით გადაიდო, რამაც საქართველოს ჩემპიონები უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო. იმის ნაცვლად, რომ მოსკოვში გუშინ დილით ჩაფრენილიყვნენ, სიონელები დანიშნულების ადგილზე საღამოს შვიდის ნახევარზე იყვნენ.

"დინამოს" სპორტკომპლექსში დაგეგმილი პირველი მოსკოვური ვარჯიში ჩაიშალა, რაც, ბუნებრივია, "სიონს" თანამეგობრობის თასის შარშანდელ ფინალისტ "კაუნასთან" მატჩისთვის კარგ სამსახურს ვერ გაუწევს. რუსეთის დედაქალაქს ბაქოდან გაფრენილი კამერუნელები დროულად კი ეწვივნენ, მაგრამ, ბუნებრივია, სამნი ვერ ივარჯიშებდნენ - **ჩასემმა, ევოჩემ** და **ბოიომმომ** მთელი დღე სასტუმროში, თანაგუნდელთა მოლოდინში გაატარეს.

*"სამწუხაროდ, პრობლემები ვერც გზაში ავიცილეთ. მგზავრობით გადაღლილ და უვარჯიშებელ ფეხბურთელებს ძალიან გაუჭირდებათ, მაგრამ მაინც ვიმედოვნებ, რომ ლიტველებთან შედეგიანად ვითამაშებთ"*, - გვითხრა გუშინ ღამით მოსკოვში დაკავშირებისას გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **კახა ცხადაძემ**.

"სიონი"-"კაუნასის" შეხვედრა დღეს, თბილისის დროით 16 საათზე დაიწყება. ისღა დაგვრჩენია, ქვემოქართლელებს წარმატებული "თანამეგობრული" დებიუტი ვუსურვოთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**


კახა ცხადაძე

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
ეროვნული ლიგა
www.pfl.ge




გოგიტა გოგუა

# კალაძემ და მუჯირმა ვარჯიში დაიწყეს

თურქეთთან 7 თებერვლის საშინაო ამხანაგურ მატჩამდე ორ კვირაზე ოდნავ მეტი დარჩა და საინტერესოა, თუ რა მდგომარეობაში არიან ნაკრების ფეხბურთელები. კლუბები, სადაც ქართველები თამაშობენ, ზამთრის პაუზას ჩემპიონატისთვის კარგად მოსამზადებლად იყენებენ და საკონტროლო შეხვედრებს ატარებენ. ბოლო შეხვედრებში თავიანთ გუნდებში ნაკრების კაპიტან **კახა კალაძესა** და **დავით მუჯირს** არ უთამაშიათ. ბუნებრივია, ვითარებაში გარკვევას შევეცადეთ და სასიხარულო ცნობებიც შევიტყვეთ.

*"კახა კალაძე გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ვარჯიშს უკვე შეუდგა. იმავეს თქმა შეიძლება დავით მუჯირზეც, ისიც ჩვეულებრივ ვარჯიშობს. კარგადაა ზურად ხიზანიშვილიც...*

*თურქეთთან მატჩისთვის ეროვნულ ნაკრებში ვინ იქნება გამოძახებული და ვინ არა, ეს ამ თამაშამდე 2 კვირით ადრე გაირკვევა, როცა ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი შემადგენლობას დაასახელებს"*, - გვითხრა ნაკრების გუნდების მენეჯერმა **თამაზ ბოკერიამ**.

სხვათა შორის, მუჯირი გუნდთან ერთად ვარჯიშს რომ შეუდგა, ეს ცნობა რუსულმა წყაროებმა გუშინ ღამით გაავრცელეს და მეტი დამაჯერებლობისთვის ფოტოც დაურთეს.

**დავით ცაბაძე**

# ბობოხიძე ზარიას გააძლიერებს

ლუგანსკის "ზარიის" თბილისის "მერანი 91-ის" ყოფილი მეპატრონის, **იური სევასტიანოვის** ხელშია. ამ გუნდს, თურმე, ტრადიცია ჩამოუყალიბდა, ყოველი სეზონის დაწყებამდე გაურკვეველ ფინანსურ მდგომარეობაშია.

მაგალითად ორი კვირის წინანდელი ფაქტიც იკმარებს. ლუგანსკელთა მთავარ მწვრთნელად ალჩევსკის "სტალის" ყოფილი დამრიგებელი **ანატოლი გილაბუევი** დანიშნეს. მან ინტერვიუებიც დაარიგა და ორ დღეში თანამდებობიდან გადადგა.

მის ნაცვლად **ალექსანდრე კოსევიჩი** დანიშნეს, რომელმაც გუნდში ორი ქართველი მიიწვია. ერთ-ერთი მათგანი თბილისის "დინამოს" ფორვარდი **მიხეილ ბობოხიძეა** და როგორც ჩანს, მისი ჩარიცხვა საკმაოდ რეალურია.

ყოველ შემთხვევაში, კოსევიჩის საუბრიდან ასეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა. მას უკრაინული "სპორტ-ექსპრესის" ჟურნალისტმა ახალწვეულებზე დაუსვა კითხვა და "ზარიის" მწვრთნელმაც ქართველებზე ისაუბრა:

*"საერთოდ, ყველა პოზიცია საჭიროებს გაძლიერებას. თუმცა განსაკუთრებით თავდამსხმელის პრობლემა გვაწუხებს. სწორედ ამ მიზნით მოვიწვიეთ თბილისის "დინამოს" თავდამსხმელი მიხეილ ბობოხიძე. თავის დროზე ეს მოთამაშე კრივოი როგის "კრივბასში" ლადო ბურდულთან ერთად გასასინჯად ჩამოვიდა. საქართველოს ჩემპიონატის შემოდგომის ნაწილში ხუთი ბურთი გაიტანა, ერთიც სათასო მატჩში."*

ლუგანსკელებს შეუერთდა უკრაინის 19-წლამდელთა ნაკრების ყოფილი კაპიტანი, კიევის "დინამო 2-ის" მცველი **ირაკლი ციკოლიაც**. იგი გასინჯვაზეა კლუბში. ირაკლი ფოთის საფეხბურთო სკოლის გაზრდილია, ნუგზარ ცაავას ხელში იზრდებოდა და საქართველოს იუნიორთა ნაკრებში თამაშის სურვილიც ჰქონდა, მაგრამ მას ყურადღება არ მიაქციეს და ამის შემდეგ უკრაინაში გადავიდა.

**მერაბ მამულაშვილი**

# გოგუა ჰართსს და ჩერვიჩენკოს მოურიგდა

ფეხბურთში ბევრი რამ გვინახავს და გვსმენია. თითქოს, რა კომბინაცია და ფინტი უნდა გაგვიკვირდეს, მაგრამ ის, რაც გოგიტა გოგუას შეემთხვა, მაინც გამორჩეულია.

მოედანზე დაუდგრომელმა ცხოვრებაშიც შესაშური პრინციპულობა გამოიჩინა და სასურველ კლუბში თამაშის უფლება მოიპოვა. გოგიტა გოგუა შოტლანდიის ვიცე-ჩემპიონ "ჰართსში" ითამაშებს.

ეს ამბავი, წინა დღეებში განვითარებული მოვლენების ფონზე მეტისმეტად მოულოდნელი და დაუჯერებელი ჩანს. როგორც ცნობილია, საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი ედინბურგში "ჰართსის" მიწვევით ჩავიდა, თუმცა, გოგიტას სატრანსფერო დოკუმენტაციის მფლობელი, რუსი ანდრეი ჩერვიჩენკო, რატომღაც "ხიმკის" სახელით, "ჰართსსაც" დაემუქრა და ფეხბურთელსაც.

ამის შემდეგ გოგიტა იძულებული იყო რუსეთში დაბრუნებულიყო, სადაც მას კარიერის გაგრძელებას სთავაზობდნენ "ხიმკიში", "სატურნსა" ან "ტომში". ქართველს იმდენად უნდოდა რუსეთის დატოვება, რომ ჩვენი ინფორმაციით ჩერვიჩენკოს მოსთხოვა შოტლანდიაში გაშვება და თანხმობაც მიიღო.

ინფორმაციის გადამოწმება გუშინ "ჰართსის" მწვრთნელ ვალდას ივანაუსკასთან ვცადეთ და ამჯერად მაინც მოვახერხეთ მასთან გასაუბრება.

**- მართალია, თითქოს გოგუას არენდაზე ჩერვიჩენკო მაინც დაითანხმეთ?**

- დიახ, ეს გადაწყვეტილი საკითხია. როგორც იქნა, რუსული მხარე გოგუასა და "ჰართსის" სურვილს დაჰყაბულდა.

**- მართალია, რომ ურთიერთთანხმობისა და ქართველის მოწონების შემთხვევაში, მასთან სრულფასოვან კონტრაქტს გააფორმებთ?**

- დიახ, ჩვენ ახლაც გვსურდა კონტრაქტის გაფორმება, მაგრამ ჯერ საერთოდ არ გვითმობდნენ, ბოლოს არენდაზე მაინც დავიყოლიეთ.

**- ორი დღის წინ მოლაპარაკება ჩაიშალა. რადგან ჩერვიჩენკოს კიდევ ერთხელ დაუკავშირდით, გამოდის "ჰართსისთვის" მნიშვნელოვანია მისი ფიგურა.**

- გოგუა თანამეგობრობის ორი წლის წინანდელ ტურნირზე ძალიან მომეწონა. არ დავმალავ, რომ მას შემდეგ ყოველთვის განსაკუთრებულად ვინტერესდებოდი ამ ბიჭის ამბებით, ასეთი ფეხბურთელები ყოველთვის მომწონდა და უზომოდ ბედნიერი ვარ, რომ მისი დამატების საშუალება მოგვცეს.

როგორც იქნა, გუშინ **გოგიტა გოგუასაც** დავუკავშირდით. საუბარზე ეტყობოდა უზომოდ გახარებული რომ იყო.

**- გოგიტა, ამდენი ნერვიულობის შემდეგ "ჰართსში" გადასვლისთვის მაინც მიგიღწევია. გილოცავ.**

- დიდი მადლობა, უბედნიერესი კაცი ვარ.

**- ყველა საჭირო საკითხი მოგვარდა?**

- დიახ, ჩერვიჩენკო როგორც იქნა დავითანხმე და შოტლანდიაში მიშვებს. ამ კაცმა დამტანჯა, თავი გაიგიჟა და უარზე იყო. ასე რომ აკეთებდა, ჩამოვედი მოსკოვში, შევედი პირდაპირ მასთან და კატეგორიულად მოვთხოვე თანხმობა. რას ჰქვია, ხელი შემიშალოს. ფეხბურთელს კარიერაში ბევრჯერ არ უჩნდება ასეთი შანსი და ხელი არ უნდა შემიშალო-მეთქი. ბოლოს დამთანხმდა, მაგრამ ვაი ამ დათანხმებას.

**- გამოდის, მთავარი შენი მონდომება აღმოჩნდა.**

- რა თქმა უნდა. ჩერვიჩენკოს რა უნდოდა, რატომ არ მიშვებდა "ჰართსში" დღემდე ვერ გამიგია. მოსკოვში ჩამოსვლის შემდეგ, მასთან საუბარმა გაჭრა და დამთანხმდა. თუმცა მანამდე სხვა ვარიანტებს მთავაზობდა.

წესით, შაბათს უკვე "ჰართსში" უნდა მეთამაშა. ეს ჩასვლისთანავე მითხრა ივანაუსკასმა. ახლა ეს ველარ ხერხდება, მოსკოვში ვარ და ედინბურგში უახლოეს დღეებში გავემგზავრები. თუმცა სანერვიულო არაფერია, მთავარია, თანხმობა მივიღე.

დაბოლოს, ჩვენი ინფორმაციით, "ჰართსი" საქართველოს ნაკრების ნახევარმცველის ოთხთვიან იჯარაში 200 ათას ევროს გადაიხდის.

**მერაბ მამულაშვილი**

# გრიგალაშვილი სირაძესთან

თბილისის "დინამოდან" ტრანსფერზე დაყენებული ფეხბურთელებიდან ერთ-ერთს, ნახევარმცველ **შოთა გრიგალაშვილს** გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში მოასპარეზე ერცგებირგეს "აუეში" ელიან. ცნობა თბილისური კლუბის ტექნიკურმა დირექტორმა **ამირან ღიბრაძემ** დაგვიდასტურა.

*"დიახ, მართალია. შოთა გრიგალაშვილი, რომელიც ამჟამად თბილისში "დინამო 2-თან" ერთად ვარჯიშობს, კვირას გერმანიას მიემგზავრება. ფეხბურთელით, რომელიც ეროვნულ ნაკრებშიც იყო მიწვეული, "აუე" არის დაინტერესებული. გრიგალაშვილი ტესტირებაზე მიდის და ვნახოთ, საბოლოოდ რა გადაწყდება. რაღა თქმა უნდა, გაგვეხარდება თუკი ეს საქმე ტრანსფერით დასრულდება"*, - გვითხრა ღიბრაძემ.

კლუბის ერთ-ერთი ხელმძღვანელის შემდეგ თავად ფეხბურთელსაც მივმართეთ.

*"დინამოში" "აუედან" ჩემზე ოფიციალური მიწვევაც კი მოვიდა. გუნდი, რომელშიც დავით სირაძე ასპარეზობს, ერთკვირიან სინჯებზე მეპატიჟება. სხვათა შორის, "აუეს" ხელმძღვანელობამ ჩემს შესახებ ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელ კლაუს ტოპმიოლერს ჰკითხა აზრი და ტოპმიოლერმაც სათანადოდ დამახასიათა. ჩავალ და ყველაფერი იქ გაირკვევა"*, - "ლელოსთან" საუბარში განაცხადა შოთა გრიგალაშვილმა.

ამის შემდეგ გერმანიაში **დავით სირაძეს** დავუკავშირდით. როგორც აღმოჩნდა მას ეს ინფორმაცია პირველებმა ჩვენ ვამცნეთ.

*"მართლა? ძალიან კარგი, ამას რა სჯობს. აქ ჩემთვის ჯერჯერობით არაფერი უთქვამთ, მაგრამ დღეს თამაში გვაქვს "უნტერჰახინგთან" და მატჩის შემდეგ ალბათ ამაზე მეც გამესაუბრებიან.*

*შოთა გრიგალაშვილს, როგორც ფეხბურთელს ნორმალურად ვიცნობ და იმედი მაქვს, ის "აუეს" ხელმძღვანელობას თავს მოაწონებს".*

რაც შეეხება თავად სირაძეს, მას "აუედან" წასვლა აქვს გადაწყვეტილი. მართალია, ამას უახლოეს პერსპექტივაში არ განიხილავს, მაგრამ ვითარებაში გარკვევას მაინც შევეცადეთ.

*"კლუბთან მოქმედი კონტრაქტი კვლავაც მაკავშირებს. კლუბის ხელმძღვანელობამ ორი წლით შემომთავაზა ხელშეკრულების გაგრძელება. ვფიქრობ, კონტრაქტს არ გავაგრძელებ და სეზონის ბოლოს კლუბს შევიცვლი. ჩემმა ახალმა აგენტმა მითხრა ვარიანტები არისო, მაგრამ არ დაუკონკრეტებია. "კარლსრუე" და "ჰანზა"? არ ვიცი გადაჭრით ვერავერს გეტყვით"*, - გვითხრა საუბრის ბოლოს ფეხბურთელმა.

**დავით ცაბაძე**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზამთარი, ტრანსფერები, ტყუილები...

...რაღა დარჩა - თუ არ ვცდებით, თერთმეტი დღე. თებერვლის დადგომა მართლაც კარგია: რაც არ უნდა დაგვაშინონ სინოპტიკოსებმა, ძალიან მაგარი სიცივეები იქნებაო, მაინც ზამთრის "დაფინიშებისა" და გაზაფხულის მოახლოების თვე მოდის. მაგრამ მთავარი მაინც სხვა არის - "სატრანსფერო ფანჯარა" უკვე დახურული იქნება! აი, ასე: 31 იანვარს სატრანსფერო მართლაც ციებცხელება დასრულდება და ყველაც შვებით ამოისუნთქავს. ყველა: ფეხბურთელები, მათი აგენტები, კლუბების მენეჯერ-სპორტული დირექტორები, გულშემატკივრები... ჩვენც, ჟურნალისტებიც დავისვენებ-ამოვისუნთქებთ. ყოველ შემთხვევაში, ზაფხულამდე (ანუ, ახალ სატრანსფერო ფანჯრის გახსნამდე) მაინც. ისე, ტრანსფერებზე ვსაუბრობთ და ნეტავ იმ დროს მოვესწროთ, როცა უცხოურ კლუბში გასინჯვაზე მყოფი ქართველი ფეხბურთელი აქ ჩამოსვლისას იტყვის: "სამწუხაროდ, გუნდში ჩემზე უკეთესი ფეხბურთელები დამხვდნენ", ანდა გულახდილად გაგვიმხელს, რომ მწვრთნელმა დაიწუნა. თორემ, ალბათ, ყველა დაიღალა არშემდგარი კონტრაქტის მერე მოსმენილი ერთი და იმავე ფრაზებით: "ყველას მოვეწონე, მაგრადაც ვითამაშე, მწვრთნელმაც შემაქო, ავტოგრაფებიც უხვად დავარიგე, მაგრამ, სამწუხაროდ, პირობებზე ვერ შევთანხმდითო..."

არანაკლებ ტრაგიკომიკურ-კურიოზული ხასიათისაა ის ტრანსფერებიც, უცხოელი ფეხბურთელები ჩვენს გუნდებთან რომ აფორმებენ. ნამდვილად არ გვაინტერესებს, თუ რა თანხის საფასურად ჩამოდიან საქართველოში კლასის ასამაღლებლად ბრაზილიელები და არგენტინელები. საინტერესო სხვა რამეა - ბოლო წლებში საქართველოში ჩამოსული სამხრეთამერიკელ ფეხბურთელთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა, თურმე, თავიანთი ქვეყნის ცნობილ გუნდებში თამაშობდნენ. აი, "ბორჯომის" შარშანდელი ერთდროულად შვიდი არგენტინელი ხომ გახსოვთ? თუ არა და, გვარებს შეგახსენებთ: ფრანკო, პაკორი, ვომარი, ნინი, ავერსა, ბედინი, კასტილო. ჰოდა, სანამ ვლადიმერ ხაჩიძე ("ბორჯომის" მწვრთნელია, ერთობ გულახდილი და პირდაპირი კაცი) შვიდივეზე იტყოდა - ფეხბურთისაგან შორს დგანანო, მანამდე "გვაბოლებდნენ", რომ საქართველოში ჩამოსვლამდე ეს შვიდეული "როსარიოს", "რასინგის", "ლანუსისა" თუ "ინდეპენდიენტეს" ღირსებას იცავდნენ (კიდევ კარგი, "ბოკა ხუნიორსი" და "რივერ პლეიტი" არ უხსენებიათ)...

იგივე ხდება "აქაურ" ბრაზილიელებზეც. "სან-პაულუ" და "სანტოსი" ნამეტანია მართლაც, თორემ ბოლო წლებში ჩვენთან ვინც ჩამოიყვანეს ბრაზილიიდან, თურმე "პარანას", "კორინთიანსის", "კურიტიბასა" თუ "გრემიოს" ძირითადის ფეხბურთელები ყოფილან. აი, სეზარ რომერო რომ იყო "დინამოში" და ორი-სამი სეზონი ნესიერად ბურთის ფლობა რომ ვერ ისწავლა, ჩვენამდე "პარანაში" უთამაშია. მოკლედ, იმის თქმა გვინდა, რომ ტყუილი ცუდი საქმეა. თანაც, სხვა ეპოქაში ვცხოვრობთ - ბოლოს და ბოლოს, ამ დალოცვილი ინტერნეტის მეშვეობით დაადგენ, მართლა მუშაობდა თუ არა ლუის ცაკარიასი "დუისბურგსა" თუ პერუს ნაკრებში. ცაკარიასი ნამეტანი სუსტი მწვრთნელი არ იყო, ყოველ შემთხვევაში, ქუთაისელებმა რომ ჩამოიყვანეს პაულო დე კამპუში, იმასთან ტრაპატონივით ჩანდა. არც ტყუილები უყვარდა ერთი ქართველი მწვრთნელივით. ევროპის ერთ-ერთ ნამეტნავად ცივილურ ქვეყანაში უმუშავია მწვრთნელად ამ ჩვენებურს და დათო ცაბაძეც ამაყობდა: ნახეთ, რა კაცი აღმოვაჩინეო. ცაბაძეს ვინ არ იცნობს, ჩვენი გაზეთის ჟურნალისტია; და როგორც ჭეშმარიტ იმერელს შეეფერება, ჩვეული ზრდილობით ისმენდა თუ იწერდა ქართველი მწვრთნელის "საქმესა საგმირონს". თურმე, იმ ჩვენებურს თავისი გუნდი ორი-სამი წლის წინ ქვეყნის თასის ფინალში გაუყვანია, მაგრამ ნაუგია და ვერცხლის მედლებს (?!) დაჯერებულა. არ დავიზარეთ და როცა შევამოწმეთ, აღმოჩნდა, რომ იმ ქვეყნის თასის გათამაშების ლამის 80-წლიან ისტორიაში, ეს გუნდი ფინალში... არასდროს გასულა! ისიც მოგვატყუა, რომ ამ გუნდში მეორე მწვრთნელად მუშაობდა. არაფერი მსგავსი - იმ კლუბის პირველ და მეორე გუნდში ქართველი მწვრთნელი არავინ მოღვანეობს! არა, ყველაფერი არ მოუგონია - უბრალოდ, იმ კლუბის... ბავშვთა ერთ-ერთი ასაკობრივი გუნდის მეორე მწვრთნელი ყოფილა...

გია ტუხაშვილი



გრიგოლ იმედაძე (ბურთით)

# შახტიორის იმედი

"ზესტაფონის" ყოფილი ფორვარდი **გრიგოლ იმედაძე** დუბაიში იმყოფება, სადაც ყაზახეთის კლუბ ყარაღანდის "შახტიორში" გადის სინჯებს. გრიგოლმა ძალიან კარგად დაიწყო, "შახტიორმა" საემიროებში პირველი საკონტროლო მატჩი ადგილობრივ "აჯამანთან" გამართა, რომელიც ქვეყნის პირველობაზე მეოთხე ადგილზეა. ყაზახებმა 1:0 მოიგეს, გოლი კი სწორედ ქართველმა თავდამსხმელმა გაიტანა. შემდეგ საკონტროლო მატჩს "შახტიორი" 24 იანვარს გამართავს. ყაზახურ კლუბს ახალი თავკაცი ჰყავს, ფინელი **იუჰა მალინენი**. შეგახსენებთ, რომ ახლახან აზერბაიჯანული მედია იმედაძეს იქაურ "გილანს" უკავშირებდა. "შახტიორმა" ყაზახეთის ჩემპიონატი მეოთხე ადგილზე დაასრულა. უკანასკნელ სეზონში "შახტიორის" რიგებში თამაშობდნენ **გიორგი გაბიდაური** (17 თამაში, 1 გოლი) და **ვიტალი დარასელია** (16 თამაში, 1 გოლი). მეოთხე ადგილმა კლუბის ხელმძღვანელობა არ დააკმაყოფილა, რის გამოც მთავარი მწვრთნელიც შეცვალეს. ფინელს წარუმატებლობის მთავარ პრობლემად თავდასხმის უსუსურობა მიაჩნია და მის გაძლიერებას ცდილობს. იმედაძის მიწვევაც ამით იყო განპირობებული. ახლა ყველაფერი ქართველ ფორვარდზეა დამოკიდებული.

## იმედაშვილი აღარ ათამაშეს

გუშინ კიევის "დინამომ" დუბაის შეკრების უკანასკნელი მატჩი გამართა და პირველად ვერ მოიგო, უკრაინული კლუბი ბულგარულ "ლიტექსს" დაუზავდა - 1:1. ბულგარელებთან მატჩში მონაწილეობა აღარ მიუღია ქართველ მცველ **დავით იმედაშვილს**, რომელმაც წინა დღით "დუბაი დაიმონდსთან" 6:0 დასრულებულ მატჩში ითამაშა. დუბაიში "დინამომ" ოთხი მატჩი გამართა, იმედაშვილს დემიანენკო კი მხოლოდ ერთში ენდო: ახლა "დინამო" უკრაინაში ბრუნდება, სადაც მცირე ხანს დაყოფს და მეორე შეკრებას დაიწყებს. იმედია, იმედაშვილს მაშინ მაინც მიეცემა თავის გამოჩენის შანსი.

## სატურნი მოინადირეს

თურქეთში მოსამზადებელ შეკრებაზე მყოფმა ოდესის "ჩერნომორეცმა" პირველი საკონტროლო მატჩი გამართა. შავიზღვისპირელთა მეტოქე რუსული "სატურნი" იყო. მატჩში ერთადერთი გოლი 78-ე წუთზე ჩერნომორეცელმა **გილაზევმა** გაიტანა, რომელიც შესვენებაზე **ილია კანდელაკის** ნაცვლად შევიდა მოედანზე. **კახა მჟავანაძე** მეორე ტაიმში **პოლტავეცის** ნაცლად გამოჩნდა, **გიორგი შაშიაშვილმა** კი მე-60 წუთზე **კორიტკო** შეცვალა. 23 იანვარს "ჩერნომორეცი" ლიტვურ "ვეტრას" შეხვდება.

## ჭიღლაძე სპარტაკთან მოინათლა

თავისი ახალი კლუბის შემადგენლობაში პირველად ითამაშა ქართველმა მცველმა **დავით ჭიღლაძემ**, დათო "სუდოვადან" ლიტვის ბრინჯაოს პრიზიორ "ვეტრაში" გადავიდა და გუნდს თურქეთში შეკრებაზე გაჰყვა. გუშინ ქალაქ ლარაში "ვეტრა" მოსკოვის "სპარტაკს" შეხვდა. რუსულმა კლუბმა დაძაბულ ბრძოლაში 2:1 იმარჯვა. დავით ჭიღლაძე სასტარტო შემადგენლობაში იმყოფებოდა. ის 85-ე წუთზე **შერნასმა** შეცვალა.

## სირაძემ ოთხიანით განაახლა

ზამთრის შესვენების შემდეგ განახლდა მეორე ბუნდესლიგის ჩემპიონატი. გუშინ მე-18 ტურის მატჩში **დავით სირაძის** "აუე" მიუნხენის გარეუბანს ესტუმრა და "უნტერჰახინგს" 1:1 ეთამაშა. მატჩის დასაწყისში სტუმრებმა საკუთარ კარში ჩაჭრეს ბურთი, თუმცა ტაიმის ბოლოს **ტრეპკიპფმა** გაათანაბრა. **დავით სირაძე** სასტარტოში იყო, ქართველი ფორვარდი მე-60 წუთზე ბულგარელმა **დიმიტარ რანგელოვმა** შეცვალა, რომელიც ორიოდე დღის წინათ დაიმატა "აუემ". "აუე" 30 ქულით მეხუთე ადგილზეა. "შპორტალმა" სირაძეს გარჯა 4 ბალით შეუფასა. გუშინვე "ალკმაარმა" სტუმრად "დენ ჰააგს" 3:1 მოუგო. შოთა არველაძემ, საიუბილეო 50-ე მატჩში, მოედანზე 90 წუთი გაატარა.

## ქინქლაძე ისევ ანორთოსისში?

ჯერაც გაურკვეველია სად გააგრძელებს კარიერას ყაზანის "რუბინიდან" წამოსული **გიორგი ქინქლაძე**. ქართველი ნახევარმცველით "მოსკვა" და "სატურნი" იყვნენ დაინტერესებულნი. ამ კლუბებს **თემურ ქეცბაიას** "ანორთოსისის" სახით კიდევ ერთი დაემატა. თუმცა თავად ქინქლაძეს ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტია, თუ რომელ კლუბზე შეაჩერებს არჩევანს. *"ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით. ცოტა დრო მჭირდება და საბოლოო არჩევანსაც გავაკეთებ"*, - გვითხრა გუშინ თბილისში მყოფმა გიორგი ქინქლაძემ.

## დემეტრაძე უკვე ტიტანიკშია

დონეცკის "მეტალურგი გუშინ უკრაინიდან თურქეთს გაემგზავრა. **ადრიაანსეს** გუნდი ჯერ სტამბოლში ჩავა, იქიდან კი ანთალიას გადაფრინდება, სადაც ფეშენებლურ სასტუმრო "ტიტანიკ დე ლუქსში" დაბინავდება. მწვრთნელმა თურქეთში 32 ფეხბურთელი იახლა. რალა თქმა უნდა მათ შორისაა ეროვნული ნაკრების თავდამსხმელი **გიორგი დემეტრაძე**. დონეცკელები ანთალიაში ამხანაგურ მატჩებს მოსკოვის "სპარტაკთან", დნეპროპეტროვსკის "დნეპრთან" და სტამბოლის "გალათასარაისთან" გამართავენ.

აქვე გეტყვით, რომ **დავით კვირკველიასა** და **ირაკლი მოდებაძის** ზაპოროჟიეს "მეტალურგი" კი ნალჩიკის "სპარტაკს" დაუპირისპირდა. მატჩი ფრედ, 1:1 დასრულდა. ზაპოროჟიელთა რიგებში დავით კვირკველია ძირითად შემადგენლობაში იყო და თამაშიც ჩაამთავრა.

მეტოქე. შოტლანდია

# ფერგიუსონი: დანიშნეთ მაკლიში!

## ბერნსი ბრძოლას გამოეთიშა

**ტომი ბერნსმა**, რომელიც შოტლანდიის ნაკრების მწვრთნელობის ერთ-ერთი რეალური კანდიდატი იყო, ვაკანტური თანამდებობის დაკავებაზე უარი განაცხადა. ეს მან გუშინ საფეხბურთო ასოციაციას აცნობა. 50 წლის სპეციალისტი, რომელიც "სელტიკის" ახალგაზრდულ გუნდს ავარჯიშებს, კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე წერს:

*"შოტლანდიის ნაკრებში მუშაობის პერიოდი კარგად მაგონდება. იქ ბევრი მეგობარი გავიჩინე და, რაც მთავარია, მონაწილეობა მივიღე ახალი გუნდის ფორმირებაში. მსურს, ყველას, ვინც ნაკრებში იმუშავებს, რა თანამდებობაც არ უნდა იყოს, წარმატებები ვუსურვო"*.

ბერნსი შოტლანდიის ნაკრებში ჯერ კიდევ **ბერტი ფოგტსთან** ერთად მუშაობდა. **უოლტერ სმიტმა**, რომელიც სკოტების მთავარ მწვრთნელად 2005 წლის იანვარში დაინიშნა, ის თანაშემწედ დატოვა. ამიტომაც ფიქრობდნენ ექსპერტები, რომ სწორედ ბერნსი იქნებოდა, ასე ვთქვათ, სმიტის საქმის გამგრძელებელი. უეჭველია, რომ თავადაც იქნებოდა მოწადინებული, ქვეყნის მთავარი გუნდის დამრიგებელი გამხდარიყო, მაგრამ იეტყობა, ასოციაციისგან შეთავაზების დაგვიანებამ, ან საერთოდ, მისი კანდიდატურის იგნორირებამ, აფიქრებინა, რომ ამ პოსტზე არ მოიაზრება.

თავის მხრივ, შოტლანდიის საფეხბურთო ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი **დევიდ ტეილორი** ბერნსის უარს უწყების ვებგვერდზე გამოეხმაურა: *"ტომიმ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ნაკრების წინსვლის საქმეში, როგორც ბერტი ფოგტსის დროს, და მით უმეტეს, უოლტერ სმიტის მუშაობის პერიოდში. ეს დაახლოებით ხუთწლიან პერიოდს მოიცავს, რაც საშუალებას იძლევა, მისი საქმე ჯეროვნად დავაფასოთ. შოტლანდიური ფეხბურთის სამყაროში ბერნსს პატივს სცემენ, ის პოპულარული პერსონაა ფეხბურთელებს შორისაც. რა თქმა უნდა, ისეთი მოვლენა, როგორიცაა მთავარი მწვრთნელის გადადგომა, ყოველთვის ცვლილებებს მოასწავებს. აქედან გამომდინარე, ტომის გადაწყვეტილება ჩვენთვის აბსოლუტურად გასაგებია. მისთვის მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის"*.

ესეც იმის დასტური, რომ ბერნსი ასოციაციის ობიექტივში არ ყოფილა. ჯერჯერობით, წინადადება არ მიუღია "კილმარნოკის" მწვრთნელ **ჯიმ ჯეფერისსაც**, ისევე, როგორც "დანდი იუნაიტედის" დამრიგებელ **კრეიგ ლივაინს**. სმიტის ალტერნატივათა შორისაა ნაკრების ყოფილი კაპიტანი **გარი მაკალისტერიც**, რომელზეც ტეილორი ასევე არაფერს ამბობს. აქედან გამომდინარე, კიდევ უფრო გაიზარდა **ალექს მაკლიშის** შანსი. ჯერჯერობით, ისაა ერთადერთი კანდიდატი, რომელიც საფეხბურთო ასოციაციის ოფიციალურ სიაშია. გუშინ, **შოთა არველაძისა** და **ზურაბ ხიზანიშვილის** ყოფილ ბოსს წონიანი სიტყვა თვით სერ **ალექს ფერგიუსონმაც** შეაწია:



მაკლიში და ფერგიუსონი

*"მე ვთვლი, რომ მაკლიშის დანიშვნა შესანიშნავი იდეაა. მას ზურგს უმაგრებს წარმატებული კარიერა "მოზერველში", "ჰიბერნიანსა" და "რეინჯერსში". ეს გუნდი მან რთული სიტუაციიდან გამოიყვანა და ოთხნახევარ წელიწადში უამრავი ტიტული მოიგო. არადა, ალექსს გაცილებით მწირი რესურსი ჰქონდა, ვიდრე მის მემკვიდრე პოლ ლე გენს. ვფიქრობ, ეს არგუმენტები საკმარისზე მეტია საიმისოდ, რათა მაკლიში შოტლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახდეს. ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, ერთი წამითაც არ დავფიქრდებოდი"*.

ფერგი და მაკლიში ძველი მეგობრები არიან ჯერ კიდევ 80-ანი წლების "აბერდინიდან", სადაც სერ ალექსი მთავარი მწვრთნელი გახლდათ, მისი სეხნია კი თითქმის შეუცვლელი მცველი. ვნახოთ, რა გავლენას მოახდენს ფერგიუსონის აზრი შოტლანდიური ფეხბურთის თავკაცებზე.

www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
ეროვნული ბიბლიოთეკა
www.pfl.ge

# საქართველოს XVIII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. გუნდები. პირველი წრის შეჯამება

# სიონი

**მონაგარი**

| | მატჩი | ძირითადში | გოლი | საგოლე პასი | ყვითელი | წითელი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჭიჭვეიშვილი | 13 | 13 | 1 | 1 | 4 | - |
| ბაჯელიძე | 13 | 13 | - | 2 | 1 | - |
| კობაური | 13 | 10 | - | - | 2 | - |
| ლ. ჭელიძე | 12 | 12 | - | - | 1 | - |
| ვ. უგრეხელიძე | 12 | 11 | 1 | 1 | 2 | - |
| კვიტაიშვილი | 12 | 6 | - | - | - | - |
| ა. ალავიძე | 11 | 11 | 5 | 3 | 2 | - |
| რაქვიაშვილი | 11 | 9 | - | - | 1 | - |
| ბ. ცხადაძე | 11 | 7 | 1 | - | 2 | - |
| ჩასემი | 9 | 9 | 5 | 1 | 1 | - |
| შავგულიძე | 9 | 6 | 1 | 1 | 1 | - |
| ევორჩე | 9 | 6 | 3 | 1 | 1 | - |
| ბათიაშვილი (მეკ.) | 7 | 7 | -8 | - | - | - |
| ბოგლიაშვილი (მეკ.) | 7 | 6 | -2 | - | 1 | - |
| ფრიდოლინი | 7 | 6 | 1 | - | 1 | - |
| სიჭინავა | 6 | 6 | - | 1 | 1 | - |
| ზ. ჭელიძე | 5 | 2 | - | - | - | - |
| ქურასბედიანი | 4 | - | - | - | - | - |
| ქარდავა | 4 | - | - | - | - | - |
| ოქროპირიძე | 3 | 3 | - | - | - | - |
| სვანიძე | 3 | - | - | - | - | - |


სიონი-ამერი

**ტრიუმფალურად** ჩატარებული წინა სეზონის შემდეგ, "სიონი", რბილად რომ ვთქვათ, ველარ ბრწყინავს. ბოლნისელებმა ჩემპიონთა ლიგაზე პროგრამა-მინიმუმი შეასრულეს, მაგრამ ამის მერე სერიოზული კრიზისი დაეწყოთ, რომელმაც მათ საჩემპიონო იმედებს თითქმის მთლიანად გადაუსვა ხაზი. დღეისათვის ბოლნისელთა მთავარი საფიქრალი თანამეგობრობის თასზე ღირსეული გამოსვლაა, რის შემდეგაც უკვე შიდა ასპარეზისათვის მოემზადებიან. "სიონს" სატურნირო მდგომარეობის გამოსწორების მშვენიერი შანსი აქვს, რასაც სათასო პერსპექტივა ემატება. ერთი სიტყვით, დაკარგული ჯერ არაფერია, კახა ცხადაძესა და მის შეგირდებს წინ დიდი ბრძოლები ელით.




## კახა ცხადაძე — მთავარი მწვრთნელი

"პირველი წრე არასტაბილურად ჩავატარეთ. ჩემპიონატის სტარტზე გუნდი კარგ ფორმაში იყო, მაგრამ მიზეზთა გამო, ქულები ვერ დავაგროვეთ. "ვიტ ჯორჯიასთან" და "ოლიმპთან" დამარცხებაში თავისი როლი არაობიექტურმა მსაჯობამაც ითამაშა. ამის შემდეგ თამაშის ხარისხი გავაუარესეთ და პირველი წრე სატურნირო ცხრილის შუაში დავასრულეთ. გარკვეულწილად, გუნდი ჩემპიონთა ლიგის თამაშებმაც გამოფიტა".

### საუკეთესო მატჩი

"პირველი წრის ბოლო ტურში, "მერანთან" გასვლით მატჩში, შედეგიც ვაჩვენეთ და ხარისხიანი ფეხბურთიც".

### ყველაზე ცუდი მატჩი

"ზესტაფონში საშინლად გამოვიყურებოდით, მეტოქემ ულაპარაკოდ დაგვჯაბნა".

### პლუსი

"პირველ წრეში "სიონს" გამოკვეთილი პლუსი არ ჰქონია".

### მინუსი

"უშუალო კონკურენტებთან შეხვედრებში ცუდი შედეგი ვაჩვენეთ. მხოლოდ "ამერთან" ვითამაშეთ ფრედ, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ ეს მატჩი ბოლნისში გაიმართა, წარმატებულს ვერც ამ შედეგს ვუწოდებ".

### პროგრამა მაქსიმუმი

"ან თასი უნდა მოვიპოვოთ, ანაც ჩემპიონატის მოწინავე სამეულში დავმკვიდრდეთ".

### პროგრამა მინიმუმი

"ევროტურნირებზე აუცილებლად უნდა გავიდეთ, უარეს შემთხვევაში, ინტერტოტოს თასზე მაინც უნდა ვიასპარეზოთ".


კახა ცხადაძე

### მზადება მეორე წრისთვის

"სამოსკოვე სამზადისის შესახებ გულშემატკივრებს კარგად მოეხსენებათ, თანამეგობრობის თასიდან დაბრუნების შემდეგ კი ერთი უცხოური შეკრების მოწყობა გვსურს".

### საკადრო პოლიტიკა

"ჯერ კიდევ პირველი წრის მსვლელობისას **სიჭინავამ** დაგვტოვა, შემდეგ კი **ბათიაშვილი, ქარდავა, შავგულიძე** და **ჭიჭვეიშვილი** წავიდნენ. **მამალაძე,** ჯერჯერობით, ერთადერთი ახალწვეულია. როგორც იცით, **დარასელია** და „ოლიმპის" ხუთი მოთამაშე მხოლოდ დსთ-ის თასისთვის დავიმატეთ".

### პირველი წრის რჩეულნი

"სიონიდან" **ლაშა ჭელიძეს, ლევან ბაჯელიძესა** და **ერიკ რომეო ჩასემს** გამოვარჩევ. "ოლიმპიდან" **გიორგი სეთურიძე, გიორგი ონიანი, ლაშა ქებაძე, გიორგი კახელიშვილი** და **თორნიკე აფციაური** მომწონს და ამიტომაც მიმყავს ისინი მოსკოვში. საშუალება რომ მქონდეს, **სანდრო იაშვილსა** და "ზესტაფონის" მცველებსაც დიდი სიამოვნებით დავიმატებდი".

### ფინანსური მდგომარეობა

"**გია არევაძის** წყალობით, ამ მხრივ ყველაფერი რიგზე გვაქვს. ფეხბურთელთა მიმართ დავალიანება არ არსებობს, საკონტრაქტო პირობებს ყველას პირნათლად უსრულებენ. ფინანსური თვალსაზრისით, შარშანდელი სეზონის დონეზე ვართ".

### სიონი და ქომაგი

"გულშემატკივრების ქმედებით განაწყენებულნი ვართ. შარშან ჩემპიონები გავხდით და მაშინაც კი ცოტა ქომაგი დადიოდა სტადიონზე. გამხნევება და გვერდში დგომა ახლა უფრო გვჭირდება".

### ჩემპიონატის ახალი ფორმატი

"უსახსრო გუნდები უმაღლეს ლიგაში არ უნდა თამაშობდნენ. დღევანდელ პირობებში, 10-12 მონაწილე მაქსიმუმია".

### თასის ახალი ფორმატი

"ჩემპიონატის მატჩების შემცირების გამო, პროფლიგას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. თასის ჯგუფურმა ეტაპმა რომ ვერ გაამართლა, ნათელია. მაღალი დონის მატჩი ცოტა იყო, უსახური კი – ძალიან ბევრი".

### კოლეგები

"**თემურ მახარაძემ** და **რევაზ ძოძუაშვილმა** ამ სეზონშიც შედეგიანად იმუშავეს. თავი არც ახალგაზრდებს, **გიორგი კიკნაძესა** და **გიორგი ჩიხრაძეს** შეურცხვენიათ. ასე რომ, არც ისეა საქმე, როგორც ბევრს ჰგონია, საქართველოს საკმაო რაოდენობის კვალიფიციური მწვრთნელები ჰყავს".

### მსაჯობა

"მსაჯობის დონე კატასტროფულია. სამწუხაროდ, ამ სფეროში გატარებულ რეფორმებს შედეგი არ გამოუღია. ერთადერთი ახალგაზრდა მსაჯი, რომლის მუშაობასაც დაებითად ვაფასებ, **ვადაჭკორიაა**".

### გარიგებული მატჩები

"თამაშები ყველა ქვეყანაში ეწყობა, ამ მოვლენასთან ბრძოლა ძალიან რთულია. უპირველეს ყოვლისა, ბინძური გარიგებები თავად კლუბებმა არ უნდა იკადრონ".

**ევან ჯანეზაშვილი**




| | | | |
|---|---|---|---|
| **I ტური** | | | |
| 24.08 | შ | ოლიმპი | 0:1 |
| **II ტური** | | | |
| 06.08 | ს | ვიტ ჯორჯია | 2:3 |
| ევორჩე, ფრიდოლინი | | | |
| **III ტური** | | | |
| 20.08 | შ | ჩიხურა | 2:0 |
| ალავიძე, უგრეხელიძე | | | |
| **IV ტური** | | | |
| 28.08 | ს | ბათუმი | 2:1 |
| ალავიძე, შავგულიძე | | | |
| **V ტური** | | | |
| 09.09 | შ | დინამო | 0:1 |
| **VI ტური** | | | |
| 17.09 | ს | დილა | 1:0 |
| ბ. ცხადაძე | | | |
| **VII ტური** | | | |
| 23.09 | შ | ამერი | 1:1 |
| ალავიძე | | | |
| **VIII ტური** | | | |
| 14.10 | ს | ტორპედო | 0:0 |
| **IX ტური** | | | |
| 21.10 | შ | ბორჯომი | 2:0 |
| ჭიჭვეიშვილი, ალავიძე | | | |
| **X ტური** | | | |
| 29.10 | შ | კახეთი | 5:0 |
| ევორჩე (2), ჩასემი, ალავიძე, უგრეხელიძე | | | |
| **XI ტური** | | | |
| 05.11 | ს | ზესტაფონი | 0:3 |
| **XII ტური** | | | |
| 18.11 | შ | ლოკომოტივი | 1:0 |
| ჩასემი | | | |
| **XIII ტური** | | | |
| 26.11 | ს | მერანი | 3:0 |
| ჩასემი (3) | | | |

სულ: 13 მატჩი, 7 მოგება, 2 ფრე, 4 წაგება, ბურთები 19-10, 23 ქულა

იტალია. სერია A. XX ტურის წინ

# ოდოს ბოლო მატჩი ლაციოში?

**დღეს**

**ასკოლი-ატალანტა**
**რეჯინა-პალერმო**

**ხვალ**

**ემპოლი-სამპდორია**
**ინტერი-ფიორენტინა**
**კატანია-კალიარი**
**ლივორნო-რომა**
**პარმა-ტორინო**
**სიენა-კიევო**
**უდინეზე-მესინა**
**ლაციო-მილანი**

იტალიის ჩემპიონატის მეორე წრე დღეს „ასკოლი"-„ატალანტას" შეხვედრით გაიხსნება, მოგვიანებით კი „პალერმო" „რეჯინას" ესტუმრება. სიცილიურ გუნდს თითქმის ორი თვეა სტუმრად არ მოუგია და ამის დიდი შანსი არც დღეს უნდა ჰქონდეს, გამომდინარე იქედან, რომ რეჯოკალაბრიელები საკუთარ კედლებში, როგორც წესი, ძლიერად თამაშობენ და კარგ შედეგებსაც აღწევენ. ამ გუნდების შარშანდელი დაპირისპირება რეჯოკალაბრიაში ფრედ 2:2 დასრულდა. საკვირაო მატჩებიდან, მნიშვნელობისა და დაძაბულობის მიხედვით, ერთბაშად სამის გამოყოფა შეიძლება. „ინტერით, დავიწყოთ, რომელიც „ფიორენტინას" მასპინძლობს. **რობერტო მანჩინის** გუნდი დიდებულ ფორმაშია და გზად ყველაფერს აცამტვერებს. გასულ ტურში „ინტერმა" სერია A-ს ყველა დროის რეკორდი დაამყარა, მას შემდეგ, რაც ზედიზედ მე-12 შეხვედრა მოიგო (სტუმრად „ტორინოსთან", 3:1) და ახლა ისღა დარჩენია, რომ საკუთარი რეკორდი გააუმჯობესოს. ოთხშაბათს მილანელებმა იტალიის თასიდან „ემპოლი" გამოთიშეს და ნახევარფინალში გავიდნენ. მიმდინარე ჩემპიონატში „ნერაძურიმ" „ფიორენტინას" მისსავე მოედანზე მოუგო (3:1), ისე, როგორც შარშანდელ დაპირისპირებაში „სან სიროზე" (1:0). ფლორენციელებს ორი მნიშვნელოვანი დანაკლისი აქვთ: დისკვალიფიკაციების გამო ვერ ითამაშებენ **მუტუ** და **უიფალუში**. დაშავებულია ასევე გარემარბი **სანტანა**, რომლის ადგილსაც სავარაუდოდ **ბლაზი** დაიკავებს. საინტერესო იქნება მსოფლიო ჩემპიონი გიგანტების, **ლუკა ტონისა** და **მარკო მატერაცის** დუელი. ხუთშაბათს მატერაციმ ამ შეხვედრაში გამარჯვების უდიდეს მნიშვნელობაზე ილაპარაკა და ტიფოზებს მოუწოდა, ყველას გელოდებით, „სან სირო" უნდა გავავსოთო, რაც, სხვათა შორის, „ინტერის" საშინაო თამაშებზე ამ ჩემპიონატში ჯერ არ მომხდარა (დასწრების რეკორდი 50 ათასია). მასპინძლებს **გროსო** და **კორდობა** გამოუჯანმრთელდათ, თუმცა ძნელი სათქმელია, ითამაშებენ თუ არა ძირითადში, რადგან მათ არყოფნაში **მაქსველიცა** და **ბურდისოც** ბრწყინვალედ ართმევდნენ თავს დაკისრებულ მოვალეობებს. თავდასხმაში **იბრაჰიმოვიჩის** მეწყვილე ალბათ ისევ **ადრიანო** იქნება. სასტარტო შემადგენლობაში **კამბიასოს** დაბრუნებას ელიან, რაც **სტანკოვიჩის** გამთამაშებლად გადანევასა და **ფიგუს** სკამზე გადაჯდომას გამოიწვევს. მეორე მნიშვნელოვანი შეხვედრა ლივორნოში გაიმართება, სადაც „რომა" ჩადის. ამ კვირის დასაწყისში „ლივორნოს" დიდი ამბები გადახდა თავს. გუნდმა „ატალანტასთან" 1:5 წააგო და პრეზიდენტმა **სპინელიმ არიგონი** პოსტიდან დაითხოვა, მაგრამ ფეხბურთელებმა მწვრთნელი უკან დააბრუნებინეს. ტოსკანელებს ორი თვეა არ გაუმარჯვიათ, არიგონის სხვა გზა არა აქვს – უნდა მოიგოს, უკიდურეს შემთხვევაში, არ უნდა წააგოს, თორემ დათხოვნა ამჯერად ნამდვილად არ ასცდება. დიდად სახარბიელო მდგომარეობაში არც მისი ვიზავი **ლუჩანო სპალეტია**. წინა ტურში „რომამ" მესინაში ფრე ითამაშა და „ინტერს" 9 ქულით ჩამორჩა, რაც „ჯალოროსის" ქულების მეტად გაფლანგვის უფლებას აღარ აძლევს. სტუმრების სიტუაციას ისიც ართულებს, რომ დისკვალიფიკაციების გამო **დე როსი** და **პისარო** ვერ ითამაშებენ. ჩილელის ადგილი შეიძლება, იანვარში ნაყიდმა გარემარბმა, **ტომას ვილჰელმსონმა** დაიკავოს, დე როსის კი **კასეტი** ჩაენაცვლება. ამ გუნდების შარშანდელი დაპირისპირება ლივორნოში ნულოვანი ფრით დასრულდა, პირველ წრეში „ჯალოროსიმ" „ოლიმპიკოზე" 2:0 მოიგო. ოთხშაბათს „რომა" იტალიის თასზე პარმას" დაუზავდა (2:2) და ორი მატჩის ჯამში ნახევრფინალის საგზურს დაეუფლა. ტურს კვირა ღამით მესამე მნიშვნელოვანი შეხვედრა დაასრულებს, სადაც „ლაციო" „მილანს" უმასპინძლებს. თამაშს ინტრიგას მატებს **მასიმო ოდოს** ფაქტორი. „ლაციოს" კაპიტანი ძლიერ არის მონადინებული „მილანში" გადასვლით და ამბობენ, რომ ამ თამაშის შემდეგ გადავა კიდეც. დიდია ალბათობა, რომ ხვალ მოედანზე არც გავიდეს, რადგან ადგილობრივი ტიფოზები სტვენით აიკლებენ და ამან შეიძლება, მის და მთლიანად გუნდის თამაშზე უარყოფითად იმოქმედოს. „ლაციომ" წინა ტურშიც შინ ითამაშა, მაგრამ „სიენასთან" ფრეზე (1:1) მეტს ვერ მიაღწია. „მილანი" აღმავლობის გზაზეა, ჩემპიონატში ზედიზედ სამი შეხვედრა მოიგო და ხუთშაბათს არეცოში წაგების (0:1) მიუხედავად, ორი მატჩის ჯამში იტალიის თასის ნახევარფინალშიც გავიდა. მეკარე **კალაჩის** დაშავების გამო, „როსონერი" იძულებული გახდა, ერთი კვირის წინათ „მესინას" გოლკიპერი **სტორარი** ეყიდა. თუ ახლადგამოჯანმრთელებულმა **დიდამ** მოედანზე გასვლა ხვალ მაინც ვერ შეძლო, მაშინ სტორარის დებიუტი ექნება. „როსონერის" დისკვალიფიკაციამოხდილი **გატუზო** უბრუნდება, თუმცა ტრავმების გამო ისევ ვერ ითამაშებენ **ნესტა** და **კაკა**. პირველ წრეში „მილანმა" „ლაციოს" „სან სიროზე" 2:1 მოუგო, შარშანდელი დაპირისპირება კი „ოლიმპიკოზე" ნულოვანი ფრით დასრულდა.


მასიმო ოდო (მარჯვნივ)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 19 | 16 | 3 | 0 | 41-16 | 51 |
| 2. რომა | 19 | 13 | 3 | 3 | 41-16 | 42 |
| 3. პალერმო | 19 | 12 | 2 | 5 | 37-23 | 38 |
| 4. ლაციო | 19 | 8 | 5 | 6 | 30-18 | 26 |
| 5. კატანია | 18 | 7 | 5 | 6 | 26-33 | 26 |
| 6. ემპოლი | 18 | 6 | 7 | 5 | 16-17 | 25 |
| 7. ატალანტა | 19 | 6 | 6 | 7 | 32-30 | 24 |
| 8. სამპდორია | 19 | 6 | 6 | 7 | 28-26 | 24 |
| 9. მილანი | 19 | 8 | 7 | 4 | 25-17 | 23 |
| 10. უდინეზე | 19 | 6 | 5 | 8 | 19-23 | 23 |
| 11. ტორინო | 19 | 5 | 7 | 7 | 15-23 | 22 |
| 12. ლივორნო | 19 | 5 | 7 | 7 | 19-29 | 22 |
| 13. სიენა | 19 | 4 | 10 | 5 | 16-20 | 21 |
| 14. ფიორენტინა | 19 | 10 | 4 | 5 | 30-17 | 19 |
| 15. კალიარი | 19 | 3 | 10 | 6 | 15-21 | 19 |
| 16. კიევო | 19 | 4 | 5 | 10 | 20-28 | 17 |
| 17. მესინა | 19 | 3 | 7 | 9 | 20-33 | 16 |
| 18. რეჯინა | 19 | 6 | 5 | 8 | 24-28 | 12 |
| 19. პარმა | 19 | 2 | 6 | 11 | 16-35 | 12 |
| 20. ასკოლი | 19 | 1 | 6 | 12 | 13-29 | [illegible] |

ინგლისი. პრემიერლიგა. XXIV ტურის წინ

# საუკეთესო ოთხეული საქმეში

**დღეს**

**ლივერპული-ჩელსი**
**ასტონ ვილა-უოტფორდი**
**ფულჰემი-ტოტენჰემი**
**მიდლსბრო-ბოლტონი**
**ნიუკასლი-ვესტ ჰემი**
**პორტსმუთი-ჩარლტონი**
**რედინგი-შეფილდ იუნაიტედი**
**მანჩესტერ სიტი-ბლექბერნი**

**ხვალ**

**ვიგანი-ევერტონი**
**არსენალი-მანჩესტერ იუნაიტედი**

დღეს "ლივერპული" "ჩელსის" უმასპინძლებს, ხვალ - "არსენალი" "მანჩესტერ იუნაიტედს". ინგლისში ფანებს მოსაწყენად არ ეცლებათ.

"მეთოფეებმა" საუცხოო ფორმა აკრიფეს. სათასო ტურნირებში "ლივერპულის" გაცამტვერებამ და "ბლექბერნთან" ათი კაცით გამარჯვებამ ლონდონელები მშვენიერ ხასიათზე დააყენა. **ტიერი ანრი** ფორმაშია, კარგად გამოიყურება მისი პარტნიორი თავდასხმაში, **ემანუელ ადებაიორი** (რომელმაც "იუნაიტედთან" პირველი წრის მატჩში გამარჯვების გოლი შეაგდო). "არსენალს" ნახევარდაცვაშიც არა ერთი ბომბარდირი ჰყავს. ასე რომ, **ედვინ ვან დერ სარს** დიდი ჯაფა დაადგება.

მაგრამ **არსენ ვენგერს** პრობლემებიც თავზესაყრელად აქვს. დაშავებულია დაცვის ლიდერი **ვილიამ გალასი**. ბლექბერნში მიღებული წითელი ბარათის გამო ვერ ითამაშებს ნახევარდაცვის ბურჯი **ჟილბერტო სილვა**. შუა ხაზში მასპინძლებს კიდევ ერთი წამყვანი მოთამაშე - **ფრედი ლიუნგბერგი** დააკლდებათ. ორი დღის წინანდელ ვარჯიშზე დაშავდა **რობინ ვან პერსი** (ჰოლანდიელს ბოლო ექვს თამაშში ხუთი გოლი ჰქონდა გატანილი). ძირითადში მის ადგილს ადებაიორი დაიკავებს. ჟილბერტოს **მატიო ფლამინი** შეცვლის.

"იუნაიტედს" ახალი პრობლემები არ აქვს. ვირუსისგან განიკურნა ცენტრალური მცველი **ვესლი ბრაუნი**. ის ტრადიციულად თადარიგში იქნება. მწყობრშია **ოლე გუნარ სოლსკიაერი**. "მენიუს" თავდასხმას კი მაინც **უეინ რუნი** და **ჰენრიკ ლარსონი** გაუძღვებიან. სხვათა შორის, რუნის ცხრა მატჩია, არ გაუტანია, მაგრამ "არსენალთან", ტრადიციულად, შედეგიანად თამაშობს. აქვე გეტყვით, რომ **სერ ალექს ფერგიუსონის** შეგირდებმა სტუმრად გამართულ ბოლო სამ შეხვედრაში მხოლოდ ოთხი ქულა აიღეს.

"ლივერპული" **რაფა ბენიტესის** ხელმძღვანელობით პრემიერლიგის მე-100 მატჩს გამართავს. **ჟოზე მოურინიო** "ჩელსისაც" ზუსტად მე-100-დ გაიყვანს მინდორზე. ჟოზემ 73 მატჩი მოიგო, 18 ფრედ დაასრულა და მხოლოდ 8 წააგო. ბენიტესის მონაგარი გაცილებით მოკრძალებულია: 55 გამარჯვება, 18 ფრე და 26 მარცხი. მოურინიო ბენიტესს პრემიერლიგაში 5-ჯერ შეხვდა და 5-ჯერვე მოუგო. ამ გუნდებს ერთი რამ მაინც აქვთ საერთო. ისინი სხვებზე ნაკლებ გოლს უშვებენ. ამ სეზონში "ლივერპულმა" 13-ჯერ შეინახა კარი მშრალად, "ჩელსიმ" - 12-ჯერ. მერსისაიდელებმა შინ ჩატარებული 11 მატჩიდან 9 მოიგეს და 2 ფრედ დაასრულეს. ბენიტესი შემადგენლობაში კორექტივებს შეიტანს: ის სამი ცენტრალური მცველით აღარ ითამაშებს და **ჯეიმი კარაგერს**, **სემი ჰიიპიასა** და **დანიელ აგერს** შორის ერთს სკამზე დასვამს. ტრავმა მოიშუშა ნახევარმცველმა **მარკ გონსალესმა**.

რაც შეეხება "ჩელსის". **პეტრ ჩეხი**, შეიძლება, ძირითადში ვიხილოთ. **ჯონ ტერი** ისევ ლაზარეთშია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ **მიკაელ ესიენი** დაცვის ცენტრში ითამაშებს. **უეინ ბრიჯი** დაშავებულია, ხოლო ნახევარდაცვის ცენტრში დისკვალიფიცირებული **კლოდ მაკელელეს** ადგილს **ჯონ ობი მიკელი** დაიკავებს.

გადავიდეთ სხვა მატჩებზე. "პორტსმუთი" აუტსაიდერ "ჩარლტონს" მიიღებს. მასპინძელთა შემადგენლობაში სადებიუტო მატჩს ჩაატარებს "არსენალიდან" გადაყვანილი ცენტრალური მცველი **ლორენი**. ის კიდევ ერთ ყოფილ არსენალელს, **სოლ კემპბელს** შეუწყვილდება.

"ტოტენჰემის" კაპიტანი **ლედლი კინგი** "ფულჰემთან" მატჩისთვის გამოჯანმრთელებას ვერ ასწრებს. მან, შეიძლება, მომავალ კვირას "არსენალთან" ლიგის თასის ნახევარფინალიც გამოტოვოს. "ასტონ ვილას" ბულგარელი ნახევარმცველი **სტილიან პეტროვი** უბრუნდება. ბირმინგემელებს კარგი შანსი აქვთ, 12-მატჩიანი მოუგებელი სერია დაასრულონ. დღეს მათი სტუმარი ბოლო ადგილზე მყოფი "უოტფორდია".


ჟოზე მოურინიო და რაფა ბენიტესი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩ. იუნ | 23 | 18 | 3 | 2 | 52-16 | 57 |
| 2. ჩელსი | 23 | 15 | 6 | 2 | 41-17 | 51 |
| 3. ლივერპული | 23 | 13 | 4 | 6 | 35-16 | 43 |
| 4. არსენალი | 23 | 12 | 6 | 5 | 43-19 | 42 |
| 5. ბოლტონი | 23 | 12 | 4 | 7 | 27-21 | 40 |
| 6. პორტსმუთი | 23 | 10 | 7 | 6 | 34-23 | 37 |
| 7. ევერტონი | 23 | 8 | 8 | 7 | 29-23 | 32 |
| 8. ტოტენჰემი | 23 | 9 | 5 | 9 | 28-31 | 32 |
| 9. რიდინგი | 23 | 9 | 4 | 10 | 31-31 | 31 |
| 10. მანჩ. სიტი | 23 | 8 | 6 | 9 | 19-25 | 30 |
| 11. ნიუკასლი | 23 | 8 | 5 | 10 | 26-29 | 29 |
| 12. ბლექბერნი | 22 | 8 | 4 | 10 | 24-31 | 28 |
| 13. ფულჰემი | 23 | 6 | 10 | 7 | 25-35 | 28 |
| 14. მიდლსბრო | 23 | 7 | 6 | 10 | 24-28 | 27 |
| 15. ასტონ ვილა | 23 | 5 | 11 | 7 | 24-28 | 26 |
| 16. შეფილდი | 23 | 6 | 6 | 11 | 18-30 | 24 |
| 17. ვიგანი | 22 | 6 | 4 | 12 | 23-36 | 22 |
| 18. ვესტ ჰემი | 23 | 5 | 4 | 14 | 15-36 | 19 |
| 19. ჩარლტონი | 23 | 4 | 4 | 15 | 18-43 | 16 |
| 20. უოტფორდი | 21 | 1 | 9 | 11 | 12-29 | 12 |

## ფეიენოორდი უეფადან მოხსნეს

გადაწყვეტილება საბოლოოა: "ფეიენოორდი" უეფას თასიდან მოხსნეს და აპელაციაზეც უარი უთხრეს. საქმე ეხება 30 ნოემბერს, "ნანსისთან" ჯგუფური ეტაპის მატჩის წინ და უშუალოდ თამაშის მსვლელობისას როტერდამელი ფანების აღვირახსნილ საქციელს, რამაც კლუბი მორალურად და მატერიალურად აზარალა. გათამაშებიდან მოხსნის პარალელურად, კლუბი 61 810 ევროთი (თავდაპირველად, ჯარიმა 123 615 ევროს ითვალისწინებდა) გალარიბდა.

1/16 ფინალში "ფეიენოორდი" "ტოტენჰემს" უნდა შეხვედროდა. უეფამ ორშაბათს უნდა გადაწყვიტოს, ინგლისური კლუბი ავტომატურად გავა მომდევნო ეტაპზე, თუ "ფეიენოორდის" შემდეგ ჯგუფში მეოთხე ადგილზე გასულ "ვისლას" დართავს ფლეი ოფში მონაწილეობის უფლებას.

## სპარტაკი: ამელია ან დე სანქტისი, კავენაგი ბორდოში წავიდა

"გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, თუ "სპარტაკი" ლივორნოელ მეკარე **მარკო ამელიას** ვერ შეიძენს, "უდინეზეს" კარის დარაჯ **მორგან დე სანქტისს** დაუკავშირდება. აქამდე ცნობილი იყო, რომ მოსკოველებს უდინელთაგან მხოლოდ განელი ნახევარმცველი **გიან ასამოა** აინტერესებდათ, მაგრამ ამ უკანასკნელმა 9 მილიონ ევროდ "სპარტაკის" თანაქალაქელ "ლოკომოტივს" მიაშურა.

ამასობაში, **ფერნანდო კავენაგიმ** "ბორდოსთან" საიჯარო კონტრაქტის გაფორმება გადაწყვიტა. ის საფრანგეთის ჩემპიონატში ექვს თვეს გაატარებს და რუსეთში დაბრუნდება. "სპარტაკს" არგენტინელი თავდამსხმელის გაყიდვა სურს, მაგრამ ჯერჯერობით, მასში 9 მილიონის გადახდის მსურველი არ მოიძებნა.

ჩელსი

# ჟოზე დარჩება, თუ...

## ლონდონელთა აღმასრულებელმა დირექტორმა მწვრთნელს სრული მხარდაჭერა აღუთქვა. ამასობაში, ერიქსონი თავის შანსს ელის

**ჟოზე მოურინიო** "ჩელსიში" მხოლოდ იმ შემთხვევაში დარჩება, თუ დირექტორატი მხარდაჭერას აღუთქვამს და პატივისცემით მოეპყრობა. ორი დღის წინათ **პიტერ კენიონმა** პორტუგალიელ სპეციალისტს საჯაროდ გამოუცხადა ნდობა. მოურინიომ კი საპასუხოდ ასეთი კომენტარი გააკეთა: *"მხარდაჭერა მარტო ფეხბურთელების ყიდვა არ არის. ის გაცილებით მეტია. მე ვიტყოდი, ფული უკანასკნელი რამაა, რაც მწვრთნელს სჭირდება. თუ დირექტორატი მხარს მიჭერს, მხარი უნდა დაუჭიროს ჩემს გუნდსაც, რადგან მე და ჩემი გუნდი ერთნი ვართ... იმის თქმა მინდა, რომ თუ კენიონის მიერ გამოცხადებული ნდობა და მხარდაჭერა ცარიელი სიტყვები არ არის - ვიმეორებ, საქმე მარტო სატრანსფერო ფულს არ ეხება - მაშინ, ყველაფერი რიგზე ყოფილა და მეც სიამოვნებით დავრჩები ლონდონში ჩემი კონტრაქტის ამოწურვამდე."*

ორი დღით ადრე კენიონმა სწორედ ამის იმედი გამოთქვა. მან უარყო სპეკულაციები სეზონის ბოლოს მოურინიოს მოსალოდნელი აბარგების თაობაზე და თქვა, დარწმუნებული ვარ, ჟოზე კონტრაქტის ბოლომდე დარჩებაო: *"მინდა დავადასტურო, რომ დირექტორატი ჟოზეს გვერდში დგას. გაცნობიერებული გვაქვს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მწვრთნელისთვის იმის ცოდნა, რომ კლუბს ის სჭირდება, აფასებს და მხარს უჭერს."*

"გარდიანის" ცნობით, მოურნიოს ამბებს გაფაციცებით ადევნებს თვალს **სვენ გორან ერიქსონი**. ის სარფიან შეთავაზებებზე უარს ამბობს იმ იმედით, რომ ახალი სეზონიდან "არისტოკრატებს" ჩაუდგება სათავეში. სვენს ერთხელ უკვე ჰქონდა "ჩელსიში" მოწყობის მცდელობა. **რომან აბრამოვიჩთან** მის საიდუმლო შეხვედრას დიდი აურზაური მოჰყვა. ვნახოთ, რა მოხდება ამჯერად. "გარდიანი" გვარწმუნებს, ერიქსონმა "მარსელის" პოტენციურ მეპატრონეს, კანადელ მილიონერ **ჯეკ კაჩკარს** განუცხადა, თქვენს წინადადებას იმ შემთხვევაში დავთანხმდები, თუ გრანდებიდან არავინ შემეხმიანებაო.

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XIX ტურის წინ

# ბარსამ დაკარგული უნდა აინაზღაუროს



რიიკაარდმა ბარსა უნდა გამოალვიძოს

**დღეს**

ატლეტიკო-ოსასუნა
ვილიარეალი-სევილია

**ხვალ**

ხეტაფე-სელტა
ბეტისი-რასინგი
სოსიედადი-ვალენსია
ლევანტე-ბილბაო
სარაგოსა-რეკრეატივო
დეპორტივო-ესპანიოლი
ბარსელონა-ხიმნასტიკი
მალიორკა-რეალი

"ვილიარეალის" მთავარი მწვრთნელისა და **ხუან რომან რიკელმეს** დაპირისპირება არ სრულდება. **მანუელ პელეგრინიმ** არგენტინელი ნახევარმცველი "სევილიასთან" მატჩისთვის კვლავაც არ გამოიძახა. ჩილელმა სპეციალისტმა ათვალწუნებული შეგირდი განაცხადში ზედიზედ მეხუთედ არ შეიყვანა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რიკელმეს 2007 წელს არც ერთ ოფიციალურ პაექრობაში მონაწილეობა არ მიუღია. პელეგრინი არ ხუმრობს, ის აცხდებს, რომ ის იქამდე არ ათამაშებს, მანამ გონს არ მოეგება და ნორმალურად არ ივარჯიშებს. თავის მხრივ, უკან დახევას არც რიკელმე აპირებს. მისი თქმით, ყველაფერი მწვრთნელის ხუშტურების ბრალია. ასეა თუ ისე, კონფრონტაცია სულ უფრო და უფრო ღრმავდება. თუ გავითვალისწინებთ, რომ პრეზიდენტმა **ფრანსისკო როიგმა** პელეგრინის კონტრაქტი კიდევ ერთი წლით გაუხანგრძლივა, უნდა ვივარაუდოთ, რომ არგენტინელს "ვილიარეალში" მომავალი არ გააჩნია. ამიტომაცაა, რომ ესპანელი მიმომხილველები ხუან რომანის ტრანსფერზე ალაპარაკდნენ.

"სევილია" "ვილიარეალს" სამი ქულის მოსაპოვებლად ესტუმრა. მართალია, ბოლოდროინდელმა პრიმერადივიზიონურმა წარუმატებლობებმა ანდალუსიელებს განწყობა გაუფუჭა, მაგრამ ისინი არც იმას ივიწყებენ, რომ მასპინძლებსაც სერიოზული პრობლემები აქვთ. შეგახსენებთ, "ვილიარეალმა" "ვალიადოლიდთან" პაექრობა დათმო და ესპანეთის სამეფო თასს გამოეთიშა.

თასისთვის ბრძოლას "რეალიც" ვერ გააგრძელებს. სამეფო კლუბმა ორმატჩიან დუელში "ბეტისს" ვერ აჯობა. *"დიდი იმედგაცრუება უნდა დავივიწყოთ და "მალიორკასთან" საბრძოლველად განვეწყოთ. წინაალმდეგ შემთხვევაში გამარჯვებას ვერ ვიზეიმებთ."* ასე მსჯელობს **ფაბიო კაპელო**. მოსალოდნელია, რომ იტალიელი სპეციალისტი არჩევანს კვლავ ახალწვეულებსა და კანტერის საუკეთესო მოთამაშეებზე გააკეთებს. **იგუაინისა** და **გახოს** თამაშით ის კმაყოფილებას არ მალავს. ბალეარელები აცნობიერებენ, რომ ურთულესი პაექრობა ელით, თუმცა ისინი მაინც სამი ქულისთვის ბრძოლას აპირებენ. **გრეგორიო მანსანოს** მტკიცებით, "სევილიასთან" მიღწეულმა გამარჯვებამ გუნდში არსებული სიტუაცია რადიკალურად შეცვალა.

დაკარგული ქულების ანაზღაურებას "ბარსელონაც" შეეცდება. **ფრანკ რიიკაარდის** შეგირდებს ბარსელონური დერბის შემდეგ კატალონიური დერბის გამართვა მოუწევთ. ქვეყნის ჩემპიონების მეტოქე ამჯერად "ხიმნასტიკი" იქნება. ტარაგონელებს ახალი პრეზიდენტი ჰყავთ, თუმცა ყველას ესმის, რომ ხელისუფლის შეცვლა მყისიერ შედეგს არ გამოიღებს. ბუნებრივია, დერბის ფავორიტი "ბარსელონაა". რიიკაარდს **ხავიერ სავიოლას** ძირითად შემადგენლობაში დაყენებას სთხოვენ. გამორიცხული არ არის, ჰოლანდიელმა ხალხის ვედრება შეისმინოს და მართლაც ასე მოიქცეს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სევილია | 18 | 12 | 1 | 5 | 37-19 | 37 |
| 2. ბარსელონა | 17 | 10 | 5 | 2 | 36-16 | 35 |
| 3. რეალი | 18 | 11 | 2 | 5 | 27-16 | 35 |
| 4. ვალენსია | 18 | 10 | 3 | 5 | 27-15 | 33 |
| 5. ატლეტიკო | 18 | 9 | 5 | 4 | 24-13 | 32 |
| 6. სარაგოსა | 18 | 9 | 3 | 6 | 30-20 | 30 |
| 7. რეკრეატიკო | 18 | 9 | 2 | 7 | 28-25 | 29 |
| 8. ოსასუნა | 18 | 8 | 2 | 8 | 27-23 | 26 |
| 9. ხეტაფე | 18 | 7 | 5 | 6 | 15-13 | 26 |
| 10. ესპანიოლი | 18 | 6 | 7 | 5 | 18-18 | 25 |
| 11. ვილიარეალი | 18 | 7 | 4 | 7 | 18-24 | 25 |
| 12. რასინგი | 18 | 6 | 6 | 6 | 17-22 | 24 |
| 13. სელტა | 18 | 5 | 6 | 7 | 21-25 | 21 |
| 14. დეპორტივო | 18 | 5 | 6 | 7 | 14-24 | 21 |
| 15. მალიორკა | 18 | 5 | 5 | 8 | 16-26 | 20 |
| 16. ბილბაო | 18 | 4 | 6 | 8 | 21-28 | 18 |
| 17. ლევანტე | 18 | 4 | 6 | 8 | 16-26 | 18 |
| 18. ბეტისი | 17 | 4 | 4 | 9 | 17-24 | 16 |
| 19. სოსიედადი | 18 | 2 | 7 | 9 | 12-24 | 13 |
| 20. ხიმნასტიკი | 18 | 2 | 3 | 13 | 16-36 | 9 |

მოსალოდნელი ტრანსფერი

# არაბმა შეიხმა რონალდო ლივერპულში ისურვა

ესპანური და იტალიური მედია **რონალდოს** "მილანში" ტრანსფერს ელის. "გაძეტა დელო სპორტი" წერს, რომ საკითხი დღეს არ ხვალ უნდა გადაწყდეს. ბარსელონური "დიარიო სპორტი" კი არ გამორიცხავს, მოვლენები სულ სხვა სცენარით განვითარდეს. მოგეხსენებათ, დუბაის ამირა **შეიხი მოჰამედ ბინ რაშიდ ალ მაქთუმი** "ლივერპულის" შესაძენად ემზადება. მოლაპარაკებები 450 მილიონიანი გარიგების თობაზე დასკვნით ფაზაშია შესული. თუ გაუთვალისწინებელი არაფერი მოხდება, მერსისაიდელებს არაბები დაეპატრონებიან. ინგლისური მედია ამტკიცებს, რომ "ლივერპული" "ჩელსიზე" მდიდარი კლუბი უნდა გახდეს. და აი, ამირა ალ მაქთუმის სურს, დიდი გარიგების აღსანიშნავად "ენფილდზე" რონალდო ჩაიყვანოსო, ვკითხულობთ "დიარიო სპორტში". შესაძლო ტრანსფერს ერთი პრობლემა ახლავს. "ლივერპული" რონალდოს ჩემპიონთა ლიგაში ვერ დაიხმარს, რადგან ფეხბურთელს ამ ტურნირში "რეალის" შემადგენლობაში აქვს ნათამაშები.



რონალდო

## ვესტერმანი შალკეში, ალთინთოფი?

"შალკეს" არმინიელი მცველის, **ჰაიკო ვესტერმანის** შეძენა სურს. ეს ინფორმაცია გელზენკირხენელთა გენერალურმა მენეჯერმა **ანდრეას მიულერმა** გაავრცელა. "მაღაროელები" ბრაზილიელი **გუსტავოს** შემცვლელს ეძებენ. ვესტერმანის ხელში ჩაგდება მათ მეზობელ "დორტმუნდსაც" სურს. 23 წლის ფეხბურთელს ბილეფელდურ კლუბთან კონტრაქტი 2008 წელს უმთავრდება. "არმინია" მას 5 მილიონ ევროდ აფასებს.

ამასობაში, მიულერმა ნახევარმცველ **ჰამით ალთინთოფს** მოსაფიქრებლად ორთვენახევარი მისცა. თურქმა ფეხბურთელმა მარტის ბოლომდე უნდა გადაწყვიტოს, "შალკესთან" ახალ კონტრაქტს გააფორმებს, თუ "გალათასარაიში" წავა. "მაღაროელები" არ მალავენ, რომ ალთინთოფის შენარჩუნება უნდათ, მაგრამ თუ ფეხბურთელს "ფელტინს არენაზე" დარჩენა აღარ სურს, მის სარფიანად გაყიდვას ეცდებიან.

## ლუიზაო დააპატიმრეს

"ბენფიკის" მცველ **ლუიზაოს** 40 საათის განმავლობაში საზოგადოებისთვის სასარგებლო სამუშაოს შესრულება მოუწევს. გასულ უქმეებზე 25 წლის ბრაზილიელი ლეგიონერი ლისაბონის პოლიციამ საკუთარი ავტომობილის საჭესთან დააპატიმრა. მის სისხლში ალკოჰოლის აკრძალული რაოდენობა აღმოაჩინეს. ლუიზაოს დაუყოვნებლივ ჩამოართვეს მართვის მოწმობა და წინასწარი დაკავების საკანში მოათავსეს. პორტუგალიის კანონმდებლობით, მსგავსი დარღვევისათვის მოქალაქეს მართვის უფლების სამი წლით ჩამორთმევა ან ერთწლიანი პატიმრობა ემუქრება.

## ლობონტი ფიორენტინიდან მიდის

რუმინეთის ნაკრების მეკარე **ბოგდან ლობონტი** სამშობლოში ბრუნდება. უახლოეს დღეებში ის "ფიორენტინას" დატოვებს და ბუქარესტის "დინამოსთან" სამწლიან კონტრაქტზე მოაწერს ხელს. დაუზუსტებელი ინფორმაციით, დინამოელები 500 ათასი ევროს გადაიხდიან. ლობონტი წლიურად 320 ათას ევროს მიიღებს და რუმინული ლიგის ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი გახდება. ბოგდანი ბუქარესტელთა ღირსებას იცავდა. "დინამოს" გარდა, მას თანაქალაქელ "რაპიდსა" და ამსტერდამის "აიაქსში" უთამაშია. რუმინეთის ნაკრებში ლობონტს 50 მატჩი აქვს ჩატარებული.



ხუან რამონ რიკელმე

ინტერი. ტრანსფერები

# მანჩინის სამი ფავორიტი

## ...და კასანოც იჯარით ნერაძურიში?

"ინტერის" ბოსმა **რობერტო მანჩინიმ** საზაფხულოდ სამი ფეხბურთელი შეიგულა. მისი მოთხოვნით, "ნერაძურის" დირექტორებმა, **გაბრიელე ორიალიმ** და **მარკო ბრანკამ** "ვილიარეალსა" და "რომასთან" წამოიწყეს მოლაპარაკებები. მანჩინის სამიზნეშია "სუბმარინების" ფლეიმეიქერი **ხუან რომან რიკელმე** და "ჯალოროსის" მცველები - **ამანტინო მანსინი** და **ფილიპ მექსე**. რიკელმეს თაობაზე რამდენიმე დღის წინაც ვწერდით. მას "ვილიარეალის" თავკაც **მანუელ პელეგრინისთან** პრობლემები აქვს და ახალ სამსახურს ეძებს. რაც შეეხებათ რომაელებს, მექსეს კონტრაქტი 18 თვეში იწურება. სეზონის ბოლოს მას უკვე შეუძლია სხვა შეთავაზებების განხილვა. მანსინის კი **ფრანჩესკო ტოტისთან** პრობლემების გამო შეუსუსტდა პოზიციები. ესეც ცნობილი ამბავია: ტოტი მანსინის იმ დროს დაუპირისპირდა, როცა **ანტონიო კასანოსთან** კონფლიქტი ჰქონდა, მანსინი კი მთელ გუნდში ერთადერთი აღმოჩნდა, რომელმაც კასანოს ღიად დაუჭირა მხარი. ამის გამო ამანტინოს არა მხოლოდ ფრანჩესკოთან, არამედ "ჯალოროსის" "ულტრასებთანაც" გაუფუჭდა ურთიერთობა. ამიტომ სამსახურის შეცვლა მისთვის საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა.

გუშინდელი "კორიერე დელო სპორტი" წერს, რომ "ინტერი" კასანოსთან საიჯარო კონტრაქტის გაფორმებასაც აპირებს. იდეა მანჩინის ეკუთვნის. გუნდის რამდენიმე ლიდერი კი მწვრთნელის განზრახვას კატეგორიულად ეწინააღმდეგება. მათ მძიმე ხასიათით ცნობილ ფორვარდთან საქმის დაჭერა არ სურთ.

მანჩესტერ იუნაიტედი

# კალინიჩენკო 6 მილიონად

## ვიდიჩის შემდეგ მეორე სპარტაკელი ოლდ ტრეფორდზე?

"მანჩესტერ იუნაიტედმა" მოსკოვის "სპარტაკიდან", შეიძლება, კიდევ ერთი ფეხბურთელი იყიდოს. საუბარია უკრაინის ნაკრების ნახევარმცველ **მაქსიმ კალინიჩენკოზე**, რომელიც "მენიუს" სერბი მცველის, **ნემანია ვიდიჩის** (ისიც მოსკოვიდან წაიყვანეს) მეგობარია. "სპარტაკმა" 27 წლის კალინიჩენკოს სანაცვლოდ 6 მილიონი გირვანქა მოითხოვა. ტრანსფერის შემთხვევაში, ფეხბურთელი ჩემპიონთა ლიგაში ვერ ითამაშებს, რადგან ამ ტურნირში სახალხო გუნდის მაისურით იასპარეზა.

"იუნაიტედმა" კონტრაქტი გაუფორმა ჩინეთის ნაკრების თავდამსხმელ **დონ ფანჟოუს**. ის ეშმაკებთან 2010 წლამდე დარჩება. "მენიუმ" დონი 2004 წლის ზაფხულში იყიდა, მაგრამ ფეხბურთელმა ბრიტანეთის სამუშაო ვიზა ვერ მიიღო და "ანტვერპენში" გაანათხოვრეს. ჩინელმა ლეგიონერმა ბელგიაში 61 მატჩი ჩაატარა და 35 გოლი შეაგდო. ამ დღეებში მას, როგორც იქნა, ბრიტანეთში მუშაობის ნება დართეს და სასწრაფოდ მანჩესტერს მიაშურა. დონს 21-ნომრიანი მაისურა გადაეცა. მას "იუნაიტედის" შემადგენლობაში ოფიციალური მატჩი ჯერ არ გაუმართავს.



მაქსიმ კალინიჩენკო

და კიდევ, "მანჩესტერმა" "პარმას" ექვსი თვით ათხოვა 19 წლის თავდამსხმელი **ჯუზეპე როსი**. ის ამერიკაშია დაბადებული, მაგრამ იტალიის ახალგაზრდული ნაკრების წევრია. "მენიუმ" როსი 2004 წელს "პარმიდან" წაიყვანა, მიმდინარე სეზონის პირველ ნახევარში კი "ნიუკასლში" ჰყავდა მივლინებული. სეზონის ბოლოს როსი "იუნაიტედში" უნდა დაბრუნდეს. მისი გამოსყიდვის საკითხი დღის წესრიგში არ დგას.

იუვენტუსი. ვარსკვლავი

# დელ პიერო 500

## ლიპი: ალექსი განსაკუთრებული მოვლენაა

დღეს "იუვენტუსი" "ბარის" უმასპინძლებს და სატურნირო ცხრილის სათავეში პოზიციების გამტკიცებას შეეცდება. ამ შეხვედრას **ალექს დელ პიეროსთვის** განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. თავად განსაჯეთ: ტურინელთა კაპიტანი მე-500 მოირგებს "ქალბატონის" მაისურას. 32 წლის თავდამსხმელი "იუვეში" მე-14 სეზონს ატარებს. ის ერთ-ერთი იყო იმ ვარსკვლავთაგან, რომლებიც შერცხვენილ "ბიანკონერის" ულაპარაკოდ გაჰყვნენ სერია B-ში. დელ პიერო სწორედ ქვედა დივიზიონში გახდა "იუვენტუსის" ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი. და აი, დღეს ის კიდევ ერთ ღირსშესანიშნავ ზღურბლს გადააბიჯებს. იტალიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი **მარჩელო ლიპი** ალექსისთვის ქების სიტყვებს არ იშურებს: *"ის განსაკუთრებული მოვლენაა. ერთეულებმა მიაღწიეს 500-მატჩიანი ნიშნულს "იუვენტუსის" შემადგენლობაში, აღარაფერს ვამბობ ამ კლუბის მაისურით გატანილ 203 გოლზე. როცა ვინმე "იუვეზე" ფიქრობს, მას უმალ დელ პიერო ახსენდება. ის მთელი იტალიური ფეხბურთის სიმბოლოა და ნამდვილი ლიდერია. ალექსმა ლიდერის თვისებები მსოფლიოს ჩემპიონატზეც წარმოაჩინა."*



ალექს დელ პიერო


ლენარტ იოჰანსონი

უეფა. საპრეზიდენტო არჩევნების წინ

# იოჰანსონმა და პლატინიმ დასცხეს...

## ახალგაზრდა ფრანგი მოხუც შვედს უმოქმედობას უწუნებს და პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, ჩემპიონთა ლიგის ფორმატის შეცვლას გეგმავს


ეროვნული ბიბლიოთეკა
მიშელ პლატინი

26 იანვარს უეფას კონგრესი ძველ ან ახალ პრეზიდენტს აირჩევს. მოხუცი **ლენარტ იოჰანსონი** თუ ახალგაზრდა **მიშელ პლანტინი?** ასე იდგება საკითხი დიუსელდორფის თავყრილობაზე. პრეზიდენტობის კანდიდატები დარჩენილ დროს ქულების (შესაბამისად, ხმების) მოგროვებაში ატარებენ. პლატინის მთავარი დასაყრდენი ნაკლებგავლენიანი ეროვნული ასოციაციებია. მან უკვე წამოაყენა იდეა ჩემპიონთა ლიგის ფორმატის შეცვლასთან დაკავშირებით. მისი გეგმა პატარა ქვეყნებისთვის მეტ ხელშეწყობას ითვალისწინებს. მოსიე მიშელი მიიჩნევს, რომ ხელმოკლე კლუბებს ლიგაში კვოტა უნდა გაეზარდოთ, რაც პატარა ქვეყნებში ფეხბურთის განვითარების წინაპირობა იქნება.

კეთილი და პატიოსანი, ეს საქართველოს წისქვილზეც ასხამს წყალს, მაგრამ გვეჩვენება, რომ იდეა, ცოტა არ იყოს, პოპულისტურია და ჩვეულებრივ ქულების მოგროვებაზეა გათვლილი. რა ძნელი მისახვედრია, რომ მთავარი საკლუბო ტურნირისთვის ფორმატის შეცვლის მცდელობაც კი უეფაში სერიოზულ განხეთქილებას გამოიწვევს. პლატინის იდეით, ცვლილება გრანდების ხარჯზე უნდა მოხდეს. ახლა კი ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ ესპანეთი, იტალია, ინგლისი, გერმანია და საფრანგეთი ამას უსიტყვოდ შეეგუებიან. ჩემპიონთა ლიგა ფულის დიდი ტომარაა, ტომარა, რომელსაც წლიდან წლამდე სულ უფრო მეტი მოგება მოაქვს. ამ მოგებას სწორედ გრანდები განაპირობებენ და ეს არავისთვის საკამათო არ არის. უკვე შეიძლება იმის თქმა, რომ პლატინის გეგმა ჩანასახშივე მკვდარია, თუმც კი, ვიმეორებთ: ფორმატის შეცვლა-გამარტივებას საქართველო ორი ხელით მიესალმება და ამიტომ, **ნოდარ ახალკაცი** 26 იანვარს პლატინის დაუჭერს მხარს...

გუშინ პლატინის გეგმა მისმა კონკურენტმა გააკრიტიკა. თავის მხრივ, იოჰანსონმა პირობა მისცა მხარდამჭერებს (მათ შორის, ეგრეთ წოდებულ ბობოლა ქვეყნებს), რომ ჩემპიონთა ლიგის ფორმატს ხელს არ ახლებს:

*"არაფრის შეცვლას არ ვაპირებ იმ შეჯიბრებაში, რომელიც ესოდენ წარმატებულია როგორც სპორტული, ასევე ფინანსური თვალსაზრისით. უბრალოდ, ამისთვის საფუძველს ვერ ვხედავ. თქვენ შეგიძლიათ, ჰკითხოთ პლატინის, რა მიზნით აპირებს ფორმატის შეცვლას. ჩემპიონთა ლიგის მატჩების ტრანსლაცია მთელი მსოფლიოს მასშტაბით ხდება და სპორტის სხვა სახეობები დიდი ხანია, ცდილობენ მოგვბაძონ ამ საქმეში".*

იოჰანსონის თქმით, არჩევნებში მისი მონაწილეობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ევროპის საფეხბურთო ოჯახში ერთიანობის შენარჩუნებაა. ის თვლის, რომ პლატინის გეგმები ამ ერთიანობას წყალს შეუყენებს. თავის მხრივ, პლატინი მიიჩნევს, რომ 77 წლის შვედი, ასაკიდან გამომდინარე, აქტიური არ არის, რაც ფეხბურთის წინსვლას სერიოზულად აზარალებს. ის აპირებს, რომ უეფას "მოქმედი" პრეზიდენტი იყოს. ამასთან დაკავშირებით, იოჰანსონი დასძენს:

*"ბევრს ვმუშაობდი იმაზე, რომ გარკვეული მიზნებისთვის მიმეღწია. ერთ-ერთი მათგანი ისაა, რომ მომავალშიც გავაფართოვო უეფას პრეზიდენტის როლი, როგორც ადამიანისა, რომელიც გადაწყვეტილების მიღებამდე სხვების აზრსაც ისმენს და ყოველდღიურად არ ერევა ორგანიზაციის საქმეებში. მიმაჩნია, რომ სწორედ ასეთი მიდგომით გახდა უეფა მძლავრი და ყოველმხრივ მოწესრიგებული ორგანიზაცია. ასე ვაპირებ მუშაობას მომავალშიც".*

---

ინტერვიუ კარლოს დუნგასთან

# ნამდვილ სელესაოს დავაბრუნებ

**ბრაზილიის ნაკრებმა შარშან ზაფხულში დიდი სირცხვილი ჭამა. მსოფლიოს ჩემპიონატის უმთავრეს ფავორიტად შერაცხული სამხრეთ ამერიკელები, მუნდიალს მეოთხედფინალიდან გამოეთიშნენ. ამბობენ, რომ გასულ წელს გამართული მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ, „სელესაოში" ძირეული ცვლილებები დაიწყო. ამ ცვლილებებს კი, სათავე ახალმა მწვრთნელმა, კარლოს დუნგამ დაუდო. ბრაზილიელებმა გერმანელებს მიბაძეს და ნაკრების თავკაცად დანიშნეს კაცი, რომელსაც არანაირი სამწვრთნელო გამოცდილება არ ჰქონდა. დუნგას გერმანული „შპორტბილდი" გაესაუბრა.**

**- კარლოს დუნგა, მიგაჩნიათ თუ არა, რომ ე.წ. საცდელი პერიოდი წარმატებით გადალახეთ?**

- დიახ, რა თქმა უნდა. ჩემი სამსახურით ძალიან ბედნიერი ვარ. როცა კაცს რაღაცის სჯერა, პოზიტიურად ფიქრობს და რაც მთავარია, იბრძვის, სანადელს აუცილებლად მიაღწევს.

**- ზაფხულში, როცა ბრაზილიის საფეხბურთო კავშირთან კონტრაქტს აფორმებდით, ოდნავ მაინც არ დაგეუფლათ იმის შიში, რომ ამ საქმეს თავს ვერ გაართმევდით? „სელესაოს" მწვრთნელობა ხომ უდიდესი პასუხისმგებლობაა...**

- შიშებისთვის დრო არ მქონია. და თქვენ წარმოიდგინეთ, "სელესაოს" მთავარი მწვრთნელის კონტრაქტი არ მაქვს!

**- ეგ, როგორ?**

- აი, ასე. დღემდე არ გამიფორმებია სპეციალური კონტრაქტი, რომელშიც ეწერება, რომ მე, კარლოს დუნგა, ბრაზილიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვარ, ამა და ამ დრომდე ვიქნები და ამდენ და ამდენ ხელფასს ავიღებ. ჩემი ხელშეკრულება ჩვეულებრივია და ეს სავსებით საკმარისია. მეც ისეთივე კონტრაქტი მაქვს, როგორიც მაგალითად პრეზიდენტის მდივანს ან CBF-ის ჩვეულებრივ მოსამსახურეებს. ეს კონტრაქტი მთავარი მწვრთნელის პოსტზე დანიშვნამდე რამდენიმე თვით ადრე გავაფორმე. ერთი სიტყვით, მე ბრაზილიის საფეხბურთო კავშირის ჩვეულებრივი მუშაკი ვარ.

**- და თქვენ არ ფიქრობთ, რომ ეს, ცოტა არ იყოს, სულელურია?**

- მოდით, ასე ვიტყვი: ჩემთვის მთავარია, რომ „სელესაოს" მთავარი მწვრთნელი ვარ და ჩემს საქმეში ცხვირს არავინ ყოფს. ყველა გადაწყვეტილებას თვითონ ვიღებ და არავინ არაფერს მირჩევს. ხოლო, რაც შეეხება გარანტიებსა და უსაფრთხოებას, ასეთი რაღაცეები ჩვენ, გაუჩოებს არ გვჭირდება. ჩვენ კონტრაქტს ასე ვაფორმებთ ხოლმე: ერთმანეთს ულვაშებიდან ამოძრობილ ბეწვს ვუცვლით.

**- ეს ნიშნავს, რომ...**

- ჩვენ უბრალოდ ერთმანეთს ვენდობით.

**- ჰო, მაგრამ საშობაო პრემია ხომ თქვენც გჭირდებათ, ან შვებულებაში წასვლა. ეს ყველაფერი როგორაა დარეგულირებული?**

- წელიწადში 28 დღე შემიძლია დავისვენო, თეორიულად. მაგრამ რატომღაც მგონია, რომ შვებულებას არ გამოვიყენებ. პლაჟზე ყოველი გასვლა ჩემთვის ძალიან კარგი დასვენებაა. რაც შეეხება, საშობაო პრემიას (იცინის), ნუ ნაღვლობთ, ფულს მიხდიან.

**- მხარში ჟორჟინიო ამოიყენეთ. ეს თქვენი იდეა იყო?**

- დიახ, რა თქმა უნდა. როცა დავინიშნე, ცხადი გახდა, რომ ჩემი შტაბი თვითონ უნდა შემექმნა და იმ ხალხით დამეკომპლექტებინა, ვისაც ვენდობოდი. პირველად სწორედ ჟორჟინიო გამახსენდა და სიმართლე გითხრათ, ბევრი არც მიფიქრია. ჩვენ ერთმანეთს შესანიშნავად ვუგებთ. მე მას ვენდობი, ძალიან გულახდილი პიროვნება და ჩინებული პარტნიორია. მასში ყველაზე მეტად ის მომწონს, რომ ყველაფერზე თავს კი არ მიქნევს, როცა განსხვავებული აზრი აქვს, მეკამათება კიდეც და ჩვენი დისკუსია ხშირად საათები გრძელდება ხოლმე. პროფესიონალია და შესანიშნავი ხედვა აქვს.

**- თქვენგან განსხვავებით, ჟორჟინიოს ადრეც უმუშავია მწვრთნელად და ამ მხრივ თქვენზე მეტი გამოცდილება აქვს...**

- ასეთ დეტალებზე არცერთი არ ვფიქრობთ. ჟორჟინიო ყველაფერში მაგრად მეხმარება, ვიდეოჩანაწერებს უყურებს, თითოეულ ფეხბურთელს დაწვრილებით იკვლევს და ა.შ. რაც შეეხება, მოთამაშეების გამოძახებას: ამაზე მხოლოდ მე ვმუშაობ. მხოლოდ მე ვწყვეტ, ვინ უნდა ითამაშოს ბრაზილიის ნაკრებში.


კარლოს დუნგა

**- თქვენი მდგომარეობა ძალიან ჰგავს იურგენ კლინსმანის იმდროინდელ მდგომარეობას, როცა ის გერმანიის ნაკრებში დაინიშნა. კლინსმანმა ბუნდესგუნდში ძალიან ბევრი სიახლე დაამკვიდრა. მაგალითად, თავის ფეხბურთელებს ნაკრებში გამოძახებას ელექტრონული ფოსტით ატყობინებდა ხოლმე. თქვენც ასე ხომ არ იქცევით?**

- ნაკრებში გამოსაძახებელ ფეხბურთელთა სიას პირველად ყოველთვის ჟორჟინიოს ვაცნობ. ამის თაობაზე ფეხბურთელებს პირადად მე არასდროს ვატყობინებ. თითოეული მოთამაშე საფეხბურთო კავშირისგან იღებს შეტყობინებას, რომელიც ყველას აცნობებს, რომ „სელესაოშია" გამოძახებული. ეს თამაშამდე ორი კვირით ადრე ხდება. თუმცა, მე არ ვარ დისტანციური. თითოეულ მოთამაშეს აქვს ჩემი ტელეფონის ნომერი და შეუძლიათ, ნებისმიერ დროს დამირეკონ, თუკი ამას საჭიროდ ჩათვლიან და თუკი რამე დასჭირდებათ. მაგრამ ჯერ ასეთი რამ არ მომხდარა.

**- მსოფლიო ფეხბურთის ამბებს როგორ იგებთ?**

- ტელევიზორს ვუყურებ, გამოწერილი მაქვს „როიტერის" მასალები, ვკითხულობ სპორტულ გაზეთებს.

**- გყავთ თუ არა სკაუტი ან საკუთარი ჯგუფი, რომელიც ევროპაში ბრაზილიელი ფეხბურთელების თამაშებს დაესწრება და ყველას დააკვირდება?**

- არა.

**- საინტერესოა, რა რჩევა-დარიგებებს აძლევთ ხოლმე ფეხბურთელებს, რის მიხედვით აწყობთ ტაქტიკას და ა.შ.**

- გააჩნია, ვინაა ჩვენი მეტოქე. არ მაქვს ერთი კონკრეტული ტაქტიკა, რომელზეც ვიტყვი, რომ ის ჩემთვის უსაყვარლესი და ყველაზე წარმატებულია. ასეთი რამ არ არსებობს. სტრატეგიას მეტოქიდან გამომდინარე ვირჩევ. გააჩნია, რა სისუსტეები აქვს ჩვენს მოწინააღმდეგეს. ბევრი ფიქრობს, რომ „სელესაოში" კიდევ მოხდება დიდი ცვლილებები. ეს ასე არ არის. მომდევნო ტესტმატჩებში მაქსიმალურად შევეცდები, გავიგო, რამდენად კარგად მომყვება ის კონტიგენტი, რომელსაც აქამდე ვირჩევდი და ვენდობოდი. ბრაზილიის ნაკრებმა თავი შეირცხვინა, იმიჯი შეილახა და თავს ლაფი დაისხა – მინდა, ნამდვილი „სელესაო" დავაბრუნო!

**- ვინ იფიქრებდა, რომ ასე მალე გამოეთიშებოდით მსოფლიოს ჩემპიონატს...**

- ეს მთელი ქვეყნისთვის ფიასკო და უდიდესი იმედგაცრუება იყო. თითქმის ყველა ბრაზილიელი ფეხბურთით ცხოვრობს და ასე განსაჯეთ, მე უფრო მეტს მთხოვენ, ვიდრე ქვეყნის პრეზიდენტ ლულას. ჩვენი ხალხისთვის ფეხბურთი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პოლიტიკა ან ეკონომიკა. შესაბამისად, წნეხიც უმძიმესია. ყველა ხელებში მიყურებს, ჩემს თითოეულ ნაბიჯს აკონტროლებენ და ა.შ. ვერ ვიტყვი, რომ ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელობა იოლია, მაგრამ შიში კი არაფრისა მაქვს.

**- რომელ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ფეხბურთელი იმისთვის, რომ თქვენს სიაში მოხვდეს?**

- პირველ რიგში, დარწმუნებული უნდა ვიყო მის შესაძლებლობებში, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არაა საკმარისი. არის კიდევ ერთი რამ და კერძოდ, ნდობა. ფეხბურთელს უნდა ვენდობოდე! ამიტომაცაა, თითოეულ მოთამაშეს ყველა ნაბიჯს რომ ვუკონტროლებთ. იმისათვის, რომ ფეხბურთელმა ჩემი ნდობა მოიპოვოს, დიდი ანალიზია საჭირო. ბევრი ფიქრობს, დუნგამ ის ფეხბურთელები უნდა გამოიძახოს, ვისაც იმ კონკრეტულ შემთხვევაში ყველაზე მეტი გოლი გააქვსო. ეს შეცდომაა. მოთამაშე მენტალურადაც მზად უნდა იყოს ნაკრებში სათამაშოდ. ის უნდა ამაყობდეს იმით, რომ „სელესაოში" გამოიძახეს. სამწუხაროდ, ბოლო დროს ზოგზოგიერთები ამით აღარ ამაყობდნენ. კონკრეტულ გვარებს არ დავასახელებ.

**- ამბობენ, რომ სპონსორები ყოველთვის ახდენენ გავლენას შემადგენლობის შერჩევაზე. მაგალითად, იძულებული ხართ თუ არა, რომ ფეხბურთელების სიის შედგენისას, „ნაიკის" სურვილები გაითვალისწინოთ?**

- არა, ეს შეცდომაა. „ნაიკს" ბრაზილიელი ფეხბურთელების უმრავლესობასთან კერძო კონტრაქტები აქვს, მაგრამ ხომ გითხარით, ჩემს საქმეში ცხვირს ვერავინ ჩაყოფს. ვიცი, ჟურნალისტებს ძალიან უნდათ, რომ მწვრთნელები მარიონეტებად გამოგვიყვანონ. ჩვენი ფორმულა ძალიან მარტივია: მართვა-ბრაზილიის საფეხბურთო კავშირი. ტაქტიკა-დუნგა და ჟორჟინიო. ხომ გესმით, რასაც ვამბობ?

**- რა შეიცვალა თქვენს ცხოვრებაში მას მერე, რაც ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი გახდით?**

- ყველაფერი. თავისუფალი დრო ჩემთვისაც კი აღარ მაქვს, არათუ ოჯახისთვის ან მეგობრებისთვის. თუმცა ისინი კარგად მიგებენ და იოლად მპატიობენ იმას, რომ მათთან ბევრ დროს ველარ ვატარებ. თავად განსაჯეთ, ძალიან ბევრი საქმე მაქვს და ყველაფრის კოორდინირება არც ისე იოლია. ცოტა ხნის წინათ იაპონიაში ვიყავი, ახლა თქვენთან ერთად ვზივარ, ხვალ ჩილეში უნდა წავიდე. აი, ასეა ყოველთვის.

**- ცნობილი ფაქტია, რომ ჟურნალისტებთან მაინც და მაინც კარგი ურთიერთობა არ გაქვთ და რომ ინტერვიუების ჩამორიგება არ გიყვართ. რატომ?**

- რამდენადაც ცოტას ილაპარაკებ, მით უკეთესია. გარდა ამისა, ნამდვილად არა მაქვს იმის დრო და სურვილი, რომ მთელი დღის განმავლობაში ჟურნალისტებს ვხვდებოდე და მათ სტანდარტულ კითხვებს ვპასუხობდე. ეს ხომ ნერვებს დამაწყვეტს. ჩემს დროს და მთლიანად ჩემს თავს „სელესაოს" ვუძღვნი. ზოგჯერ ჟურნალისტები ძალიან მიბრაზდებიან ხოლმე, მაგრამ რა ვქნა, ეს ნაკლებად მადარდებს. ჭკუა მაინც ვერ ვისწავლე – მიუხედავად პრესის წარმომადგენლებთან ურთიერთობის დიდი გამოცდილებისა, მათ მაინც გულახდილად ვესაუბრები ხოლმე. ზოგჯერ ისეთ რაღაცეებსაც ვუამბობ, რაზეც წესით არ უნდა ვლაპარაკობდე. თუმცა უფრო ყურადღებიანი გავხდი, იმ მხრივ, რომ ინტერვიუებს იშვიათად ვიძლევი.

**- ბრაზილიელი ჟურნალისტები იმასაც კი აქცევენ ყურადღებას, როგორ და რას იცვამთ...**

- ხალხი ფიქრობს, რომ მწვრთნელს ყოველთვის კოსტიუმი უნდა ეცვას და ჰალსტუხი ეკეთოს. მე უფრო მსუბუქი სტილი მაქვს. ჩემი ქალიშვილი გაბრიელა მომავალი დიზაინერია და კარგ რჩევა-დარიგებებს მაძლევს ხოლმე. მოდაში გამარკვია.

**- პორტო ალეგრეში არის გაჭირვებულთა უბანი. ცნობილია, რომ თქვენ იქ ხშირად დადიხართ. არ გეშინიათ, რომ დაგაყაჩაღებენ?**

- არა, იმიტომ, რომ მე მათ ვეხმარები და ვიცი, არაფერს დამიშავებენ. ამიტომაცაა, იმ უბანში თავისუფლად რომ დავდივარ.

**გოტფრიდ ლენცი**

ბარსელონა

# აბრამოვიჩი არ ისვენებს

## ჩელსის მეპატრონე ბრაზილიელი გენიოსის ხელში ჩასაგდებად უპრეცედენტო თანხას ამზადებს...

**რონალდინიო** ევროპული გრანდების ყველაზე სასურველი და საოცნებო ფეხბურთელია. "ბარსელონის" ხელმძღვანელობას არაერთხელ უთქვამს, რომ ბრაზილიელს არავითარ შემთხვევაში არ გაყიდის. ასეთი კატეგორიულობის მიუხედავად, ფულიანი პრეზიდენტები არ ისვენებენ. გაუჩოს გადაბირებაზე **სილვიო ბერლუსკონი, მასიმო მრატი** და **რომან აბრამოვიჩი** ოცნებობენ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მეტად "ჩელსის" მილიარდერი მეპატრონე აქტიურობს. "დეილი მირორის" ინფორმაციით, რუსი ოლიგარქი მიზნის მისაღწევად 75 მილიონ ფუნტს გადაიხდის. უნდა მოგახსენოთ, რომ ფეხბურთის ისტორიაში ამხელა თანხა არც ერთი ფეხბურთელის სანაცვლოდ არ გადაუხდიათ. ინგლისური გამოცემა გვარწმუნებს, რომ აბრამოვიჩის განზრახვა არც ჭორია და არც ხუმრობა.

"დეილი მირორის" მიერ წამოწეულ თემას კატალონიაშიც გამოეხმაურნენ. "დიარიო სპორტის" კორესპონდენტი წერს, რომ "ჩელსის" გააქტიურების შესახებ ყველაზე ადრე რონალდინიოს მენეჯერებმა და **ჩიკი ბეგირისტაინმა** შეიტყვეს. "ბარსას" გენერალური დირექტორი, რა თქმა უნდა, წინააღმდეგია. ის **ხოან ლაპორტას** შეხვდა და სამომავლო სამოქმედო სტრატეგიაზე მოეთათბირა.

"ბარსელონას" რონალდინიოს შესანარჩუნებლად შესაძლოა, მისთვის ხელფასის მომატება მოუხდეს. გამორიცხული არ არის, სენიორ ლაპორტას **იოჰან კრუიფთან** სერიოზული საუბრის გამართვამაც მოუწიოს. მოარული ხმების თანახმად ლეგენდარული ჰოლანდიელი გაუჩოს დაუპირისპირდა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ კრუიფს კატალონიურ საფეხბურთო წრეებში დიდი გავლენა აქვს. მფრინავი ჰოლანდიელი თურმე გაიძახის, რომ გაუჩოს ვარსკვლავის ავადმყოფობა შეეყარა და დაკისრებულ მოვალეობებს პირნათლად ველარ ასრულებს. ბუნებრივია, პლანეტის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ასეთ თავდასხმებს ვერ მოითმენს. თუ "ბარსელონას" ამ დიადი კაცის შენარჩუნება სურს, ბეგირისტაინმა და ლაპორტამ კრუიფს ენა უნდა ჩააგდებინონ. თუ ისინი ამას ვერ შეძლებენ, "ჩელსის" მიზნის მიღწევა გაცილებით გაუადვილდება. ესპანეთის ჩემპიონებმა რამდენიც არ უნდა თქვან, საუკეთესო ფეხბურთელს არ ვყიდითო, მრავალათეულმილიონიან შეთავაზებასთან გამკლავება გაუჭირდებათ. მონათმფლობელური წყობილება ისტორიის კუთვნილებაა, ამიტომ გენიალურ ბრაზილიელს ვერავინ დააკავებს. ის ახლა "ბარსელონას" სიყვარულსა და ერთგულებაში უტყდება, მაგრამ ბრიტანელი ჟურნალისტები გვარწმუნებენ, რომ კრუიფი მას ყელში ამოუვიდა. მოარული ხმების თანახმად, ბრაზილიელს უთქვამს, მას თუ არ მომაშორებენ და დამასვენებენ, წასვლაზე სერიოზულად დავფიქრდებიო.

ამასობაში, **ლეონელ მესიმ მასიმო მორატის** შეთავაზებას უპასუხა. შეგახსენებთ, რომ "ინტერის" მეპატრონემ ახალგაზრდა არგენტინელის გადაბირების სანაცვლოდ 100 მილიონი ევროს გადახდის მზადყოფნა გამოთქვა. მორატიმ არ დამალა, რომ ახალი გუნდის მშენებლობას იწყებს და მესის საკვანძო ფიგურად მიიჩნევს.

არგენტინელმა იტალიელ ნავთობმაგნატს დაახლოებით ორკვირიანი დაგვიანებით უპასუხა: *"ჩემთვის საამაყო და სასიამოვნოა, რომ ისეთი დიდი გუნდი, როგორიც "ინტერია" სერიოზულ დაინტერესებას გამოთქვამს. მასიმო მორატი საფეხბურთო სამყაროში კარგად ნაცნობი ადამიანია. მას ყველა პატივს სცემს. მადლობის მეტი არაფერი მეთქმის, თუმცა მე "ბარსელონის" ფეხბურთელი ვარ. ამით ალბათ, ყველაფერია ნათქვამი. "ბარსა" პლანეტის საუკეთესო გუნდია. გარდა ამისა, ქალაქიც უზომოდ მომწონს. მოკლედ, აქ უაღრესად ბედნიერად ვცხოვრობ და სხვაგან წასვლა არ მინდა. "ბარსაში" რომ არ ვასპარეზობდე, სინიორ მორატის წინადადებაზე სერიოზულად დავფიქრდებოდი. ახლა კი საფიქრალიც არაფერია. "ბარსელონას" არაფერზე გავცვლი."*

**ხავიერ სავიოლა** ბოლო დღეების გმირია. არგენტინელმა ფორვარდმა სამი გოლი გაიტანა და გულშემატკივრები აღაფრთოვანა. ინჩასები კატეგორიულად ითხოვენ, რომ ბაჭიას ხელშეკრულება გაუგრძელონ. საზოგადოების შეკვეთას ხელმძღვანელობა უმალ გამოეხმაურა და მოსაზრება გულწრფელად გამოთქვა. კატალონიური გიგანტის მმართველები საიოლას თამაშით უზომოდ კმაყოფილები არიან და გამოთქვამენ მზადყოფნას ახალ კონტრაქტზე იმსჯელონ, თუმცა მაგიდასთან მისხდომას ახლავე არ აპირებენ. ბეგირისტაინი ფიქრობს, რომ ხელშეკრულების გახანგრძლივება ხავიერს მოტივაციას დააკარგვინებს. სენიორ ჩიკი პირდაპირ ამბობს, თუ მომავალშიც ასევე კარგად იასპარეზებს, არანაირი პრობლემა არ იქნებაო.

თავის მხრივ, ბაჭიაც არ ჩქარობს. არგენტინელი "ბარსელონას" სიყვარულში კიდევ ერთხელ გამოუტყდა, მაგრამ იქვე დასძინა, ჯერჯერობით ამ საკითხზე არ ვფიქრობ, რადგან წინ საკმაო დრო მაქვსო. სავარაუდოა, რომ ხავიერი უკან დასახევ გზას იტოვებს. მისი გადაბირების სურვილს "იუვენტუსი" გამოთქვამს. "ბარსაში" სიტუაცია უკეთესობისკენ კი შეიცვალა, მაგრამ სამომავლო გარანტიებს მას ვერავინ აძლევს. ასე რომ, თუ კონტრაქტს ახლავე გაახანგრძლივებს, შესაძლოა, ცხოვრება გაირთულოს. ანუ, "ბარსელონაში" კვლავ სათადარიგოთა სკამზე დარჩეს, "იუვენტუსმა" კი სატრანსფერო თანხის გადახდა არ ისურვოს. სეზონის დასრულების შემდეგ "ბებერ ქალბატონს" ხომ მისი უფასოდ გადაბირების შესაძლებლობა აქვს.

**ილია ნიკოლაიშვილი**



რონალდინიო

### ბაბელიც მიდის!

ვეტერანი გერმანელი მცველი მარკუს ბაბელი, რომელიც ამჟამად „შტუტგარტის" დროშებას იცავს, ფიქრობს, რომ ზაფხულში კარიერის დასრულება მოუწევს. 34 წლის ფეხბურთელი, რომელიც გერმანიის ნაკრებშიც თამაშობდა, მიიჩნევს, რომ აქტიური სპორტული კარიერის გაგრძელებას აზრი აღარ აქვს. თითქმის გადაწყვეტილია, რომ ზაფხულში ბაბელი ფეხბურთიდან წავა. *„დღევანდელი გადასახედიდან ისე ჩანს, რომ აუცილებლად წავალ. კარიერის გაგრძელებას აზრი დაეკარგა, რადგან სათადარიგოთა სკამზე ჯდომა ჩემთვის ჯოჯოხეთია. თუმცა ისიც ვიცი, რომ სასტარტო შემადგენლობაში თამაშს არ ვიმსახურებ. მწვრთნელს არ ვემდური და ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდება ამიტომაც გადავწყვიტე,"* – აცხადებს ბაბელი. 1996 წლის ევროპის ჩემპიონი შვაბურ კლუბში ბოლო დროს სულ სკამს ხეხავს და თამაში იშვიათად უწევს. ბაბელმა უკვე იცის, რას გააკეთებს კარიერის დასრულების შემდეგ: *„მწვრთნელის კურსებს გავივლი და რომელიმე გუნდის დამრიგებელი გავხდები. სამწვრთნელო კარიერაზე ვოცნებობ. მინდა, რომ მომავალში ბუნდესლიგაში ვიმუშავო."*

### პრემიერლიგა: უმდიდრესი უმდიდრესთა შორის

პრემიერლიგამ ტრანსლაციების მორიგი პაკეტი გაყიდა. მომავალი სეზონიდან ოკეანის გაღმა ინგლისის ჩემპიონატის მატჩების ტრანსლაციის სანაცვლოდაც ლიგის ბიუჯეტი 650 მილიონი გირვანქით შეივსება (დღეს ის 300 მილიონს იღებს). ამას დავუმატოთ 1.7 მილიარდის გარანტირებული შემოსავალი "სქაი სპორტსსა" და "სენტანასთან" შარშან მაისში გაფორმებული კონტრაქტებით, აგრეთვე 400 მილიონი, რომელსაც ინტერნეტისა და მობილური ტელეფონების ოპერატორები გადაიხდიან და მივიღებთ მსოფლიოს ფეხბურთისთვის უპრეცედენტო შემოსავალს - 2.7 მილიარდ გირვანქას მხოლოდ ტელეუფლებების გაყიდვიდან. პრემიერლიგის მატჩები მსოფლიოს 208 სახელმწიფოში გადაიცემა. ინგლისის პირველობა შემოსავლებისა და დაფარვის ზონის მიხედვით მსოფლიოს არცერთ საფეხბურთო ლიგას არ უთმობს პირველობას. ახალი კონტრაქტის ამოქმედება საპრიზო ფონდის ავტომატურ გაზრდასაც ნიშნავს. კლუბი, რომელიც ოქროს მედლებს მოიპოვებს, 50 მილიონ გირვანქას მიითვლის - 20 მილიონით მეტს, ვიდრე წინა სეზონებში.



ინტერვიუ რობინიოსთან

# რონალდო დარჩება თუ წავა, მაინც არსად დაიკარგება

## რობინიო თანაგუნდელთა საპროტესტო შეხვედრას პირადი მიზეზების გამო ვერ დაესწრო, პრესა კი ფიქრობს, რომ ის ხელმძღვანელობასთან გართულებას მოერიდა

**მადრიდის "რეალმა" მორიგი კრახი განიცადა. ხუთშაბათს ფაბიო კაპელოს ბიჭები ესპანეთის სამეფო თასის შეხვედრაში "ბეტისს" დაუპირისპირდნენ და ფრე იკმარეს (1:1). მოწინააღმდეგის მოედანზე გატანილი გოლის წყალობით, ანდალუსიელები მომდევნო ეტაპზე გავიდნენ. სამეფო კლუბმა კი ამ ტიტულის მოპოვების შანსი დაკარგა. არადა, ვარსკვლავთა დიდი ნაწილი ამაყად ამბობდა, სამივე ფრონტზე უნდა გავიმარჯვოთო. მათ შორის იყო რობინიოც. ახალგაზრდა ბრაზილიელი "ბეტისთან" განცდილმა წარუმატებლობამ, ფაქტობრივად, სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა.**

**- ასეთ მარცხს არ ელოდით?**

- არ წაგვიგია, თუმცა ფრეც მარცხის ტოლფასი აღმოჩნდა. თამაშის წინ ყაიმზე, რა თქმა უნდა, არავინ ფიქრობდა. მატჩის მსვლელობამ დაგვანახა, რომ გაცილებით უკეთ ვთამაშობდით. საგოლე მომენტებიც უხვად შევქმენით. ვგონებ, ყველას დავუმტკიცეთ, რომ მადრიდის "რეალს" პროგრესის გზით სიარულის უნარი შესწევს. ცხადია, მომდევნო ეტაპზე გასვლა გვინდოდა, მაგრამ სასტიკად არ გაგვიმართლა და ბრძოლა შევწყვიტეთ. საშინელებაა. შედეგი უსამართლოა, ჩვენ მომდევნო ეტაპზე თამაშს ვიმსახურებდით.

**- არ მოგბეზრდათ?**

- რა?

**- არ მოგბეზრდათ სისტემატურად თავის მართლება და უიღბლობაზე აპელირება?**

- თავს არ ვიმართლებ. უბრალოდ, გულწრფელად მოგახსენებთ, რომ "რეალმა" "ბეტისზე" უკეთ იასპარეზა და ფლეი ოფის მომდევნო ეტაპზე გასვლას იმსახურებდა. უაღრესად დამწუხრებული გახლავართ, მაგრამ ამავდროულად მიხარია, რომ გუნდი პროგრესირებს.

**- შეხვედრის მიწურულს გოლის გატანა შეგეძლოთ...**

- დიახ, თითქოს ხელსაყრელ პოზიციაზე აღმოვჩნდი. სამწუხაროდ, ჩემს წინ უამრავი ადამიანი აღმოჩნდა. ყველა გადამეღობა და გოლის გატანა ველარ შევძელი. ძალიან გავმწარდი. დამიჯერეთ, შესაშური მონდომებითა და შემართებით ვთამაშობდით. თავს არავინ ზოგავდა. იმედია, მომდევნო პაექრობებშიც ასევე კარგად ვიასპარეზებთ. არ დამცინოთ, ესპანეთის სამეფო თასის გათამაშებიდან გამოვარდნის მიუხედავად, მიმაჩნია, რომ "ბეტისთან" კარგად ვითამაშეთ. მსურს, გუნდმა ეს რიტმი მომავალშიც შეინარჩუნოს. თუმცა კარგი იქნება, ამ ყველაფერთან ერთად იღბალმაც გადმოგვხედოს.

**- გულშემატკივართა აზრით, მსაჯმა პენალტი არ დანიშნა. როგორ ფიქრობთ, არბიტრი უსამართლოდ მოგეპყროთ?**

- რა თქმა უნდა. 100-პროცენტიანი პენალტი არ მოგვცეს. დარწმუნებული ვიყავი, რომ მსაჯი დაუსტვენდა. ის ძალიან ახლოს იყო, მაგრამ მან ეს არ გააკეთა. არადა, რომ არ წავექციე, მარცხენა ფეხით დავარტყამდი და აუცილებლად გავიტანდი. შემდეგ თამაშგარეს გამო ორი გოლი არ ჩაგვითვალეს. მოკლედ, ძალიან დავიჩაგრეთ. გულწრფელად გეტყვით, ვფიქრობდი, რომ თამაშგარეებთან მიმართებაში მსაჯები მართლები იყვნენ, თუმცა მოგვიანებით სათადარიგოთა სკამზე მჯდომმა თანაგუნდელებმა მითხრეს, რომ ისინი ამ შემთხვევაშიც შეცდნენ.

**- კვირას "მალიორკასთან" პაექრობა გელით. მზად ხართ ამ თამაშისთვის?**

- დიდი იმედგაცრუების მიუხედავად, ვალდებულები ვართ, ყველაფერი დავივიწყოთ და მხოლოდ "მალიორკაზე" ვიფიქროთ. ახლა ფინალიც ეს არის და უბრალო პრიმერადივიზიონური შეხვედრაც. ვფიქრობ, სწორედ ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა ვიაროთ. მჯერა, ბალეარელებთან ბრძოლაში ყველა საუკეთესო თვისებას გამოვავლენთ. აუცილებლად მოვიგებთ.

**- ფეხბურთელები როგორ გრძნობთ თავს? სასოწარკვეთილება ხომ არ შეგეყარათ?**

- ჩემს მსგავსად, სხვებიც დამწუხრებულები იყვნენ. ძნელია, შეეგუო, რომ ესპანეთის სამეფო თასზე აღარ ასპარეზობ. მოკლედ, ყველა იმედგაცრუებული დარჩა, მაგრამ ბიჭები ერთხმად აღნიშნავდნენ, ხალხს სუფთა სინდისით შეგვიძლია ვესაუბროთ, რადგან გუნდმა საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვაო. მათ აბსოლუტურად ვეთანხმები. სამეფო კლუბს მსოფლიოში ყველაზე მომთხოვნი ქომაგები ჰყავს. საფინალო სასტვენის შემდეგ მათ ტაშით გაგვაცილეს. როგორ ფიქრობთ, რას ნიშნავს ეს? ქომაგებმა დაინახეს, რომ კარგად ვითამაშეთ და ტაშის დაკვრით მადლობა გადაგვიხადეს.

**- რამონ კალდერონის ამასწინანდელმა სკანდალურმა განცხადებამ ფეხბურთელებს ხელი ხომ არ შეუშალა?**

- ჩვენ პროფესიონალები ვართ. ყველაფერი უნდა დავივიწყოთ და საქმე ვაკეთოთ. შესაძლოა, ვინმეს ძალიან ეტკინა გული, მაგრამ თამაშის დაწყების წინ სენიორ კალდერონის გამოსვლაზე არავინ ფიქრობდა. როცა "რეალის" ღირსებას იცავ, ფეხბურთისა და გამარჯვების გარდა, ყურადღება არაფერს არ უნდა მიაქციო.

**- რონალდოზე რას გვეტყვით? როგორ გრძნობს თავს?**

- პრობლემატურს ვერაფერს ვხედავ. ვგონებ, მორალური თვალსაზრისით, ცუდად არ უნდა იყოს. ჯანმრთელობასაც არ უჩივის. არ ვიცი, რონალდოზე ვინ რას ფიქრობს, მაგრამ პირადად მე მიმაჩნია, რომ ის გენიალური ფორვარდია. ჩემს მეგობარს ნებისმიერ დროს შეუძლია თუნდაც ყველაზე რთული და დაძაბული პაექრობის ბედის გადაწყვეტა. დარწმუნებული გახლავართ, რომ რონალდო აქ დარჩება თუ სხვაგან წავა, არ დაიკარგება.

**- კალდერონის სკანდალური და მართლაც მოულოდნელი განცხადების შემდეგ გაოგნებული ფეხბურთელები სასადილოდ ერთ-ერთ რესტორანში შეიკრიბნენ. თქვენ რატომ არ მიხვედით? მავანთა აზრით, ხელმძღვანელობასთან ურთიერთობის დაძაბვა არ გსურდათ...**

- ვერ მივედი, რადგან ჩემს საცოლესთან ერთად ვიყავი და გარკვეული პრობლემები მქონდა. ნება მიბოძეთ, პირადული საკითხები საჯაროდ არ განვიხილო. მავანთა დასკვნა, რბილად რომ ვთქვა, სულელური და იდიოტურია. მე "რეალის" მსახური ვარ, ამით ყველაფერია ნათქვამი. თუ რამეს გავაკეთებ, ყველაფერი გუნდის კეთილდღეობისკენ იქნება მიმართული.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ინტერვიუ ზინედინ ზიდანთან

# იმაზე მეტს მივაღწიე, ვიდრე ვოცნებობდი

## ფრანგი ლეგენდა ფეხბურთში გავლილ გზას იხსენებს

**ზინედინ ზიდანი ფეხბურთიდან ისე წავიდა, რომ მოუგებელი არცერთი პრესტიჟული ტიტული არ დარჩენია. ბერლინური ფინალის შემდეგ ზიზუ ახალ ცხოვრებას უწყობს ფეხს. აგვისტოში ის უნისეფის საერთაშორისო დესპანი გახდა, ხშირად მოგზაურობს და ისე ჩანს, თავისი ახალი როლი ძალიან მოსწონს. პრესასთან საუბარი ზიდანის საყვარელი საქმე არასდროს ყოფილა და ასე გრძელდება მას შემდეგაც, რაც საფეხბურთო კარიერა დაასრულა. ქვემოთ გთავაზობთ ერთ-ერთ იშვიათ ინტერვიუს, რომელიც ფეხბურთის ფრანგმა ლეგენდამ ფიფას ვებგვერდს დეკემბერის ბოლოს მისცა, როცა ციურიხში მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის დაჯილდოებაზე იმყოფებოდა.**


ეროვნული ბიბლიოთეკა

**- ზინედინ, ფიფას ვერსიით, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის დაჯილდოების ცერემონიალზე თქვენი კონკურენტები ფაბიო კანავარო და რონალდინიო იყვნენ. როგორ დაახასიათებდით ამ ორ ფეხბურთელს?**

- ფაბიო კანავარო მცველია, წარსულში კი აღიარება, როგორც წესი, ფორვარდებსა და გამთამაშებლებს ხვდებოდათ წილად. კანავარო უდავოდ იმსახურებს საუკეთესო ფეხბურთელის წოდებას, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში დიდებულად გაართვა თავი ტიერი ანრის მეურვეობას. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ კანავარო მსოფლიო ჩემპიონია, რასაც ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს. რონალდინიოს რაც შეეხება, ბევრს ვერაფერს დავამატებ იმას, რაც ხალხმა მის შესახებ უკვე იცის. ის ბრწყინვალე ფეხბურთელია. ამის საუკეთესო ილუსტრირება იყო მისი გოლი „ვილიარეალთან", როცა „მაკრატელათი" გაიტანა. ყველაფერი თვალისდახამხამებაში გააკეთა, მაგრამ თავად ზუსტად იცოდა, რასაც აკეთებდა და ამას სპეციალური ტალანტი სჭირდება. კარისკენ ზურგით იდგა და ისე ოსტატურად დატრიალდა, რომ გამიკვირდა, საერთოდ თუ იცოდა, სად იყო კარი. მაგრამ ამან ხელი ვერ შეუშალა, რომ ბრწყინვალე „მაკრატელა" შეესრულებინა.

**- 2006 წელი თქვენთვის მოვლენებით დატვირთული იყო. რომელი იყო მათგან ყველაზე დასამახსოვრებელი?**

- ცხადია, მსოფლიო ჩემპიონატი. ტურნირის დაწყებამდე ცოტა თუ წარმოიდგენდა, რომ ფინალში გასვლას შევძლებდით და ამან ორმაგად სასიამოვნო გახადა ჩვენი გერმანული თავგადასავალი. ამ შედეგს საკუთარი ძალისხმევით მივაღწიეთ. რომელიმე ერთი ეპიზოდის გამოყოფა გამიჭირდება, მთლიანად მუნდიალი იყო დაუვიწყარი. ვიცოდი, რომ კარიერის უკანასკნელ ტურნირს ვატარებდი და ფინალში გასვლა მართლაც საოცარი განცდა იყო, მიუხედავად იმისა, რომ უფრო მხიარულ ნოტაზე ვისურვებდი მის დასრულებას.

**- როგორი იყო თქვენთვის 2006 წელი ფეხბურთის მიღმა?**

- კარიერის დასრულების შემდეგ იმდენად დაკავებული ვიყავი, რომ სიმართლე გითხრათ, ამაზე ფიქრის დროც არ მქონია. უაღრესად საინტერესო იყო ისეთ ადამიანებთან შეხვედრა, ვისაც ფეხბურთის სამყაროსთან არანაირი შეხება არა აქვს. ამ მხრივ, არ შემიძლია არ გავიხსენო ჩემი ვიზიტი ბანგლადეშში. გარდა ამისა, შეხვედრა მქონდა ნობელის პრემიის ლაურეატებთან, მერე კი ისიც მოვახერხე, რომ რამდენიმე დღით ალჟირში ჩავსულიყავი და ჩემი მშობლების ქვეყანას უფრო ახლოს გავცნობოდი.

**- მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში თქვენმა გაძევებამ ცოტა კი დაჩრდილა სხვა ეპიზოდები, მაგრამ იმ თამაშში ბევრი სხვაც მოხდა, მაგალითად, თქვენი 11-მეტრიანი. როგორ გაიხსენებდით იმ დარტყმას?**

- წინასწარ დაგეგმილი არ მქონდა, რომ პენალტი მაინც და მაინც ასე ორიგინალურად შემესრულებინა, თუმცა ის კი ვიცოდი, რომ რაღაც განსაკუთრებული მჭირდებოდა. პენალტების შესრულებისას ბურთს, როგორც წესი, ერთსა და იმავე კუთხეში ვურტყამ, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩემს წინაშე იდგა მეკარე, რომელიც, ბარტეზთან ერთად, მსოფლიოში საუკეთესოა. გატანა განსხვავებულად უნდა მეცადა და როცა ბურთი ნიშნულზე დავდე, მაშინ გადავწყვიტე, რომ ორიგინალურად დამერტყა. თვალნათლივ დავინახე, რომ ზედა ძელზე შეხების შემდეგ ბურთი კარის ხაზის უკან დაეცა.

**- კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი ის იყო, როცა თქვენი თავური დარტყმა ბუფონმა ბრწყინვალე ნახტომით მოიგერია.**

- თავი ვერ შევიკავე და მთელ ხმაზე დავიყვირე, როცა ბუფონმა ის ბურთი აიღო, რადგან ვიცოდი, ის ბურთი კარში რომ გასულიყო, მსოფლიო ჩემპიონები ჩვენ გავხდებოდით. დრო ბევრი აღარ იყო და ფეხბურთელებსაც სულ უფრო ნაკლები ენერგია რჩებოდათ. ჩემი განბილება ბუფონზე ამოვანთხიე, მაგრამ მეგობრულ ტონში, იმიტომ, რომ მას კარგად ვიცნობ და ვიცი, რომ კარგი ბიჭია. ის ძალიან თბილად მეპყრობოდა მას შემდეგაც, რაც მსაჯმა წითელი ბარათი მიჩვენა, თუმცა ისიც აშკარაა, რომ ჩემი გაძევებით ნასიამოვნები დარჩა, რადგან იცოდა, რომ 11-მეტრიანების სერიაში კიდევ ერთხელ მოუწევდა ჩემთან პაექრობა. თუმცა იმას ნამდვილად ვერ გეტყვით, მოედანზე რომ დავრჩენილიყავი, მომდევნო პენალტს როგორ შევასრულებდი.

**- სად და როგორ უყურეთ ფინალის დარჩენილ დროს?**

- გასახდელში. უმძიმესი განცდა იყო, როცა ვუყურებდი, ჩემი თანაგუნდელები როგორ ამთავრებდნენ თამაშს და მერე როგორ წააგეს 11-მეტრიანების სერიაში. პენალტების წინ საშინლად ვნერვიულობდი, ვგრძნობდი, რა ძნელი იყო ასეთ თამაშში მათი შესრულება.

**- ტურნირის დასაწყისი თქვენთვის საკმაოდ მძიმე იყო.**

- მძიმედ დავიწყეთ, მაგრამ თამაშიდან თამაშამდე ვუმატებდით. თავდაჯერება ცოტათი გვაკლდა, ჯგუფური შეხვედრებიც ძალიან ძნელი აღმოჩნდა. ტოგოსთან გამარჯვება ძალიან დაგვეხმარა იმ ფსიქოლოგიური წნეხის მოხსნაში, რომელიც 2002 წლის მუნდიალის ფიასკოს შემდეგ მოგვყვებოდა. ამ გამარჯვებამ საკუთარი თავის რწმენაც შეგვმატა. მერე ესპანეთი დავამარცხეთ, რომელიც ერთ-ერთი ფავორიტი იყო შთამბეჭდავად ჩატარებული ჯგუფური ეტაპის შემდეგ. ესპანელებთან გამარჯვებამ საბოლოოდ დაგვიბრუნა ჩვენი ძალების რწმენა. ამასობაში ბრაზილიას დავეჯახეთ და იქ კი ვიცოდით, რომ დასაკარგი უკვე აღარაფერი გვქონდა. ამ თამაშისთვის რაიმე სპეციალური გეგმით არ მოვმზადებულვართ, უბრალოდ, ბრაზილიელებთან თამაში ყოველთვის განსხვებულია, მათი შემხედვარე, შენც შთაგონებული ხარ. თავი ზედმეტი ფიქრით არ დაგვიმძიმებია, უბრალოდ გავედით და ჩვენი ფეხბურთი ვითამაშეთ. არ ვეთანხმები მათ, ვინც ამბობს, ბრაზილიას ზიდანმა მოუგოო. მთელმა გუნდმა ბრწყინვალედ ითამაშა.

**- გულწრფელად გჯეროდათ, რომ ფინალში გასვლას შეძლებდით?**

- ვიცოდით, რომ დიდი გუნდისთვის საჭირო ყველა ატრიბუტი გვქონდა. ტურნირის წინ ერთმანეთს ვეუბნებოდით, რომ თუ საუკეთესო ფსიქო-ფიზიკურ კონდიციებს მივაღწევდით, მაშინ სამუნდიალო გზას ბოლომდე გავივლიდით. ასეც მოხდა. თამაშიდან თამაშამდე ვძლიერდებოდით, თუ არ ჩავთვლით მცირედ მოდუნებას პორტუგალიასთან. ამასთან, ყველა შეხვედრაში ხარისხიანი ფეხბურთი ვაჩვენეთ.



**- ფინალთან ერთად საფეხბურთო კარიერაც დაასრულეთ. როგორი იყო თქვენთვის ახალი ცხოვრების დაწყება?**

- ჩემი კარიერა ისე დასრულდა, როგორც თავად მქონდა გადაწყვეტილი, ასე რომ, უკმაყოფილების მიზეზი არ მქონია. ძნელი მაშინ არის, როცა გადაწყვეტილებას შენს მაგივრად სხვა იღებს და გეუბნება, რომ დროა წახვიდე. ჩემი კარიერა ისე წარიმართა, როგორც თავად მსურდა. გულწრფელად გითხრათ, ის უფრო წარმატებული გამოდგა, ვიდრე ვოცნებობდი. ამიტომ ჩავთვალე, რომ წასვლისთვის ეს შესაფერისი მომენტი იყო.

**- კარიერის დასრულება კარგი მომენტია იმისთვის, რომ წარსულს თვალი გადაავლო. როგორ ფიქრობთ, რომელი იყო თქვენი ცხოვრების საუკეთესო თამაში?**

- ყველაზე ხშირად მახსენდება ის შეხვედრა, როცა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში „აიაქსს" შევხვდით. 4:1 გავიმარჯვეთ, ორი საგოლე პასი გავაკეთე და ერთიც თავად შევაგდე. თამაშის შემდეგ სტატისტიკას გავეცანი და აღმოვაჩინე, რომ 90 წუთის განმავლობაში ერთი არაზუსტი პასიც კი არ მქონდა გაკეთებული. იმ ღამეს ჩემი კარიერის პიკში ვიყავი.

**- და რომელი იყო კარიერის ყველაზე დიდი მიღწევა?**

- მსოფლიო ჩემპიონატზე გამარჯვება. ნებისმიერი ფეხბურთელისთვის ასეა, ყველა გეტყვით, რომ ამაზე დიდი პრიზი ფეხბურთში არ არსებობს. ორმაგად ბედნიერი ვიყავი იმით, რომ მუნდიალი მშობლიურ ქვეყანაში მოვიგე. ამაზე უფრო ბედნიერი უბრალოდ ვერ ვიქნებოდი.

**- ვინ იყო ყველაზე დიდი ფეხბურთელი, ვის გვერდითაც გითამაშიათ?**

- როცა რონალდო ფორმაშია, ის შეუდარებელია. ხშირად გაუკეთებია ისეთი რაღაც, რაც ჩემში გაოცებას იწვევდა. ტრავმების გამო კარიერის დიდი ნაწილი უფეხბურთოდ გაატარა. ძნელია იმის თქმა, ისევ დაიბრუნებს თუ არა საუკეთესო ფორმას, მაგრამ ვიცი, რომ ეს შეუძლია. როცა ფორმის პიკზეა, მსოფლიოში ბადალი არ ჰყავს. ერთი შეხედვით შეიძლება მოგეჩვენოს, რომ განსაკუთრებულად გამორჩეული ტექნიკა არა აქვს, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ ბურთით რასაც უნდა, იმას აკეთებს. გარდა ამისა, რამდენიმე ისეთი მონაცემი აქვს, რაც ფეხბურთში იშვიათობაა. უფრო სწრაფად გარბის ბურთიანად, ვიდრე მის გარეშე, არადა მოთამაშეების უმრავლესობა უბურთოდ უფრო სწრაფია. ამასთან, დიდი დამაგვირგვინებელია. მოკლედ, რონალდოა და ამით ყველაფერია ნათქვამი.

**- ვინ ითამაშა ყველაზე დიდი როლი თქვენს კარიერაში?**

- პირველი, ვინც ჩემი შესაძლებლობების ირწმუნა, „კანის" მწვრთნელი ვარო იყო, რომელიც, სამწუხაროდ, ცოცხალი აღარ არის. ის ძალიან დამეხმარა და სწორ გზაზე დამაყენა. ამის შემდეგ კი უამრავი მწვრთნელი მყავდა, ვინც დიდი დახმარება გამიწია. მათი რიცხვი ძალიან დიდია, ჩამოთვლა რომ დავიწყო.

**- თქვენი კარიერა დაახლოებით 15 წელს გაგრძელდა. რომელი იყო ყველაზე დიდი ცვლილება, რომელიც ფეხბურთში ამ წლების მანძილზე მოხდა?**

- 80-იან წლებში ტექნიკა ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო. მცველები ტაქტიკურად ნაკლებად განსწავლულები იყვნენ, მეტი სივრცე და ბურთთან მეტხანს ყოფნის საშუალება გქონდა. დღეს ფეხბურთი სხვა არაფერია, თუ არა სწრაფი თამაში და სხარტი აზროვნება. გარდა ამისა, ფეხბურთელები ფიზიკურად უფრო ძლიერები და უფრო ათლეტურები არიან. ფიზიკური სიძლიერე სადღეისოდ აუცილებელი პირობაა და თუ ტექნიკაც გაქვს, ისე, როგორც მაგალითად რონალდინიოს, მაშინ ეს იდეალური ვარიანტია. მარტო ტექნიკით დღევანდელ ფეხბურთში გზის გაკაფვა ძალიან ძნელია. თუმცა ვინ იცის, იქნებ წლების შემდეგ სიტუაცია და მოთხოვნები ისევ შეიცვალოს.

**- ფეხბურთის მომავალზე რომ ვისაუბროთ, თქვენი აზრით, თუ არის რამე, რაც სამომავლოდ შეცვლას მოითხოვს?**

- როცა 30 წელს აღწევს, ორგანიზმი დასუსტებისკენ მიდის და სულ უფრო ძნელი ხდება ყოველი შეხვედრისთვის ძალების აღდგენა. განსაკუთრებით დამამძიმებელი ეს მაშინ ხდება, როცა კვირაში სამი შეხვედრა გაქვს ჩასატარებელი. ბოლო წლებში მე ძალიან მიჭირდა. თავის მხრივ, ეს ყველაფერი ფეხბურთის სანახაობრივ მხარეზე ცუდ გავლენას ახდენს. ასე რომ, ალბათ კარგი იქნება, თუკი ის ხალხი, ვისაც ფეხბურთზე ზრუნვა ავალია, მომავალში იმაზეც იფიქრებს, რომ ფეხბურთელებმა ცოტა ნაკლებად ითამაშონ და ამით თამაშს სანახაობრიობა შეუნარჩუნდეს.

**გოგა ახალაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გამარჯვებულის გასამართლება



მეკარე შოთა თევზაძე რომ არა, ამ თამაშს ვერ მოვიგებდით!

**საქართველო-ბულგარეთი 22:21**

საქართველო: თევზაძე, სამყურაშვილი; გელაშვილი (3) ჭანტურია (1), ქობელაშვილი (4), ყიფიანი, რუსია (9), კობახიძე, ბოყოჩაძე (1), კირილოვი (2), ტალახაძე (2), ნიკოლაიშვილი, წივწივაძე, ფორაქიშვილი

ბულგარეთი: ველიზაროვი, ივან ივანოვი; ბოევი (5), ჩერნევი (1), ნიკოლოვი, ბოჟკოვი (1), რუსკოვი, ჩაკმაკოვი (6), პეტკოვი (2), მიხაილოვი (2), რაჩევი (3), იავორ ივანოვი, იორდანოვი, ვლადკოვი (1)

მსაჯები: ვალერი როჟკოვი, ანატოლი მიშჩუკი (ბულგარეთი)

დელეგატი: არსენ მხითარიანი (სომხეთი)

| III ჯგუფი | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 5 | 5 | 0 | 0 | 162-122 | 10 |
| ლატვია | 5 | 4 | 0 | 1 | 156:126 | 8 |
| საქართველო | 5 | 1 | 0 | 4 | 119:155 | 2 |
| ბულგარეთი | 5 | 0 | 0 | 5 | 116:150 | 0 |

21 იანვარი

**რუმინეთი-ლატვია**

**ბულგარეთი-საქართველო**

*პირველი გვერდიდან*

მართალია, ფლეი ოფში გასვლის შანსი უკვე გამოტირებული გვქონდა, მაგრამ დიდ ხელბურთს მონატრებული ქართველი მაყურებელი მაინც მრავლად მოვიდა სპორტის სასახლეში. არა, ნემსის ჩასავარდნი ადგილი მრავლად იყო, მაგრამ არც მთლად სიხალვათე ყოფილა ტრიბუნებზე. ერთი ეგ არის, კვლავ არ ყოფილა ისეთი ქომაგობა, როგორიც ეროვნულ ნაკრებს ეკადრება. გულშემატკივრობა მხოლოდ იმაში არ გამოიხატება, რომ შენი ნაკრების თითოეულ გოლზე და მეტოქის ხელმოცარული შეტევის შემდეგ დასცე ყიჟინა. თუ ნაღდი გულშემატკივარი ხარ, საკუთარი ნაკრების ქომაგობა მატჩის პირველი წუთიდან ბოლო წამამდე უნდა შეგეძლოს და ემოციების ხმამაღლა გამოხატვის არ უნდა გერიდებოდეს.

ამ მცირე "მოთელვის" შემდეგ, უშუალოდ, საქართველო-ბულგარეთის გუშინდელ მატჩზე გადავიდეთ. შეხვედრა საკმაოდ მდორე ტემპში, ორმხრივი შეცდომებით დაიწყო. მასპინძლებსაცა და სტუმრებსაც უამრავი ტექნიკური წუნი ჰქონდათ. საწყის წუთებზე, ზედიზედ სამი რთული ბურთი მოიგერია ჩვენი ნაკრების მეკარე **შოთა თევზაძემ**, რომელმაც ნაკრებში ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა. ალბათ, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ გუშინდელი გამარჯვება სწორედ შოთას დამსახურებაა - მან ფაქტობრივად, ყველა ასალები ბურთი მოიგერია და ხშირად ისეთ სიტუაციებშიც გადაგვარჩინა, ასპროცენტიანი გოლი რომ გვეგონა.

სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნასაც, რომ ბულგარელთა მეკარე **ნევენ ველიზაროვმაც**, რომელიც თევზაძესავით თურქეთის ჩემპიონატში თამაშობს, არაერთხელ გადაარჩინა თავისიანები. თუმცა, გუშინ შოთას უფრო მეტი ჯაფა ადგა და რაც მთავარია, ველიზაროვზე გაცილებით მეტი ბურთი უკუაგდო.

პირველი ოთხი წუთი უგოლოდ მიილია. ნავსი ბულგარელებმა გატეხეს, რასაც **ლევან გელაშვილის** მონადირებული და მის მიერვე ზუსტად დარტყმული პენალტი მოჰყვა. სტუმრებმა რამდენჯერმე კიდევ მოახერხეს მინიმალური ანგარიშით დაწინაურება, სანამ ჯერ **აკაკი ტალახაძემ** არ გაათანაბრა, მერე კი **გიორგი ქობელაშვილმა** დაგვაწინაურა - 5:4. ოთხ წუთში სულაც სამი ბურთით გავედით წინ - ჯერ გელაშვილმა გაეტანა მეკარეს, მერე ქობელაშვილმა გაინავარდა მარცხენა კუთხიდან და თავისი საფირმო "პარაშუტი" ჩაუშვა მეტოქის კარში, ბოლოს კი ძელიდან ასხლეტილ ბურთს რუსმა დაამატა და ტაბლოზე 8:5 აენთო.

სამწუხაროდ, ეს მომენტი საკმარისი არ აღმოჩნდა იმისთვის, რომ საქართველოს ნაკრებს მატჩში გარდატეხა შეეტანა და პირველ ტაიმშივე გადაეწყვიტა ყველაფერი. ჩვენს გუნდს აშკარად ეტყობოდა ნერვიულობა და ზედმეტად ჩქარობდა, რის გამოც არაერთხელ დავკარგეთ ბურთი სრულიად უწყინარ სიტუაციაში. შესაბამისად, არათუ სოლიდური ანგარიშით დაწინაურება, სამბურთიანი ფორაც მალევე გავანიავეთ. ტაიმის დასრულებამდე 5 წამით ადრე, ისევ რუსიამ მოახერხა რთული სიტუაციიდან გოლის შეგდება და შესვენებაზე მინიმალური უპირატესობით დავწინაურდით - 13:12.

ალსანიშნავია, რომ პირველ ტაიმში, საქართველოს ნაკრებიდან გოლის გატანა მხოლოდ ოთხმა ხელბურთელმა (გელაშვილი, ქობელაშვილი, ტალახაძე, რუსია) მოახერხა. აქედან, თითქმის ნახევარი, 6 გოლი მოდიოდა რუსიაზე, რომელიც გუშინ მთლად უნაკლო არ ყოფილა, მაგრამ თანაგუნდელთაგან ყველაზე მეტი გოლი გაიტანა და რამდენიმე საკვანძო მომენტში...

მეორე ტაიმი ჩვენმა ხელბურთელებმა პირველზე გაცილებით უკეთ დაიწყეს. ჯერ იყო, ქობელაშვილმა გადაუგდო მეტოქეს მეკარეს თავზემოთ მორიგი ბურთი, მერე **სერგეი კიროლოვმა** მეტოქის მცველებთან ჯაჯგურში ზედიზედ ორჯერ გაიტანა, შემდეგ **რეზო ჭანტურიამაც** შეაგდო ამ მატჩში თავისი პირველი გოლი და კვლავ სამი ბურთით დავწინაურდით - 17:14. იქვე, კიდევ ერთი უნდა გაგვეტანა, მაგრამ გელაშვილმა პენალტი ვერ გამოიყენა.

ჩვენდა სამწუხაროდ, კვლავ ვერ შევირგეთ უპირატესობა და სტუმრებმა მინიმუმამდე შეამცირეს სხვაობა. სწორედ ამ მომენტში შემოვიდა მოედანზე ვეტერანი **ალექსანდრე ბოყოჩაძე**, რომელმაც გუშინ თავისი უკანასკნელი მატჩი გამართა საქართველოს ნაკრებში. რუსიას გოლს ბოყოჩაძემაც მიაყოლა (ეს მისი ბოლო სანაკრებო გოლი აღმოჩნდა) და სამგოლიანი სტატუს-ქვო აღდგა - 19:16. ამის შემდეგ, მატჩის ბოლო წამამდე წინ ვიყავით და სტუმრებისთვის ანგარიშის გათანაბრების შანსი აღარ მიგვიცია. თუმცა, სხვაობა მუდმივად 1-2 ბურთი იყო, დამშვიდებულად ყოფნის საშუალება არ მოგვცემია.

როგორც ასეთ შეხვედრებში ხდება ხოლმე, ყველაზე დრამატული ბოლო წუთები გამოდგა. ამ დროს მოედნის მიღმაც დაიძაბა სიტუაცია. კერძოდ, ბულგარელთა საკმაოდ ემოციურმა თავკაცმა **იოსიფ პეტკოვიჩმა** არაერთხელ გამოთქვა უკმაყოფილება მსაჯობით და იმდენი ქნა, არბიტრებს ყვითელი ბარათიც დასტყუა. მერე ტაბლოთიც გამოთქვა უკმაყოფილება, რუსიას გაძევებისას დრო არ შეაჩერესო. თავად ხელბურთელებიც ანერვიულდნენ და ჯერ ბულგარელი მოთამაშე გააძევეს ორი წუთით, მერე რუსიაც გაუყენეს მის გზას.

მატჩის დასრულებამდე ორი წუთი რჩებოდა, როდესაც **აკაკი ტალახაძემ** მეტოქის დაცვაში ნაპრალი მოძებნა და როგორც ოდნავ მოგვიანებით აღმოჩნდა, გამარჯვების გოლი შეაგდო - 22:20. დარჩენილ დროში ბულგარელებმა მხოლოდ ერთი გოლი გაიტანეს. მატჩის დასრულებამდე ნახევარ წუთზე ოდნავ მეტი რჩებოდა, როცა ბურთი მოვიპოვეთ, შეტევაში მაქსიმალურად გავწელეთ დრო და შეხვედრის გამარჯვებამდე მიყვანა შევძელით.

მოკლედ, გვარიანად კი განერვიულეს ჩვენმა ხელბურთელებმა, მაგრამ მაინც მოახერხეს ამ საკვალიფიკაციო ციკლში პირველი ორი ქულის აღება. შესაბამისად, სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზე კი ავინაცვლეთ, მაგრამ საკითხავია, შევძლებთ თუ არა, ამ პოზიციის შენარჩუნებას? ბოლო მატჩი ხომ ბულგარეთში გვაქვს, სადაც ასეთი თამაშით გამარჯვება ძალიან გაგვიჭირდება. ისევ მეკარე თუ გადაგვარჩენს...

**ნუგზარ სუარიძის**
ფოტოები




ლევან გელაშვილის შეტევა



ალექსანდრე ბოყოჩაძე ნაკრებს გამოეთხოვა

**თამაშის შემდეგ**

## ბოლო გოლი, ბოლო მატჩი

საქართველოს ნაკრების ბანაკში, რალა თქმა უნდა, სიხარული სუფევდა. ნაკრების წევრებმა ჯერ გულშემატკივრების აპლოდისმენტები მიიღეს, მერე კი ალექსანდრე ბოყოჩაძე ააბურთავეს ჰაერში, რითაც 34 წლის ვეტერანს მადლობა გადაუხადეს ხანგრძლივი სანაკრებო კარიერისთვის. ემოციების დასრულების შემდეგ, ბოყოჩაძესა და საქართველოს ნაკრების მწვრთნელს, მერაბ მეტრეველს გავესაუბრეთ.

ალექსანდრე ბოყოჩაძე:

- ზედიზედ ოთხი მარცხის შემდეგ, ძალიან გვინდოდა საკუთარი გულშემატკივრის წინაშე გაგვეტეხა ნავსი. ბიჭები იმდენად იყვნენ გამარჯვებისთვის მონდომებულები, რომ ზედმეტად ბევრს ნერვიულობდნენ და ამის გამო ხშირად ცდებოდნენ. საქართველოს ნაკრები, ძირითადად, ახალგაზრდებით არის დაკომპლექტებული, გამარჯვებას კი სწავლა უნდა და დღეს მათ ამ სასწავლო პროცესში პირველი ნაბიჯი გადადგეს. მინდა, მადლობა ვუთხრა მთელ გუნდს იმისთვის, რომ საშუალება მომცეს, ნაკრებში თამაში გამარჯვებით დამესრულებინა.

ბულგარეთთან ბოლო მატჩში აღარ ვითამაშებ, მაგრამ იმედი მაქვს, საქართველოს ნაკრები უჩემოდაც გაიმარჯვებს. სანაკრებო კარიერა დღეს დავასრულე, ამის შემდეგ კი, სანამ ჯანი მერჩის, სტუ-"შევარდენში" ვითამაშებ საქართველოს ჩემპიონატსა თუ ევროთასებზე.

მერაბ მეტრეველი:

- გამარჯვებით, რალა თქმა უნდა გახარებული ვარ, მაგრამ თამაშის ხარისხით ნამდვილად არ ვარ აღფრთოვანებული. უამრავი შეცდომა დავუშვით - ბულგარეთთან საკუთარ მოედანზე გამარჯვება ასე არ უნდა გაგვჭირვებოდა. თუმცა, ამას თავისი ობიექტური მიზეზიც აქვს. მოგეხსენებათ, მოსამზადებლად მხოლოდ ერთი თვე გვქონდა, ხოლო მატჩები საკმაოდ მჭიდრო ვადაში გაიმართა. ორ კვირაში მეხუთე მატჩი ჩავატარეთ და ფიზიკურად ამისთვის სათანადოდ მომზადება ვერ მოვასწარით. მიუხედავად ამისა, მაინც მჯერა, რომ ბულგარეთშიც მოვიგებთ.

რაც შეეხება მსაჯობას, ბულგარელები უკმაყოფილონი კი დარჩნენ, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ. არბიტრები საკმაოდ ობიექტურად სჯიდნენ შეხვედრას და მატჩის საბოლოო შედეგზე გავლენა ნამდვილად არ მოუხდენიათ.

დღეს საქართველოს ნაკრებში თავისი უკანასკნელი მატჩი ჩაატარა ალექსანდრე ბოყოჩაძემ, რომელიც კარგად ჩაერთო თამაშში. მნიშვნელოვანი გოლიც გაიტანა და ვალმოხდილი ეთხოვება გუნდს, რისთვისაც მადლობას ვუხდი. ბულგარეთთან განმეორებით შეხვედრაში მის ადგილს ლევან ბერძენიშვილი დაიკავებს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კალათბურთი**

ლეგიონერი. გიორგი ცინცაძე

# 8 საჯარიმო და 11068 ხმა

**გიორგი ცინცაძის** "ტარტუ როკი" ბალტიის თასზე 2007 წელს წაუგებლად ასპარეზობს - ესტონელებმა მეორე ჯგუფური ეტაპის მესამე ტურში სტუმრად ლიტვის "ატლეტასი" დაამარცხეს (94:91).

ანგარიშიც ნათლად მეტყველებს, რომ შეხვედრა დაძაბული იყო. მართალია, როკერები მთელი 39 წუთის განმავლობაში წინ იყვნენ, მაგრამ მასპინძლებმა სირენამდე 1 წამით ადრე ანგარიშის გათანაბრება შეძლეს (80:80) - **ტრაიბმა** ორქულიანი გამოიყენა.

ოვერტაიმში გიორგი ცინცაძის ჯერი დადგა. ჯერ **დორონინმა** მისი პასით სხვაობა სამ ქულამდე გაზარდა (90:87), ხოლო უკანასკნელ წამებზე გიორგიმ ოთხი საჯარიმო უშეცდომოდ სტყორცნა და საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა - 94:91.

ცინცაძემ მან 27 წუთი ითამაშა და მარგი ქმედების კოეფიციენტით (16) მხოლოდ დორონინს (17) ჩამორჩა. ოთხ ჯარიმაზე უკვე მოგახსენეთ, გარდა ამისა, "ბუმ" 4-დან 3 ორქულიანი ჩააგდო და 10 ქულას, 6 მოხსნას, 6 პასსა და 1 ჩაჭრას მოუყარა თავი.

ვიდრე სატურნირო მდგომარეობას გაგაცნობდეთ, ბალტიის თასის ვარსკვლავთა მატჩზე ვიტყვით, რომელიც 3 თებერვალს კაუნასში გაიმართება. გამოკითხვაში გიორგის სადღეისოდ 11 068 ხმა აქვს, რაც ძირითად ხუთეულში მოსახვედრად საკმარისი არ არის. ქართველს ორი უკანახაზელი, **მარკო პოპოვიჩი** (რიტასი, 14 575 ხმა) და **კურტის მილაგე** (რიგა, 13 989) უსწრებს. თუმცა ცინცაძეს "ოლ სტარში" სათადარიგოდ მოხვედრის კარგი შანსი აქვს.

ბალტიის თასი, მე-2 ჯგუფი, მე-3 ტური. **1. ტარტუ როკი (ესტონეთი) - 3 მოგება,** 2. კალევი (ესტონეთი) - 2 / 3. ნევეჟისი (ლიტვა) - 2, 4. საკალაი (ლიტვა) - 1, 5 .ნეპტუნასი (ლიტვა) - 1, 6. პანევეჟისი (ლიტვა) - 1, 7. ვალმეირა (ლატვია) - 1, 8. ატლეტასი (ლიტვა) - 0.

***ქვემოთ გთავაზობთ ინტერვიუს გიორგი ცინცაძესთან.***



გიორგი ცინცაძეს ბალტიის ოლ სტარში თამაშის კარგი შანსი აქვს

# ხუთეულში ვიქნები, პოპოვიჩს ტრავმა აქვს

**"ტარტუ როკის" გამთამაშებელთან საუბარი ბალტიის "ოლსტარით" დავიწყეთ.**

**- გიორგი, წინასწარ თუ იფიქრებდი, რომ 12 ათასამდე ხმას მოაგროვებდი?**

- არც 11 ათასი ხმის იმედი მქონდა და მეტსაც ვიტყვი - ვერ ვიფიქრებდი, რომ ბალტიის თასის ლეგიონერ უკანახაზელთა სამეულში მოვხვდებოდი. ჩვენი კლუბის ქომაგები ძალიან აქტიურობენ და ამჟამად ხუთი ტარტუელი ვართ ვარსკვლავთა მატჩის კანდიდატები. ამასთან მადლობა მინდა ვუთხრა ქართველ გულშემატკივრებს, რომლებიც საქართველოდან ცდილობენ მხარაჭერას. ხმების დიდი ნაწილი ჩემი სამშობლოდან უნდა იყოს...

**- თუ მილაგესა და პოპოვიჩს ვერ გადაასწარი, მაშინ მწვრთნელის არჩევანზე იქნები დამოკიდებული, თუ სათადარიგოდ-გამოკითხვა გაგანაწილებს?**

- ხუთეულში უნდა ვითამაშო.

**- როგორ?**

- მარკო პოპოვიჩს ტრავმა აქვს და, ალბათ, "ოლსტარს" გამოტოვებს. მის ადგილს მე დავიკავებ.

**- ბალტიის თასის ბოლო მატჩი "ატლეტასთან" კინალამ წააგეთ...**

- ამ გუნდს შინ 40-ქულიანი სხვაობით ვაჯობეთ, ტურნირის აუტსაიდერია, მაგრამ შინაურ კედლებში კარგად გამოიყურება. "ატლეტასთან" მატჩისთვის სათანადოდ ვერ განვეწყვეთ და კინალამ დავისაჯეთ. საბედნიეროდ ოვერტაიმში გამოვცოცხლდით და ჯგუფში მესამე მატჩი მოვიგეთ.

**- მეორე ჯგუფიდან ფინალურ ოთხეულში მოხვედრის შანსი თუ გაქვთ?**

- ჩვენი ჯგუფის გამარჯვებული ორი კლუბი პირველი ქვეჯგუფის მეხუთე-მეექვსეადგილოსანს დაუპირისპირდება. მატჩები 3 მოგებამდე იქნება. შემდეგ ასევე ფლეი ოფში პირველი ჯგუფის მესამე-მეოთხეებს შევხდებით და ფინალური ოთხეულის მონაწილეთა ვინაობაც ამის მერე გაირკვევა. ასე რომ, შანსი გვაქვს...

**- ბალტიის თასზე ბევრი ექსტრაკლასის გამთამაშებელია. მათ წინაალმდეგ თამაში ხომ არ გიჭირს?**

- რომ გაიგეს, "როკში" 20 წლის გამთამაშებელიაო, ყველას ეგონა, ახალგაზრდული ასაკის გამო ბევრ შეცდომას დავუშვებდი. მაგრამ ასე არ მოხდა და ახლა ისევე მიწევენ ანგარიშს, როგორც სხვა გამოცდილ კალათბურთელებს. ძლიერ მეტოქეებთან ჭიდილი მეც მსიამოვნებს.

**- სეზონის დასაწყისში ბევრს ტყორცნიდი, ახლა სროლათა რაოდენობა მაქსიმალურად შეამცირე. რატომ?**

- სამაგიეროდ, პასების რაოდენობა გავზარდე. ახლა უფრო გუნდზე ვთამაშობ.

**- ესტონეთში თამაშით კმაყოფილი ჩანხარ.**

- "როკში" გადმოსვლა ნამდვილად სწორი ნაბიჯი იყო. თავდან ვერც ვიფიქრებდი, ესტონეთის ჩემპიონატიცა და ბალტიის თასიც ასეთი დონისა თუ იქნებოდა. იმედია, ყველაფერი ისევე კარგად გაგრძელდება, როგორც დაიწყო.

**- ესტონეთის პირველობაზე პირველი მატჩი ერთი კვირის წინ წააგეთ...**

- სათანადოდ განწყობა ვერ მოვახერხეთ და იმიტომ დავმარცხდით, თორემ შემადგენლობის მიხედვით ესტონეთში საუკეთესო გუნდი გვყავს. ჩემპიონობის მთავარ ფავორიტად "ტარტუ როკი" ითვლება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

**სუმო**



მეცამეტე დღე. კოკაი (მარცხნიდან მეორე) დასავლეთის ფალავნების წარდგენისას

# წაგება მონარქის თვალწინ

იანვრის ბაშოს დასრულებამდე ორი დღე დარჩა. ელიტის ერთადერთ ქართველ ფალავანს მეტად რთული ამოცანა აქვს გადასაჭრელი - მან დარჩენილი ორივე ორთაბრძოლა უნდა მოიგოს, რომ ტურნირი დადებითი ბალანსით დაასრულოს.

გუშინ **კოკაიმ** ზედიზედ ოთხი მოგების შემდეგ მეცხრე მაეგაშირა **კაკიძოესთან** წააგო და ბალანსი კვალ უარყოფითი გაუხდა - 6-7, წაგებების ლიმიტი ამოწურულია. კოკაი კაკიძოესთან ოშიდაშით დამარცხდა. ორივემ ჯიქურ შეუტია, თუმცა კაკიძოემ იძალა და მეტოქეს მიაწვა, აქ კოკაიმ იაპონელი ჰიკიოტოშიზე დაიჭირა, მაგრამ, სამწუხაროდ, მარცხენა ფეხი დოჰიოს მიღმა დააბიჯა. სხვათა შორის, ამ ბრძოლას, ისევე, როგორც დღის განმავლობაში გამართულ სხვა შეხვედრებს თავად იაპონიის იმპერატორი დაესწრო. დღეს კოკაის მერვე მაეგაშირა **ტაკეკაძე** დაეჭიდება. ქართველს მასთან უარყოფითი ბალანსი აქვს - 1:2.

მონღოლ **ასაშორიუს** კი იმპერატორის თასის მეოცედ მოპოვებამდე მხოლოდ ერთი კაცილა თუ შეუშლის ხელს - მეცხრე მაეგაშირა **ტოიონოშიმა**, რომელსაც ერთით ნაკლები, 11 მოგება აქვს. ოძეკი **ტოჩიაძუმას**, რომელიც ბაშოზე ნაოპერაციები მუხლით გამოვიდა, მომავალ ტურნირზე ტიტულის დაცვა მოუწევს, რადგან გუშინ მერვე მარცხი იგემა და უარყოფითი ბალანსიც გაინაღდა.

პროფესიულ კარიერაში ბაშო პირველად დაასრულა უარყოფითი ბალანსით **თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ)**, რომელმაც გუშინ ბოლო ბრძოლა **ჰოშიკაძესთან** წააგო - 3-4. გაგამარუ მაკუშიტას დივიზიონის 24-ე ნომერი იყო და აუცილებლად დაქვეითდება. თეიმურაზი ბაშოს მოუმზადებელი შეხვდა, რადგან მამა გარდაეცვალა და მხოლოდ ტურნირის წინა დღეს მოახერხა ტოკიოში ჩასვლა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**იანვრის სუპერტურნირი**

ჰაცუ ბაშო

7-21 იანვარი, ტოკიო (იაპონია)

XIII დღე: კოკაი - კაკიძოე 0:1 (ოშიდაში, 8,4 წამი), ასაშორიუ - კაიო 1:0, ჩიოტაიკაი - ამა 1:0, კოტომიცუკი - ჰაკუჰო 1:0, კოტოოშუ - ტოჩიაძუმა 1:0, მიაბიამა - ამინიშიკი 1:0, ტოკიტენკუ - კისენოსატო 1:0, კოტოშოგიკუ - როჰო 1:0, ტოჩინონადა - დეჯიმა 1:0, ტაკამისაკარი - კიოკუტენჰო 1:0, ჰომაშო - ტამანოშიმა 1:0, ტოიონოშიმა - უშიომარუ 1:0.

სატურნირო მდგომარეობა: 12-1: ასაშორიუ (იოკოძუნა); 11-2: ტოიონოშიმა (მაეგაშირა 9); 9-4: ჩიოტაიკაი (ოძეკი), კოტოოშუ (ოძეკი), ტამანოშიმა (მ 14); ... 6-7: კოკაი (მ 5).

XIV დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: კოკაი - ტაკეკაძე, ასაშორიუ - ტოჩიაძუმა, ჩიოტაიკაი - კოტომიცუკი, ჰაკუჰო - ტაკამისაკარი, კოტოოშუ - კაიო, მიაბიამა - ჰომაშო, როჰო - ამინიშიკი, კისენოსატო - კიოკუტენჰო, დეჯიმა - კოტოშოგიკუ, ტოჩინონადა - ტოკიტენკუ, ტოიონოშიმა - ამა, ტამანოშიმა - ასასეკირიუ.

# ჩიხლაძე ვაჩეკთან დამარცხდა

**ჩოგბურთი.** ავსტრიის ქალაქ ბერგჰაიმში საერთაშორისო ტურნირს (15 ათასი დოლარი) გამოეთიშა საქართველოს მეორე ჩოგანი **ლადო ჩიხლაძე** (545). ლადო ტურნირის მერვედფინალში პირველ ნომრად განთესილ ჩეხ **იან ვაჩეკს** ხვდებოდა. 30 წლის ვაჩეკი ახლა მსოფლიოს 299-ე ჩოგანია, თუმცა იყო დრო, როცა სლავი საუკეთესო ასეულის წევრიც იყო. ჩიხლაძემ პირველი სეტი 6:3 მოუგო მეტოქეს, თუმცა შემდეგ ინიციატივა ხელთ ვაჩეკმა იგდო - 1:6, 3:6. მეოთხედფინალში ჩეხი ავსტრიელ **მარტინ ფიშერს** ეთამაშება.

**თარიღები**



20 იანვარი, 1936 - დაიბადა შოთა ლომიძე (თავისუფალი ჭიდაობა). სპორტის დამსახურებული ოსტატი. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი (1969, 1971) და მეორე პრიზიორი (1967); ევროპის ორგზის ჩემპიონი (1966, 1969) და მეორე პრიზიორი (1967); 1968 წლის მეხიკოს ოლიმპიური თამაშების მეორე პრიზიორი და 1964 წლის ტოკიოს ოლიმპიადის მონაწილე (IX ადგილი); სსრკ ხალხთა IV და V სპარტაკიადების ჩემპიონი პირად და გუნდურ შეჯიბრებში (1967, 1971); სსრკ სამგზის ჩემპიონი (1964, 1965, 1966), მეორე (1968) და ორგზის მესამე პრიზიორი (1962, 1969).

**სპორტი ყველასთვის**

# ვეტერანთა ტურნირი ბათუმში

საშუალო და უფროსი ასაკის 25 ბათუმელ მოჭადრაკე მამაკაცს საშობაო-საახალწლო საჭადრაკო ტურნირში ორი კვირის განმავლობაში ჰქონდათ პირველობისთვის ცილობა. შეჯიბრებას ბათუმის ზღვისპირა პარკის ვეტერანთა კლუბ "ნონას" დარბაზმა უმასპინძლა. მარათონულ ბრძოლას, სამწუხაროდ, ბოლომდე ყველა ვერ შერჩა. მათ შორის, ვინც ტურნირს ნაადრევად ჩამოშორდა იყვნენ ადრინდელი ასპარეზობების მრავალგზის გამარჯვებულები და პრიზიორები - **ედუარდ მითიაშვილი** და **ვილელი სხილაძე**. სამაგიეროდ, ბოლომდე გამოიყენა თავისი გამოცდილება და ოსტატობა გასული საუკუნის 60-70-იან წლებში აჭარის ჩემპიონმა და საქართველოს პრიზიორმა **თამაზ დგებუაძემ**. მან გადამწყვეტ შეხვედრაში მოუგო თავისზე "ახალგაზრდა" **ივანე ბერიძეს**. მესამე ადგილზე გავიდა შარშანდელი ტურნირის გამარჯვებული **ალბერტ თერზიაშვილი**.

**შალვა ტაბაღუა,**
ტურნირის მთავარი მსაჯი

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ანტიკური ჭიდაობა. საქართველოს ჩემპიონატი

# პირველი ოთხეული

გუშინ, ბათუმში დაიწყო საქართველოს 2007 წლის ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ასპარეზობა ოთხ წონით კატეგორიაში გაიმართა და ოთხი ჩემპიონის ვინაობა გუშინვე გახდა ცნობილი.



84 კილოგრამის პოდიუმი. ჩემპიონი - ბადრი ხასაია

გურამ ტურაშვილის ფოტოები

| 55 კგ |
|---|
| 1. ირაკლი ჭოჭუა (თბილისი) |
| 2. ლაშა გოგიტაძე (ქუთაისი) |
| 3. გიორგი გვენეტაძე (აჭარა) |
| 3. ზურაბ კეკელიძე (ოზურგეთი) |

ბათუმელთათვის პირველი მოულოდნელობა პირველივე შეხვედრაში დაფიქსირდა, როცა აჭარის ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა **არჩილ თურმანიძემ** ოზურგეთელ **გიორგი ჩხაიძესთან** წააგო.

თავიდანვე გამოიკვეთა მთავარი ფავორიტის, **ირაკლი ჭოჭუას** უპირატესობა - მან ნახევარფინალამდე გზა მეტად დამაჯერებლად განვლო და თავი არც ფინალის საგზურისთვის ბრძოლაში შეურცხვენია. ჭოჭუამ ნახევარფინალში ოზურგეთელ **ზურაბ კეკელიძეს** სძლია და ფინალში ქუთაისელ **ლაშა გოგიტაძეს** დაუპირისპირდა - ამან თავის მხრივ აჭარელ **გიორგი გვენეტაძეს** მოუგო.

სანამ ფინალურ ორთაბრძოლაზე გადავიდოდეთ, ორიოდ სიტყვით მესამე ადგილისთვის ბრძოლებზე მოგახსენებთ. ბრინჯაოს მედლისთვის ერთმანეთს ორი აჭარელი ფალავანი - **გიორგი ზაქარაძე** და გიორგი გვენეტაძე დაუპირისპირდნენ, გვენეტაძემ მოიგო. მეორე ბრინჯაოს მედლისთვის ერთმანეთს ორი ოზურგეთელი, ზურაბ კეკელიძე და **აკაკი კილურაძე** დაეჭიდა. ერთი კუთხის შვილები კი იყვნენ, მაგრამ დიდი ბრძოლა გამართეს, გამარჯვება კეკელიძეს დარჩა.

ჭოჭუა-გოგიტაძის დუელი საკმაოდ შთამბეჭდავად დაიწყო. ბოლო წუთამდე გოგიტაძე იგებდა, თუმცა, ჭოჭუამ მაინც თავისი გაიტანა და როცა საფინალო სირენას ორი წამი უკლდა, ქუთაისელ ფალავანს გამარჯვებაც გამოსტაცა.

**ირაკლი ჭოჭუა: - არ დავმალავ, გამიჭირდა. ძლიერი მოწინააღმდეგე შემხვდა, მაგრამ, ღვთის მადლით, ყველაფერი ჩემდა სასიკეთოდ წარიმართა და ჩემპიონიც გავხდი, რაც ძალიან მახარებს.**

| 66 კგ |
|---|
| 1. მუხრან მაჭუტაძე (აჭარა) |
| 2. მანუჩარ ცხადაია (ხობი) |
| 3. ზვიად აბულაძე (აჭარა) |
| 3. ილია გულბათაშვილი (თბილისი) |

ამ წონით კატეგორიაში ყველაზე მეტმა ფალავანმა მოიყარა თავი. თან **დავით ბედინაძე** არ ჭიდაობდა და ძნელი იყო პროგნოზირება. თუმცა, თანდათან ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგა და ფავორიტებიც გამოიკვეთნენ.

უკვე მეოთხედფინალის შემდეგ ყველა ბათუმელი **მუხრან მაჭუტაძისა** და ოზურგეთელი **ლაშა ლომაძის** საფინალო დაპირისპირებაზე საუბრობდა, თუმცა ხობელმა **მანუჩარ ცხადაიამ** ყველა პროგნოზი თავდაყირა დააყენა და ფავორიტად შერაცხული ლომაძე ფინალის მიღმა დატოვა.

ლომაძის მეტოქე ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლაში თბილისელი **ილია გულბათაშვილი** გახლდათ, მაგრამ ლაშამ ბრძოლაზე უარი განაცხადა. მეორე წყვილში ერთმანეთს აჭარელი **ზვიად აბულაძე** და ქუთაისელი **გიორგი მესხი** დაუპირისპირდნენ. დაძაბულ ორთაბრძოლაში ბრინჯაოს მედალი ზღვისპირელმა დაისაკუთრა.

საინტერესო გამოდგა ფინალური შეხვედრა. პირველი ორი პერიოდის განმავლობაში მაჭუტაძე პასიურობდა, თუმცა იმდენი მოახერხა, რომ ჭიდაობა დამატებით დროში გააგრძელა, აქ კი ბათუმელი ფალავანი გაიხსნა და ჩემპიონობაც მოიპოვა, რითაც საგულშემატკივროდ მისული ბათუმელბი ძალიან გაახარა. ეს პირველი ოქრო გახლდათ აჭარის ნაკრებისთვის.

**მუხრან მა□უტაძე: - პირველ ორ პერიოდში ჭიდაობა არ წამივიდა. არ ვიცი, რა დამემართა, თითქოს ხელფეხი შემეკრა. საბედნიეროდ მესამე, დამატებით რაუნდში გავიხსენი და შედეგიც სახეზეა.**

| 84 კგ |
|---|
| 1. ბადრი ხასაია (თბილისი) |
| 2. შალვა გადაბაძე (თბილისი) |
| 3. ზვიად ქარდავა (თბილისი) |
| 3. აკაკი ჯოხაძე (გარდაბანი) |

აქ გამარჯვებას **ბადრი ხასაიას** უწინასწარმეტყველებდნენ და მანაც მოლოდინი გაამართლა. ფინალურ ორთაბრძოლაში ხასაიამ მთავარ კონკურენტს, თანაქალაქელ **შალვა გადაბაძეს** დამაჯერებლად მოუგო.

რაც შეეხება ბრინჯაოს მედლის პრეტენდენტებს, მათ შორის ერთი შეხვედრა არ შედგა. ვეტერანმა **ტარიელ მელელაშვილმა** მესამე ადგილისთვის ბრძოლაში **აკაკი ჯოხაძეს** უარი განუცხადა, მიზეზად კი ავადმყოფობა დაასახელა. მეორე შეხვედრა ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე მოიგო **ზვიად ქარდავამ**, რომელმაც **დავით უბირიას** მოუგო.

**ბადრი ხასაია: - ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი ტურნირია საქართველოს ჩემპიონატი. თანაც, მოგეხსენებათ, ოლიმპიური ლიცენზიების წელია და ეს წელი ჩემთვის ძალიან კარგად დაიწყო. ჩემს ჩემპიონობაში ლომის წილი ჩემს პირად მწვრთნელს, დავით დავითაიას მიუძღვის, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი.**

| 120 კგ |
|---|
| 1. რევაზ ჭელიძე (ოზურგეთი) |
| 2. გურამ ფერსელიძე (აჭარა) |
| 3. გიორგი ნაცარიშვილი (თბილისი) |

ამ წონაში ყველაზე ნაკლები მონაწილე მოგროვდა და მხოლოდ ერთი ბრინჯაოს მედალი გათამაშდა. ტრავმებით განამებული ბათუმელი **გურამ ფერსელიძისთვის** საქართველოს ჩემპიონატზე მეორე ადგილის მოპოვება ლამის გმირობის ტოლფასია. თანაც, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მისი მეტოქე საკმაოდ გამოცდილი **რევაზ ჭელიძე** გახლდათ. ფინალამდე ფერსელიძემ პირველი წრე დაისვენა, მეორეში კი **დიმიტრი ჯავახიშვილს** მოუგო. ჭელიძემ პირველ ორ წრეში ჯერ **გიორგი ნაცარიშვილს** მოუგო, შემდეგ კი **ოთარ ბოლქვაძეს**.

ფინალში ფერსელიძე წინააღმდეგობასაც უწევდა და ქულებიც აართვა ფავორიტს , მაგრამ საბოლოოდ ჭელიძემ თავისი გაიტანა და მეორე პერიოდის ბოლოს ორქულიანი გდების შემდეგ, ფერსელიძე ბეჭებზე დასცა. მესამე ადგილისთვის ნაცარიშვილმა დაამარცხა ბოლქვაძე.

**რევაზ ჭელიძე: - საკუთარი თავით უკმაყოფილო ვარ. მეტი შემეძლო, ადამაჯერებლად ვერ გამოვედი. მიუხედავად ამისა, ბედნიერი ვარ - როგორც იქნა, მოვახერხე საქართველოს ჩემპიონატის მოგება!**

**დღეს** ხალიჩაზე 60, 74 და 96 წონითი კატეგორიის მოჭიდავეები გავლენ ბათუმელი გულშემატკივარი განსაკუთრებით ათენის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორის, **რამაზ ნოზაძის** ჭიდაობას ელის. ხვალ და ზეგ თავისუფალი ჭიდაობის ტურნირია.

1920 **ირაკლი დარცმელიძე**
ბათუმიდან



66 - მუხრან მაჭუტაძე



55 - ირაკლი ჭოჭუა

## რაგბი

3 თებერვალი. რუმინეთი-საქართველო

# ბოდიში, რუსეთამდე ვერ ჩამოვალთ!

**საქართველოს ნაკრების გარემარბის მალხაზ ურჯუკაშვილის "კანი" გასულ სეზონში საფრანგეთის მეორე ფედერალური დივიზიონიდან გავარდა და ამჯერად ფედერალ 3-ში, უკან დასაბრუნებლად იბრძვის. ახლახან ამ გუნდს კიდევ ერთი ქართველი, ნაკრების ვეტერანი ბესიკ ხამაშურიძეც დაემატა. სამწუხაროდ რუმინელებთან შეხვედრაში ორივე კანელი დაგვაკლდება. მიზეზებზე მალხაზ ურჯუკაშვილი გვესაუბრება:**



მალხაზ ურჯუკაშვილი

- რუმინეთთან ვერ ვითამაშებთ. 3 თებერვალს "კანს" მნიშვნელოვანი მატჩი აქვს. ამჟამად სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე ვართ და პირველ ადგილოსანს ვხვდებით სტუმრად. ჩვენი გუნდის ხელმძღვანელებმა თხოვნით მიმართეს რაგბის კავშირსა და ნაკრების მწვრთნელებს, რათა ამჟამად გაგვათავისუფლონ ნაკრებიდან. ცხადია, ნაკრების თამაში უფრო მნიშვნელოვანია, მაგრამ კლუბსაც უნდა გავუწიოთ ანგარიში. ბოლოს და ბოლოს საარსებო წყაროს აქედან ვილებთ.

**- კლუბის თხოვნით მარტო რუმინელების წინააღმდეგ მატჩში იქნებით ნაკრებიდან გათავისუფლებულნი?**

- სამწუხაროდ არა. 18 მარტს ესპანეთშიც ვერ ვითამაშებთ. ერთი კვირის მერე რუსებს ვმასპინძლობთ და ამ შეხვედრას უკვე არ გამოვაკლდებით.

**- ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ "კანში" თქვენ მოთამაშე მწვრთნელი ხართ, გუნდის უკანა ხაზს ავარჯიშებთ.**

- დიახ, დიდი ხანია ასეა. ამ გუნდში რომ გადმოვედი, მაშინვე შემომთავაზეს მწვრთნელობა, ხელფასიც მაგის გამო მომიმატეს. ნელ-ნელა გამოცდილებას ვილებ, თამაშიდან თამაშამდე ვსწავლობ. გუნდიც ავაწყვეთ. ნაკრებში თამაშის გამო "კანში" ბევრი მატჩი გამიცდა და ამიტომაცაა, ახლა მეორეზე რომ ვართ, თორემ წესით, ჯგუფში ჩვენზე ძლიერი გუნდი არაა.

**- ბესო ხამაშურიძე ახლახან ჩაირიცხა "კანში". თამაში თუ მოასწრო უკვე?**

- როგორ არა. გასვლითი მატჩი მოვიგეთ, "ვესტ პროვანსთან" - 28:14. მე ერთი ლელო გავიტანე, "ანტილოპამაც" თავიდან ბოლომდე ითამაშა. გუნდში ადაპტაცია არ გასჭირვებია.

**- კანთან ახლოს, ნიცის გუნდში ახლახან ნაკრების კიდევ ერთმა მორაგბე რატი ურუშაძემ მოეწყო?**

- რატის ხშირად ვნახულობთ, "ნიცაში" პირველი მატჩიდანვე დაიმკვიდრა ადგილი. მწვრთნელები რამდენადაც ვიცი, კმაყოფილები არიან. პირობებიც კარგი შეუქმნეს. ბინა მისცეს, მალე "რენოს" მარკის მანქანასაც გამოუყოფენ. რამდენადაც ვიცი, რუმინელებთან ისიც იმ მიზეზით ვერ ითამაშებს, რის გამოც მე და "ანტილოპა" ვერ ვთამაშობთ. იმედია, ეს მდგომარეობა ნელ-ნელა გამოსწორდება.

**ბესიკ ჯანგავაძე**

# მე, ვიქტორი და... დადუნაშვილი?

**საქართველოს ნაკრებისა და ფრანგული "მასის" მესამეხაზელმა გიორგი ჩხაიძემ სეზონის დასაწყისში მიღებული მძიმე ტრავმის მოშუშების შემდეგ, ერთი თვეა, ვარჯიში დაიწყო და რამდენჯერმე ითამაშა კიდეც. "ბინგო" ნაკრების მწვრთნელებმა რუმინეთთან 3 თებერვლის მატჩისთვის გამოიძახეს.**



გიორგი ჩხაიძე

- სეზონის პირველივე მატჩში ყბა გავიტეხე. ნელ-ნელა სათანადო სპორტულ ფორმას ვიბრუნებ. წინა ტურში ერთი ტაიმი ვითამაშე, ხვალ კი გიორგი კაჭარავას "ვანთან" გვაქვს გასვლითი შეხვედრა. უმნიშვნელოვანესი მატჩია, ჩვენც და მათაც აუცილებლად გამარჯვება გვჭირდება. სამივე ქართველი, მე, ვიქტორ დიდებულიძე და დავით დადუნაშვილი ძირითად შემადგენლობაში ვართ.

**- განვლილ ტურში შინ დამარცხდით სანდრო ესაკიას "სენ ნაზერთან"...**

- ეს მარცხი შოკისმომგვრელი იყო. თამაშის მერე გუნდის საერთო კრებაზე ჩვენ დღე გვაყარეს... "მასის" შარშან ერთი ნაბიჯი დააკლდა მეორე დივიზიონში გადასასვლელად, წელსაც რომ ვერ გადავიდეთ, ცუდი ამბები დატრიალდება. ობიექტურად რომ განვსაჯოთ, კლუბის ხელმძღვანელები მართლები არიან. ყველანაირ პირობებს გვიქმნიან, პრობლემა არაფერი გვაქვს, სამაგიეროდ, შედეგსაც ითხოვენ.

**- რუმინეთთან მატჩისთვის ნაკრებში გამოძახებული ხარ...**

- დიახ, ტელეფონით ვესაუბრე მწვრთნელებს, რომლებმაც ამჟამად საფრანგეთში იმყოფებიან. მე და დიდებულიძე ვართ გამოძახებულნი. თუმცა კლუბში ჯერ ოფიციალური მოწვევა ჯერ არ მოსულა. როცა მოვა, გუნდის ხელმძღვანელებთან მოგვიწევს მოლაპარაკება, შესაძლოა, ერთ-ერთი ჩვენგანი არ გამოუშვან. მაქსიმალურად ვეცდები, ნაკრებში სათამაშოდ გავემგზავრო, რადგან ბოლოს პორტუგალიას რომ მოვუგეთ 40:0, მაშინ ვიყავი გუნდში. ასე რომ, ძალიან მონატრებული ვარ.

**- თქვენი თანაკლუბელი დავით დადუნაშვილი არცთუ დიდი ხნის წინ ნაკრების კანდიდატთა სიაში იყო, თუმცა ჩილესთან მატჩის შემდეგ, მას ეროვნულ გუნდში აღარ იწვევენ. ხომ არ იცით, რატომ?**

- ვერაფერს გეტყვით. დადუნაშვილი ამჟამად ძალიან კარგ ფორმაშია. მას კვაჭადაც შეუძლია თამაში და მარცხენა ბურჯადაც. ვფიქრობ, ნაკრების მწვრთნელებმა მასაც უნდა მისცენ თავის გამოჩენის შანსი.

მსოფლიო ჩემპიონატი. კაცები

# მეოთხედ, სტუმართმოყვარე გერმანიაში

**გუშინ, გერმანიის 11 ქალაქში სტარტი აიღო ვაჟთა შორის მსოფლიოს მე-20 ჩემპიონატმა. ჩვენი წინასატურნირო მიმოხილვა, ამ დიდი სპორტული ფორუმის მომავალი ბატალიების გარშემო გარკვეულ წარმოდგენას შეგიქმნით.**

## არქივი

მსოფლიო ხელბურთში, გერმანია მეტად სტუმართმოყვარე ქვეყანად ითვლება. აქ მსოფლიო პირველობა უკვე მეექვსედ ტარდება. პირველი ტურნირი ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე გაიმართა, მას შემდეგ კი, გდრ-მ და გფრ-მ ორ-ორჯერ უმასპინძლეს მუნდიალს. თუმცა, უკანასკნელად ეს მეოთხედი საუკუნის წინათ - 1982 წელს მოხდა. სხვათა შორის, მაშინ პირველად და უკანასკნელად ჩემპიონი საბჭოთა კავშირის ნაკრები გახდა.

გამარჯვებების რაოდენობით აბსოლუტური რეკორდსმენები კი, რუმინელები და შვედები არიან - მათ ოთხ-ოთხი ოქრო აქვთ მოპოვებული. საბჭოელების სამართალმემკვიდრე რუსეთი, ისევე როგორც გერმანია და საფრანგეთი, ორგზის ჩემპიონია, თითოჯერ ფლობდნენ უძლიერესის ტიტულს - ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია, ხორვატია და ესპანეთი.

## რეგლამენტი

წლევანდელ ტურნირზე უკვე დამყარდა რამდენიმე რეკორდი. ჩემპიონატი 11 ქალაქში ჩატარდება და უპრეცენდენტო იქნება ხანგრძლივობითა (17 დღე) და მატჩების რაოდენობით (92). ეს ყველაფერი რეგლამენტის ნოვაციით არის გამოწვეული.

ტურნირის გამართვის სისტემაში მთავარი ცვლილება ის არის, რომ მას ვადაზე ადრე არცერთი გუნდი არ დატოვებს, მათ შორის აუტსაიდერებიც, რომლებიც ბოლომდე იბრძოლებენ საბოლოო კლასიფიკაციის დასაფიქსირებლად. მარკეტინგული თვალსაზრისით, ეს იდეა ცოტათი საეჭვოა, მაგრამ გერმანელები დარწმუნებულნი არიან, რომ 13-24 ადგილებისთვის მებრძოლი გუნდების მანუგეშებელ ტურნირს, რომელსაც "პრეზიდენტის თასი" დაარქვეს, თავისი მაყურებელი მაინც ეყოლება.

რაც შეეხება მთლიანად ტურნირის რეგლამენტს, I ჯგუფურ ეტაპზე 24 გუნდი 6 ჯგუფად არის დაყოფილი. ორ-ორი საუკეთესო II ჯგუფურ ეტაპზე გადავლენ, სადაც ორ, ექვს-ექვსგუნდიან ჯგუფს შექმნიან და მეოთხედფინალის საგზურს გაითამაშებენ. შემდეგ იქნება ნახევარფინალი და ფინალი.

## ოლიმპიადის საგზური

გერმანიაში მხოლოდ პლანეტის საუკეთესო გუნდი არ ირკვევა. აქ სასწორზე პეკინის თამაშების საგზურიც დევს. მას მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებული მიიღებს. ასეთივე უფლება ექნება გაისად, ევროპის ჩემპიონ გუნდს. დანარჩენ მსურველებს კი, პირველად მოუწევს საკვალიფიკაციო ტურნირში მონაწილეობა. შესარჩევში ადგილი მხოლოდ იმ ნაკრებებს ექნებათ გარანტირებული, რომლებიც გერმანიაში მე-2-7 ადგილებს დაიკავებენ. ამას გარდა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნახევარფინალში გასვლას, ვინაიდან იქ მოხვედრილი გუნდები ოლიმპიური შესარჩევი ტურნირის კვარტეტებს უმასპინძლებენ. ასეთი სამი ჯგუფი იქნება.



ხუან კარლოს პასტორი

## ჩემპიონი 2005

გერმანიაში ტიტულის დაცვა ესპანეთის ნაკრებს უწევს. პირენეელებს ურთულესი ამოცანა აქვთ გადასაჭრელი, რადგან ორჯერ ზედიზედ მსოფლიო ჩემპიონატი მხოლოდ რუმინელებს აქვთ მოგებული - 1970 და 1974 წლებში.

2005 წელს, ტუნისში მიღწეულ ტრიუმფს ესპანელები ძალიან დიდხანს ელოდნენ - მანამდე, დიდ ფორუმებზე მათ სულ მცირედი აკლდებოდათ საბოლოო გამარჯვების მისაღწევად.

ნავსის გატეხვა **ხუან კარლოს პასტორმა** მოახერხა. ამ მწვრთნელმა, რომელიც შეთავსებით მოკრძალებულ "ვალიადოლიდში" მუშაობდა, უაღრესად ჰარმონიული და ძლიერი ანსამბლი შეკრა. **ტალანტ დუიშებაევისა და ენრიკე მასიპის** წასვლის შემდეგ, ესპანეთის ნაკრები ვარსკვლავების გარეშე კი დარჩა, მაგრამ გუნდური თამაშით მიაღწია საწადელს. ამ ნაკრებს ერთადერთი ჩავარდნა 2006 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალში ჰქონდა, როცა მან საფრანგეთთან წააგო.

## ფავორიტები

ესპანეთის ტახტიდან ჩამოგდება რამდენიმე გუნდს შეუძლია - ტუნისს, საფრანგეთს, გერმანიას, დანიას, ხორვატიას...

ცალკე უნდა გამოვყოთ მასპინძელთა ნაკრები, რომელსაც, შარშან, თვალნათელი მაგალითი ჰქონდა ფეხბურთელთა ნაკრების სახით. მაგრამ, თუ **იურგენ კლინსმანის** შეგირდებმა მხოლოდ ბრინჯაო მოიგეს, ულვაშა **ჰაინერ ბრანდის** გუნდს გაცილებით მეტი ამბიციები ექნება. და ეს ოპტიმიზმი სულაც არ არის საფუძველს მოკლებული.

ყველაზე ეგზოტიკური ფავორიტი ტუნისის ნაკრებია. ორი წლის წინანდელი გარღვევა ნახევარფინალში, ბევრმა მშობლიურ კედლებს მიაწერა, მაგრამ სკეპტიკოსები გასულ შემოდგომაზე დადუმდნენ, როცა აფრიკელების ხორვატმა მესაჭემ **სეად ჰასანეფენდიჩმა** თავისი გუნდი მსოფლიო თასის ფინალში გაიყვანა.

## გარეთ დარჩენილები

წელს, ხელბურთის ისტორიაში უნიკალურ ანომალიასთან გვაქვს საქმე - ეს არის პირველი მსოფლიო ჩემპიონატი, სადაც შვედები არ თამაშობენ! სკანდინაველებმა თაობათა ცვლის პროცესი დააგვიანეს და ამასთან ერთად, ლეგენდარული მწვრთნელის - **ბენგტ იოჰანსონის** გაშვება იჩქარეს. მართალია, შვედეთს ნიჭიერი მოთამაშეები მაინც არ აკლია, მაგრამ წინა მუნდიალზე ამ გუნდმა მე-11 ადგილი დაიკავა, ვერ გაიარა ვერც ევროპისა და ვერც მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპები. გერმანიის საგზური მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა პოლონეთთან და ისლანდიასთან ბრძოლაში დათმო.

## მწვრთნელები

ამ მსოფლიო ჩემპიონატზე, სხვადასხვა გუნდების მთავარ მწვრთნელებად ხელბურთში უნიკალური პიროვნებები იმუშავებენ.

ოთხ მათგანს უკვე მოგებული აქვს მსოფლიო ჩემპიონატი: უკვე ნახსენებ ხუან კარლოს პასტორს (ესპანეთი, 2005), **ლინო ჩერვარს** (ხორვატია, 2003), **ვლადიმერ მაქსიმოვსა** (რუსეთი, 1993, 1997) და **ზორან ჟივკოვიჩს** (იუგოსლავია, 1986), რომელიც ახლა ეგვიპტის ნაკრებს წვრთნის.

ამ კვარტეტიდან მხოლოდ ორს გაუმარჯვია ოლიმპიადაზე - მაქსიმოვი (2000) და ჩერვარი (2004).

მწვრთნელთა შორის, სამი ისეთი სპეციალისტია, რომელსაც ოლიმპიადა მოთამაშის ამპლუაში აქვს მოგებული: მაქსიმოვი (1976), ჟივკოვიჩი (1972) და უკრაინელი **სერგეი კუშნირიუკი** (1976).

მაგრამ, მწვრთნელთა ანსამბლში ყველაზე უნიკალური პიროვნება, დანიელი **ულრიკ ვილბეკია**. ის ყველანაირი ოქროს მფლობელია - სხვადასხვა დროს ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიადის ჩემპიონი იყო, ოღონდ... დანიის ქალთა ნაკრების ხელმძღვანელობის პერიოდში!

## პირველი ჯგუფური ეტაპის კალენდარი

**A ჯგუფი**

**20 იანვარი**
სლოვენია-გრენლანდია
ტუნისი-ქუვეითი

**21 იანვარი**
გრენლანდია-ტუნისი
ქუვეითი-სლოვენია

**22 იანვარი**
ქუვეითი-გრენლანდია
ტუნისი-სლოვენია

**B ჯგუფი**

**20 იანვარი**
ისლანდია-ავსტრალია
საფრანგეთი-უკრაინა

**21 იანვარი**
ავსტრალია-საფრანგეთი
უკრაინა-ისლანდია

**22 იანვარი**
უკრაინა-ავსტრალია
საფრანგეთი-ისლანდია

**C ჯგუფი**

**19 იანვარი**
გერმანია-ბრაზილია

**20 იანვარი**
პოლონეთი-არგენტინა

**21 იანვარი**
ბრაზილია-პოლონეთი
არგენტინა-გერმანია

**22 იანვარი**
გერმანია-პოლონეთი
ბრაზილია-არგენტინა

**D ჯგუფი**

**20 იანვარი**
ჩეხეთი-კატარი
ესპანეთი-ეგვიპტე

**21 იანვარი**
კატარი-ესპანეთი
ეგვიპტე-ჩეხეთი

**22 იანვარი**
ეგვიპტე-კატარი
ესპანეთი-ჩეხეთი

**E ჯგუფი**

**20 იანვარი**
ნორვეგია-ანგოლა
დანია-უნგრეთი

**21 იანვარი**
ანგოლა-დანია
უნგრეთი-ნორვეგია

**22 იანვარი**
უნგრეთი-ანგოლა
დანია-ნორვეგია

**F ჯგუფი**

**20 იანვარი**
ხორვატია-მაროკო
რუსეთი-კორეა

**21 იანვარი**
მაროკო-რუსეთი
კორეა-ხორვატია

**22 იანვარი**
მაროკო-კორეა
ხორვატია-რუსეთი



## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ბოსტონი-პიტსბურგი 5:4 (ბ)**

0:2, 3:2, 1:0, 0:0

**გოლები**: 0:1 მელოუნი-6 (კროსბი-46, რეკი-27), 0:2 მალკინი-23 (ჯ. სტაალი-5, სკუდერი-7), 1:2 გ. მიურეი-22 (სავარი-43, აქსელსონი-11), 2:2 შტურმი-12 (პ. ბერჟერონი-32, სავარი-44), 3:2 ბ. სტიუარტი-7 (ალბერტსი-8, დონოვანი-8), 3:3 მალკინი-24 (რაიან უიტნი-22), 3:4 ჯ. სტაალი-14 (ულეტი-16, კრისტენსენი-6), 4:4 სავარი-18 (გ. მიურეი-15, კესელი-5).

**ბულიტები გაიტანეს**: კრისტენსენი (პიტსბურგი), შტურმი (ბოსტონი), კესელი (ბოსტონი).

**კაროლინა-ვაშინგტონი 2:5**

0:1, 0:1, 2:3

**გოლები**: 0:1 კ. კლარკი-18, 0:2 სიომინი-26 (ზუბრუსი-24), 1:2 ე. კოული-21 (კომოდორი-14, ბელანჟე-12), 1:3 სიომინი-27 (ბრაშირი-5, ჰიუვარდი-6), 2:3 ე. სტაალი-20 (რეი უიტნი-34, უესლი-7), 2:4 კ. კლარკი-19 (პეტინგერი-12, გორდონი-11), 2:5 ოვეჩკინი-29 (მორისონი-6).

**ნეშვილი-კოლამბუსი 4:0**

2:0, 1:0, 1:0

**გოლები**: 1:0 ლეგვანდი-15 (ფიდლერი-8, ვაშიჩეკი-9), 2:0 სალივანი-15 (არნოტი-15, შ. უებერი-17), 3:0 კარია-16 (ჟიდლიცკი-20, კ. ტიმონენი-25), 4:0 ერატი-9 (კარია-35, ლეგვანდი-23).

**ედმონტონი-ანაჰაიმი 4:1**

0:1, 2:0, 2:0

**გოლები**: 0:1 სელიანე-30, 1:1 ჯ. სმიტი-2 (რ. სმიტი-13, ჰეიდა-5), 2:1 პეტერსენი-2 (პიზანი-8, ტორესი-16), 3:1 რ. სმიტი-22 (ჰორკოფი-19, როლოსონი-1), 4:1 რ. სმიტი-23 (ჰორკოფი-20, ლუპული-7).

**ფილადელფია-აილენდერსი 2:4**

0:1, 2:1, 0:2

**გოლები**: 0:1 რ. რობიტაილი-7 (შატანი-20, მარტინეკი-12), 1:1 რ. ჯონსი-3 (ფედორუკი-8, უმბერგერი-8), 1:2 ჯ. ბლეიკი-24 (სილინჯერი-20, ჰილი-16), 2:2 განიე-22 (ფორსბერგი-19, პიტკანენი-23), 2:3 სილინჯერი-15 (შატანი-21, იაშინი-24), 2:4 ჰილბერტი-5 (კამპოლი-6, ჰანტერი-6).

**ატლანტა-მონრეალი 1:4**

1:1, 0:3, 0:0

**გოლები**: 1:0 კოვალიოვი-12 (ლატენდრესი-12, პლეკანეცი-13), 1:1 ჰოლიკი-10 (კოვალჩუკი-26, მარიან ჰოსა-33), 1:2 სურეი-16 (მტრაიტი-14, რაიდერი-18), 1:3 პლეკანეცი-8 (სურეი-24, ლატენდრესი-13), 1:4 სამსონოვი-7 (მ. ჯონსონი-12).

**ოტავა-ვანკუვერი 1:2**

0:0, 0:2, 1:0

**გოლები**: 0:1 პიატი-12 (ს. სალო-13, ნესლუნდი-21), 0:2 ფიტცპატრიკი-1 (დ. სედინი-28, პიატი-8), 1:2 ალფრედსონი-17 (ჰიტლი-35, პრისინგი-21).

**ფლორიდა-ტორონტო 2:3**

0:1, 0:2, 2:0

**გოლები**: 0:1 დევერო-2 (კილგერი-9, ბატალია-12), 0:2 კილგერი-8 (სტაიანი-15, ბელაკი-3), 0:3 პონი-8, 1:3 გ. კემპბელი-4 (კვიატკოვსკი-4), 2:3 პელტონენი-7 (უაისი-15, ალენი-10).

**ნიუ ჯერსი-ტამპა ბეი 2:3 (ბ)**

1:0, 0:2, 1:0, 0:0

**გოლები**: 1:0 პანდოლფო-6 (მადენი-13, ბრილინი-15), 1:1 ბ. რიჩარდსი-17 (რეინჯერი-17), 1:2 ბ. რიჩარდსი-18 (ბოილი-28, სენტ ლუისი-35), 2:2 პ. მარტინი-1 (პარიზე-18, რაფალსკი-28).

**ბულიტები გაიტანეს**: ბ. რიჩარდსი (ტამპა ბეი).

**სან ხოსე-ფინიქსი 5:2**

1:1, 2:0, 2:1

**გოლები**: 0:1 სიოსტრიომი-5 (კ. ადამსი-3), 1:1 მარლო-22 (ვლასიჩი-12, კლოუ-4), 2:1 მ. მიხალეკი-13 (ჩიჩუ-18, დევისონი-2), 3:1 კლოუ-12 (ჯ. ტორნტონი-47, მარლო-29), 3:2 როუჩი-4 (რიონიკი-8, რაინპრეხტი-10), 4:2 მ. კარლი-5 (გრირი-7, მ. სმიტი-10), 5:2 ჯ. ტორნტონი-13 (მარლო-30, კლოუ-5).

**ლოს ანჯელესი-სენტ ლუისი 1:3**

0:2, 1:1, 0:0

**გოლები**: 0:1 დრეიკი-4 (მაკლემანი-11, ბეიკსი-3), 0:2 დრეიკი-5 (ბეიკსი-4, მაკლემანი-12), 1:2 ივანანსი-2 (უილსი-8), 1:3 გერინი-19 (რუჩინსკი-20, უეიტი-26).

**აღმოსავლეთი**

| ატლანტიკის ოკეანე | თ | მ | წ | ოწ | ქ |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| ნიუ ჯერსი* | 47 | 28 | 14 | 5 | 61 |
| რეინჯერსი* | 47 | 23 | 20 | 4 | 50 |
| პიტსბურგი | 45 | 20 | 17 | 8 | 48 |
| აილენდერსი | 47 | 22 | 21 | 4 | 48 |
| ფილადელფია | 46 | 11 | 31 | 4 | 26 |

| ჩრდილო-აღმოსავლეთი | თ | მ | წ | ოწ | ქ |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| ბაფალო* | 47 | 32 | 11 | 4 | 68 |
| მონრეალი* | 48 | 26 | 17 | 5 | 57 |
| ოტავა* | 49 | 27 | 20 | 2 | 56 |
| ტორონტო | 48 | 22 | 20 | 6 | 50 |
| ბოსტონი | 45 | 22 | 19 | 4 | 48 |

| სამხრეთ-აღმოსავლეთი | თ | მ | წ | ოწ | ქ |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| ატლანტა* | 49 | 26 | 15 | 8 | 60 |
| კაროლინა* | 49 | 25 | 19 | 5 | 55 |
| ტამპა ბეი* | 49 | 25 | 22 | 2 | 52 |
| ვაშინგტონი | 47 | 20 | 20 | 7 | 47 |
| ფლორიდა | 49 | 17 | 22 | 10 | 44 |

**დასავლეთი**

| ცენტრალური | თ | მ | წ | ოწ | ქ |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| ნეშვილი* | 48 | 33 | 12 | 3 | 69 |
| დეტროიტი* | 47 | 30 | 12 | 5 | 65 |
| სტ. ლუისი | 47 | 18 | 21 | 8 | 44 |
| ჩიკაგო | 46 | 17 | 22 | 7 | 41 |
| კოლამბუსი | 47 | 17 | 25 | 5 | 39 |

| ჩრდილო-დასავლეთი | თ | მ | წ | ოწ | ქ |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| ვანკუვერი* | 47 | 27 | 19 | 1 | 55 |
| კალგარი* | 45 | 24 | 17 | 4 | 52 |
| მინესოტა* | 47 | 24 | 20 | 3 | 51 |
| ედმონტონი | 47 | 23 | 20 | 4 | 50 |
| კოლორადო | 46 | 23 | 20 | 3 | 49 |

| წყნარი ოკეანე | თ | მ | წ | ოწ | ქ |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| ანაჰაიმი* | 49 | 30 | 11 | 8 | 68 |
| სან ხოსე* | 47 | 32 | 15 | 0 | 64 |
| დალასი* | 47 | 28 | 18 | 1 | 57 |
| ფინიქსი | 47 | 21 | 24 | 2 | 44 |
| ლოს ანჯელესი | 49 | 16 | 27 | 6 | 38 |

*შენიშვნა*: ოწ - ოვერტაიმში წაგება (დამარცხებულ გუნდს ერთი ქულა ენიჭება); * - ფლეი ოფის ზონა

| ბომბარდირები (გოლი+პასი) | |
| --- | --- |
| კროსბი (პიტ) | 69 (23+46) |
| სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 64 (29+35) |
| ოვეჩკინი (ვაშ) | 64 (29+35) |
| ლეკავალიე (ტ-ბეი) | 63 (29+34) |
| ჰიტლი (ოტა) | 63 (28+35) |
| მარიან ჰოსა (ატლ) | 62 (29+33) |
| მარკ სავარი (ბოს) | 62 (18+44) |
| ჯ. ტორნტონი (ს-ხოს) | 60 (13+47) |

| გოლეადორები | |
| --- | --- |
| სელიანე (ანა) | 30 |
| სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 29 |
| ლეკავალიე (ტ-ბეი) | 29 |
| მარიან ჰოსა (ატლ) | 29 |
| ოვეჩკინი (ვაშ) | 29 |
| ჰიტლი (ოტა) | 28 |
| სიომინი (ვაშ) | 27 |

| ასისტენტები | |
| --- | --- |
| ჯ. ტორნტონი (ს-ხოს) | 47 |
| კროსბი (პიტ) | 46 |
| სავარი (ბოს) | 44 |
| იაგრი (რეინ) | 42 |
| ჰ. სედინი (ვან) | 40 |
| ბრინდამორი (კარ) | 39 |
| ბრიერი (ბაფ) | 38 |

**რალი-რეიდი**

**ლისაბონი-დაკარი 2007**

**X ეტაპი**

**მსუბუქი მანქანები**

1. **საინსი** (ესპ)/პერენი (საფ, "ფოლკსვაგენი") - 2:58.56; 2. **სოუზა** (პორ)/შულცი (გერ, "ფოლკსვაგენი") - +3.53; 3. **ალფანი** (საფ)/პიკარი (საფ, "მიცუბიში) - +4.52; 4. **ალ ათიიაჰი** (კატ)/გუეენეკი (საფ, BMW) - +6.10; 5. **რომა** (ესპ)/კრუს სენრა (ესპ, "მიცუბიში") - +6.32; 6. **პეტერანსელი** (საფ)/კოტრე (საფ, "მიცუბიში) - +8.19.

**საერთო ჩათვლა**: 1 პეტერანსელი/კოტრე - 40:42.34; 2. ალფანი/პიკარი - +6.29; 3. შლესერი (საფ)/დებრონი (საფ, "ფორდი") - +1:34.02; 4. ალ ათიიაჰი/გუეენეკი - +1:58.04; 5. მილერი (აშშ)/პიტჩფორდი (ს. აფრ, "ფოლკსვაგენი") - +2:15.55; 6. მასოუკა (იაპ)/მემონი (საფ, "მიცუბიში") - +2:27.10.

**მოტოციკლები**

1. ესტევი (ესპ, KTM) - 3:34.46; 2. გონკალვეში (პორ, "ჰონდა") - +3.03; 3. ჟაშორი (პოლ, KTM) - +4.04; 4. კლასენი (ს. აფრ, AFS) - +7.13; 5. პლანე (საფ, KTM) - +8.02; 6. ულევალსეტერი (ნორ, KTM) - +10.04.

**საერთო ჩათვლა**: 1. კომა (ესპ, KTM) - 44:47.16; 2. დესპრე (საფ, KTM) - +52.48; 3. კასტო (საფ, KTM) - +1:10.13; 4. ბლეისი (აშშ, KTM) - +1:41.33; 5. ულევალსეტერი - +2:05.04; 6. ესტევი - +2:35.04.

**ჭადრაკი**

**ვეიკ-ენ-ზეე (ჰოლანდია)**

**V ტური**

**ნავარა** (ჩეხეთი)-**რაჯაბოვი** (აზერბაიჯანი) 0:1; **პონომარიოვი** (უკრაინა)-**კრამნიკი** (რუსეთი) 0.5:0.5; **კარიაკინი** (უკრაინა)-**მოტილიოვი** (რუსეთი) 0.5:0.5; **ანანდი** (ინდოეთი)-**სვიდლერი** (რუსეთი) 1:0; **ტივიაკოვი** (ჰოლანდია)-**ტოპალოვი** (ბულგარეთი) 0.5:0.5; **შიროვი** (ესპანეთი)-**ვან ველი** (ჰოლანდია) 0:1; **არონიანი** (სომხეთი)-**კარლსენი** (ნორვეგია) 0.5:0.5.

**მდგომარეობა ხუთი ტურის შემდეგ**: 1. რაჯაბოვი - 4.5 ქულა; 2-3. ანანდი, ტოპალოვი - 3.5; 4-5. კრამნიკი, არონიანი - 3; 6-9. სვიდლერი, ნავარა, პონომარიოვი, კარიაკინი - 2.5; 10-11. ვან ველი, მოტილიოვი - 2; 11-13. კარლსენი, ტივიაკოვი - 1.5; 14. შიროვი - 0.5.

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# პასუხის პასუხი



ბრაიანტისა (მარცხნივ) და დემპიეს დუელი

ბოლო ექვსი კვირის განმავლობაში, ერთადერთი გუნდი, რომელმაც **ეივერი ჯონსონის** "დალას მავერიქსის" დამარცხება მოახერხა, "ლეიკერსი" იყო. უკანასკნელი 19-დან 18 მატჩის მომგები "დალასი", კალიფორნიელებს ოდნავ შესუსტებული შემადგენლობით დაუხვდა - ავადმყოფობის გამო მასპინძლებმა ერთ-ერთი საკვანძო წევრი, გამთამაშებელი **დევინ ჰარისი** ვერ იახლეს. "პატარა გენერალმა", ანუ ჯონსონმა ჰარისის ნაცვლად, ფლეიმეიქერად **ჯეისონ ტერი** დააყენა, ხოლო ტერის პოზიციაზე, ანუ მსროლელად მატჩი გამოცდილმა **დევინ ჯორჯმა** დაიწყო.

7 იანვარს, როდესაც "ლეიკერსმა" "დალასს"101:98 მოუგო, **ფილ ჯექსონის** შეგირდებმა მეტოქეს გადამწყვეტი დარტყმა ბოლო წუთებზე მიაყენეს, ლიდერობა კი მოულოდნელად **საშა ვუიაჩიჩმა** იტვირთა.

*"გვახსოვდა რა, წინა მატჩში "ლეიკერსის" გვიანი გაქცევა, შევეცადეთ, სოლიდური უპირატესობა თავიდანვე მოგვეპოვებინა და ბოლო მეოთხედამდე საქმე მოგვეთავებინა"*, - იტყვის მოგვიანებით ტერი, რომელმაც 13 შედეგიანი გადაცემით, მიმდინარე რეგულარულის პირადი რეკორდი დაამყარა.

"დალასი" მართლაც საოცარ კალათბურთს თამაშობს. გუნდი, რომელიც სეზონში 4-დან ოთხივე მატჩის წაგებით შევიდა, მას მერე იდეალურ მოქმედებს და შემდგომი 37 შეხვედრიდან, "მაწანწალებმა" მხოლოდ 4 დათმეს.

"ლეიკერსს" ამ მატჩამდე ზედიზედ 3 შეხვედრა მოეგო და **კობი ბრაიანტსა** და მის ახალგაზრდა საძმოს არც ეს მატჩი დაუწყიათ ცუდად. სტუმრებმა პირველი მეოთხედი მოიგეს და 4-ქულიანი უპირატესობა მეორე 12-წუთეულის სტარტზეც შეინარჩუნეს.

მასპინძელთა გადამწყვეტი გაქცევა იმავე ტერიმ დაიწყო, რომელმაც სამქულიანი რომ გააფუჭა, მოხსნაზე **ენდი ბინუმს** აჯობა და ეფექტური პასით **დირკ ნოვიცკის** (18-დან 11 ზუსტი სროლა) შეტევა ზუსტი სროლით დაასრულებინა. "მავერიქსი" წინ 32:30 გავიდა, ხოლო დიდ შესვენებამდე, **ენტონი ჯონსონის** მიერ მიჯრით გაკეთებული 6 ქულით, ჰანდიკაპი 12 ქულამდე (60:48) გაზარდა.

**ზურაბ თალაკვაძე**

**დალასი-ლეიკერსი 114:95**

26:28, 34:20, 35:24, 19:23

**დალასი:** ჯოშ ჰოვარდი (29 ქ. 11 მ. 5 პ. 2 ჩ), ნოვიცკი (27 ქ. 10 მ), ჯორჯი (14 ქ. 6 მ), ტერი (12 ქ. 13 პ), სტექჰაუზი (11 ქ), ე. ჯონსონი (11 ქ), დემპიე (10 მ. 4 დ).

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (26 ქ. 5 პ), ფარმარი (17 ქ. 5 ჩ), ვუიაჩიჩი (10 ქ. 3 ჩ).

**მაიამი-ინდიანა 104:101**

23:22, 32:27, 30:21, 19:31

**მაიამი:** უეიდი (33 ქ. 8 პ. 6 მ. 4 ჩ), ჯეისონ უილიამსი (20 ქ. 8 პ. 2 ჩ), მურნინგი (14 ქ. 3 დ), კაპონო (11 ქ), დულიკი (10 ქ).

**ინდიანა:** გრეინჯერი (28 ქ. 2 დ), მარკის დენიელსი (23 ქ. 5 პ), ჯ. ონილი (17 ქ. 10 მ), ფოსტერი (14 ქ. 9 მ).

## აღმოსავლეთი

### ატლანტიკის ოკეანე

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| ტორონტო* | 41 | 19 | 21 | 47.5 |
| ნიუ ჯერსი | 38 | 18 | 20 | 47.4 |
| ნიუ იორკი | 40 | 17 | 23 | 42.5 |
| ბოსტონი | 37 | 12 | 25 | 32.4 |
| ფილადელფია | 39 | 10 | 29 | 25.6 |

### ცენტრალური

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| კლივლენდი* | 38 | 23 | 15 | 60.5 |
| ჩიკაგო* | 40 | 23 | 17 | 57.5 |
| დეტროიტი* | 37 | 21 | 16 | 56.8 |
| ინდიანა* | 39 | 20 | 19 | 51.3 |
| მილუოკი | 38 | 17 | 21 | 44.7 |

### სამხრეთ-აღმოსავლეთი

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| ვაშინგტონი* | 38 | 22 | 16 | 57.9 |
| ორლანდო* | 39 | 22 | 17 | 56.4 |
| მაიამი* | 38 | 18 | 20 | 47.4 |
| ატლანტა | 36 | 13 | 23 | 36.1 |
| შარლოტი | 37 | 12 | 25 | 32.4 |

## დასავლეთი

### სამხრეთ-დასავლეთი

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| დალასი* | 41 | 33 | 8 | 80.5 |
| სან ანტონიო* | 40 | 27 | 13 | 67.5 |
| ჰიუსტონი* | 40 | 25 | 15 | 62.5 |
| ნიუ ორლეანი | 37 | 15 | 22 | 40.5 |
| მემფისი | 40 | 10 | 30 | 25.0 |

### ჩრდილო-დასავლეთი

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| იუტა* | 39 | 25 | 14 | 64.1 |
| მინესოტა* | 37 | 20 | 17 | 54.1 |
| დენვერი* | 35 | 18 | 17 | 51.4 |
| პორტლენდი | 40 | 16 | 24 | 40.0 |
| სიეტლი | 40 | 15 | 25 | 37.5 |

### წყნარი ოკეანე

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| ფინიქსი* | 38 | 30 | 8 | 78.9 |
| ლეიკერსი* | 40 | 26 | 14 | 65.0 |
| გ. სტეიტი | 40 | 19 | 21 | 47.5 |
| კლიპერსი | 39 | 18 | 21 | 46.2 |
| საკრამენტო | 36 | 14 | 22 | 38.9 |

*შენიშვნა:* * - ფლეი ოფის ზონა

### ქულები

| | |
|---|---|
| არენასი (ვაშ) | 29.9 |
| აივერსონი (ფილ) | 29.4 |
| უეიდი (მაი) | 28.1 |
| ბრაიანტი (ლეი) | 28.0 |
| რედი (მილ) | 27.7 |

### მოხსნები

| | |
|---|---|
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 12.6 |
| გარნეტი (მინ) | 12.6 |
| კემბი (დენ) | 12.1 |
| ბუზერი (იუტ) | 11.7 |
| ოკაფორი (შარ) | 11.3 |

### პასები

| | |
|---|---|
| ნეში (ფინ) | 11.4 |
| კიდი (ნ-ჯერ) | 9.2 |
| პოლი (ნ-ორლ) | 9.0 |
| ა. მილერი (დენ) | 8.7 |
| დერ. უილიამსი (იუტ) | 8.7 |

### ჩაჭრები

| | |
|---|---|
| არტესტი (საკ) | 2.3 |
| მერიონი (ფინ) | 2.1 |
| იგუოდალა (ფილ) | 2.1 |
| არენასი (ვაშ) | 2.0 |
| ბ. დევისი (გ-სტე) | 2.0 |

# ევროლიგა. პირველი ჯგუფური ეტაპი. XII ტური

## A ჯგუფი

**ლე მანი-დინამო 69:70**

19:14, 15:22, 17:15, 18:19

**ლე მანი:** ნიჩევიჩი (14 ქ), გრეგორი (13 ქ), ე. კემპბელი (11 ქ. 10 მ).

**დინამო:** პაპადოპულოსი (27 ქ. 8 მ), ე. გილი (12 ქ), დომანი (10 ქ. 4 ჩ), ფოცისი (10 ქ. 9 მ).

**პროკომი-კიოლნი 72:61**

11:19, 22:21, 20:9, 19:12

**პროკომი:** ვოიჩიკი (22 ქ. 2 დ), დალმაუ (17 ქ. 3 ჩ), ბეშოქი (11 ქ), სლანინა (11 ქ).

**კიოლნი:** ნადჯფეჯი (16 ქ. 5 ჩ), მაკელროი (14 ქ), გორტატი (12 ქ. 13 მ. 2 ჩ), მალეტი (11 ქ).

**ოლიმპიაკოსი-ეფესი 72:91**

17:16, 11:20, 12:31, 32:24

**ოლიმპიაკოსი:** დომერკანტი (15 ქ), ვასილოპულოსი (12 ქ. 4 ჩ), აკერი (12 ქ. 7 მ), ბუსრუსისი (12 ქ. 6 მ), ჯ. პენი (11 ქ).

**ეფესი:** ნიკოლასი (24 ქ), ჰეისლიპი (22 ქ. 6 დ), ჯენკინსი (18 ქ), კიოგო (11 ქ. 6 მ).

**კლიმამიო-ტაუ 90:82**

25:24, 27:19, 17:17, 21:22

**კლიმამიო:** ბლუტენტალი (20 ქ), მანჩინელი (20 ქ), ჯ. ტომასი (16 ქ. 19 მ. 2 ჩ. 2 დ), ედნი (16 ქ. 5 პ), ბელინელი (15 ქ. 3 ჩ).

**ტაუ:** რაკოჩევიჩი (23 ქ. 8 მ. 2 დ), სკოლა (18 ქ), პრიჯიონი (12 ქ. 10 პ. 8 მ. 5 ჩ), ერდოგანი (10 ქ), ტელეტოვიჩი (8 ქ. 8 მ).

| | მ/წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. ტაუ | 10-2 | +96 |
| 2. ოლიმპიაკოსი | 9-3 | +64 |
| 3. დინამო (მ) | 8-4 | +49 |
| 4. ეფეს პილზენი | 7-5 | +52 |
| 5. პროკომი | 5-7 | -24 |
| 6. კლიმამიო | 4-8 | -65 |
| 7. ლე მანი | 3-9 | -33 |
| 8. კიოლნი | 2-10 | -139 |

## B ჯგუფი

**ხუვენტუდი-რომა 72:83**

16:25, 20:17, 16:19, 20:22

**ხუვენტუდი:** გეინსი (19 ქ), ბარტონი (17 ქ. 10 მ), რ. ფერნანდესი (9 ქ. 4 ჩ).

**რომა:** დ. ჰოკინსი (25 ქ. 3 ჩ), ჩეტმენი (18 ქ. 6 მ. 2 ჩ), ბოდიროგა (13 ქ).

**მაკაბი-ციბონა 91:83**

19:29, 20:17, 27:20, 25:17

**მაკაბი:** ვუიჩიჩი (29 ქ. 7 მ. 6 პ. 2 დ), შარპი (19 ქ. 5 ჩ), ბერშტაინი (17 ქ. 5 პ), ელიაჰუ (14 ქ. 6 მ. 5 პ).

**ციბონა:** უორენი (23 ქ. 6 მ), კუსი (19 ქ), კრაშიჩი (15 ქ. 8 მ), ვიშნევსკი (11 ქ).

**პარტიზანი-ოლიმპია 106:60**

26:16, 32:12, 19:17, 29:15

**პარტიზანი:** კ. პეროვიჩი (20 ქ), პ. დრობნიაკი (19 ქ. 8 მ), ტრიპკოვიჩი (16 ქ), ვ. კამინგსი (13 ქ).

**ოლიმპია: მანუჩარ მარკოიშვილი (38 წუთი, 19 ქულა, 4 მოხსნა, 4 პასი, 4 ჩაჭრა, 3 შეცდომა, 5 ფოლი)**, არსლანი (11 ქ. 4 ჩ), ლორბეკი (10 ქ).

**უნიკახა-პანათინაიკოსი 67:61**

15:18, 19:12, 12:16, 21:15

**უნიკახა:** სანტიაგო (20 ქ. 8 მ), ბ. როდრიგესი (10 ქ. 4 ჩ), ხიმენესი (10 ქ. 7 მ).

**პანათინაიკოსი:** დიამანტიდისი (12 ქ. 2 ჩ), დიკუდისი (10 ქ).

| | მ/წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. პანათინაიკოსი | 11-1 | -108 |
| 2. მაკაბი | 7-5 | +52 |
| 3. ხუვენტუდი | 7-5 | +70 |
| 4. პარტიზანი | 5-7 | -2 |
| 5. ციბონა | 5-7 | -8 |
| 6. რომა | 5-7 | -38 |
| 7. უნიკახა | 5-7 | -90 |
| 8. ოლიმპია | 3-9 | -92 |

## C ჯგუფი

**არისი-ბენეტონი 65:60**

20:15, 10:19, 16:15, 19:11

**არისი:** კესტლი (22 ქ. 8 მ), სკეილსი (17 ქ), ილიადისი (10 ქ), მ. უილკინსონი (5 ქ. 11 მ. 5 ჩ. 2 დ).

**ბენეტონი:** ჯილი (14 ქ. 8 მ), მორდენტე (12 ქ. 6 მ), ზისისი (10 ქ. 3 ჩ), ლიდეი (11 ქ. 6 მ).

**ფენერბახჩე-ბარსელონა 82:69**

16:20, 16:16, 21:16, 29:17

**ფენერბახჩე:** კამბალა (20 ქ. 6 მ), სოლომონი (19 ქ. 3 ჩ), ქუთლუაი (11 ქ).

**ბარსელონა:** ფ. ვასკესი (17 ქ. 5 მ), ლაკოვიჩი (13 ქ. 6 პ), ბაზილე (12 ქ).

**პო ორტეზი-ნაპოლი 68:72**

18:18, 22:15, 19:18, 9:21

**პო-ორტეზი:** რ. გრირი (15 ქ. 6 მ), მ. რაიტი (14 ქ), მაილზი (11 ქ. 7 პ. 4 მ), სანდერსი (10 ქ. 3 ჩ).

**ნაპოლი:** როკა (18 ქ. 10 მ), ტრეპანიე (16 ქ), სესეი (14 ქ. 8 მ), მორანდაისი (13 ქ).

**ცსკა-ჟალგირისი 88:72**

24:17, 19:14, 18:26, 27:15

**ცსკა:** დ. ანდერსენი (18 ქ), ლენგდონი (15 ქ), ჰოლდენი (12 ქ), სავრასენკო (10 ქ), ვან დენ შპიგელი (10 ქ), პაპალუკასი (10 ქ. 9 პ. 2 ჩ).

**ჟალგირისი:** პენი (14 ქ), ტ. ბერდი (13 ქ. 8 მ), მასიულისი (13 ქ. 3 ჩ), კალნიეტისი (10 ქ).

| | მ/წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. ცსკა | 11-1 | +140 |
| 2. ბარსელონა | 8-4 | 62 |
| 3. ბენეტონი | 6-6 | +9 |
| 4. პო-ორტეზი | 6-6 | -2 |
| 5. არისი | 6-6 | -24 |
| 6. ფენერბახჩე | 5-7 | -20 |
| 7. ნაპოლი | 5-7 | -64 |
| 8. ჟალგირისი | 1-11 | -101 |

# TV სპორტი

## 20 იანვარი. შაბათი

### I არხი

17:00 ჭიდაობა. საქართველოს ჩემპიონატი. ფინალები (LIVE).
18:10 ჭიდაობა. საქართველოს ჩემპიონატი. ფინალები (LIVE).

### მზე

16:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ჩელსი (LIVE).
19:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ფულჰემი-ტოტენჰემი (LIVE).

### SPORT 1 (უკრაინა)

08:05 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-რეჯინა.
09:55 სპორტკლუბი.
10:00 სპორტინფორმი.
10:15 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
10:50 სპორტინფორმი.
10:55 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. კვალიფიკაცია. ახალი ზელანდია.
12:45 სპორტინფორმი.
13:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა 2005-06. მილანი-ბაიერნი.
13:50 სპორტინფორმი.
14:55 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
15:25 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი.
15:55 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-მინესოტა.
17:45 სპორტკლუბი.
18:15 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ლევერკუზენი-ჰამბურგი.
19:55 კრივი. რინგ-საიდი.
20:51 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. კვალიფიკაცია. ახალი ზელანდია.
22:38 ფეხბურთი.
23:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ოსასუნა (LIVE).
01:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-სევილია (LIVE).
02:55 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა 2006-07. ჩელსი-ბარსელონა.
04:45 სპორტკლუბი.
04:50 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-მინესოტა.
06:32 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-რეჯინა.

### EUROSPORT

12:15 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი. ქალები. სწრაფდაშვება. კორტინა დ'ამპეცო. იტალია (LIVE).
13:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სწრაფდაშვება. ვალ დ'იზერი. საფრანგეთი (LIVE).
15:15 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. VI დღე (LIVE).
16:15 ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. გამოდევნება. პოკლიუკა. სლოვენია (LIVE).
17:00 სნუკერი. მასტერსი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
19:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS134. ზაკოპანე. პოლონეთი (LIVE).
20:45 სნუკერი. მასტერსი. ლონდონი. ბრიტანეთი.
22:30 სნუკერი. მასტერსი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
00:00 რალი-რეიდი. დაკარი 2007. XIV ეტაპი.
00:45 სნუკერი. მასტერსი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
01:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მონაკო.
02:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. VI დღე.
03:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. VII დღე (LIVE).

### EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
11:30 ზამთრის უნივერსიადა. სამთო-სათხილამურო სპორტი. მამაკაცები. სლალომი. I ცდა. ტურინი. იტალია (LIVE).
12:30 საფეხბურთო პროგრამა. TOP 24.
13:00 ციგაობა. მსოფლიო თასი. ორადგილიანი. I ცდა. ალტენბერგი. გერმანია (LIVE).
13:30 კალათბურთი. ევროლიგა.
14:00 ციგაობა. მსოფლიო თასი. ორადგილიანი. II ცდა. ალტენბერგი. გერმანია (LIVE).
14:30 ზამთრის უნივერსიადა. სამთო-სათხილამურო სპორტი. მამაკაცები. სლალომი. II ცდა. ტურინი. იტალია (LIVE).
15:30 ციგაობა. მსოფლიო თასი. ქალები. I ცდა. ალტენბერგი. გერმანია (LIVE).
16:15 ზამთრის უნივერსიადა. ტრამპლინიდან ხტომა. გუნდური. K95. ტურინი. იტალია.
16:45 ციგაობა. მსოფლიო თასი. ქალები. II ცდა. ალტენბერგი. გერმანია (LIVE).
17:30 მულტისპორტი.
18:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ტურნირი. III ტური. ლარვიკი (ნორვეგია)-ვიბორგი (დანია) (LIVE).
19:30 ბალახის ჰოკეი. ჩემპიონს ტროფი. ქალები. ჰოლანდია-გერმანია. კილმესი. არგენტინა (LIVE).
20:45 ახალი ამბები.
21:30 ბალახის ჰოკეი. ჩემპიონს ტროფი. ქალები. ესპანეთი-იაპონია. კილმესი. არგენტინა (LIVE).
23:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ტურნირი. III ტური. ლარვიკი (ნორვეგია)-ვიბორგი (დანია).
00:00 ექსტრემალური სპორტი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 ბალახის ჰოკეი. ჩემპიონს ტროფი. ქალები. ესპანეთი-იაპონია. კილმესი. არგენტინა.
02:15 ახალი ამბები.

## 21 იანვარი. კვირა

### I არხი

18:10 ჭიდაობა. საქართველოს ჩემპიონატი. ფინალები (LIVE).
00:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-სარაგოსა (LIVE).

### მზე

20:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-მანჩესტ იუნ (LIVE).

### SPORT 1 (უკრაინა)

08:45 კრივი. რინგ-საიდი. 2006 წლის შედეგები.
09:15 სპორტკლუბი.
09:22 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ლევერკუზენი-ჰამბურგი.
11:06 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. კვალიფიკაცია. ახალი ზელანდია.
13:11 სპორტკლუბი.
14:00 ფიტნესი.
14:25 ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. სანტოსი-სან კაეტანო.
16:13 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. რეინჯერსი-ატლანტა.
18:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-ფიორენტინა (LIVE).
20:00 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
20:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ლივორნო-რომა.
22:20 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:20 სპორტკლუბი.
23:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-მილანი (LIVE).
01:15 სპორტკლუბი.
01:25 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი.
03:10 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა 2006-07. ოლიმპიაკოსი-რომა.
05:00 ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. სანტოსი-სან კაეტანო.
06:45 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
07:40 ფიტნესი.

### EUROSPORT

14:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. მას-სტარტი. პოკლიუკა. სლოვენია (LIVE).
14:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS134. ზაკოპანე. პოლონეთი (LIVE).
15:15 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი. ქალები. სლალომი. II ცდა. კორტინა დ'ამპეცო. იტალია (LIVE).
15:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS134. ზაკოპანე. პოლონეთი (LIVE).
17:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. მას-სტარტი. პოკლიუკა. სლოვენია.
18:00 სნუკერი. მასტერსი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
21:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. მას-სტარტი. პოკლიუკა. სლოვენია.
21:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. მას-სტარტი. პოკლიუკა. სლოვენია.
22:00 ზამთრის სახეობები. ტელეჟურნალი.
22:30 რალი-რეიდი.
23:00 სნუკერი. მასტერსი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
02:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მონაკო.
02:30 ზამთრის სახეობები. ტელეჟურნალი.
03:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მონაკო.

### EUROSPORT 2

09:30 ახალი ამბები.
11:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მონაკო (LIVE).
12:30 თხილამურებით რბოლა. მსოფლიო თასი. რიბინსკი. რუსეთი (LIVE).
13:30 ზამთრის უნივერსიადა. სამთო-სათხილამურო სპორტი. ქალები. სლალომი. I ცდა. ტურინი. იტალია.
14:30 ზამთრის უნივერსიადა. სამთო-სათხილამურო სპორტი. ქალები. სლალომი. II ცდა. ტურინი. იტალია (LIVE).
15:30 ციგაობა. მსოფლიო თასი. მამაკაცები. II ცდა. ალტენბერგი. გერმანია (LIVE).
16:30 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ტურნირი. III ტური. ლარვიკი (ნორვეგია)-ვიბორგი (დანია).
17:45 ბალახის ჰოკეი. ჩემპიონს ტროფი. ქალები. ესპანეთი-იაპონია. კილმესი. არგენტინა.
18:45 ბალახის ჰოკეი. ჩემპიონს ტროფი. ქალები. არგენტინა-ავსტრალია. კილმესი. არგენტინა.
20:00 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ესტუდიანტესი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 ლაკროსი.
00:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ტურნირი. III ტური. ლარვიკი (ნორვეგია)-ვიბორგი (დანია).
00:30 ბალახის ჰოკეი. ჩემპიონს ტროფი. ქალები. მე-3 ადგილისთვის. კილმესი. არგენტინა (LIVE).
02:00 ახალი ამბები.
03:15 ბალახის ჰოკეი. ჩემპიონს ტროფი. ქალები. ფინალი. კილმესი. არგენტინა (LIVE).
04:45 ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

### ინგლისი

**I ლიგა**

| | |
|---|---|
| ტრანმერი-ბრედფორდი | 1:1 |

**II ლიგა**

| | |
|---|---|
| შრიუსბერი-როჩდეილი | გადაიდო |

### იტალია

**სერია B**

| | |
|---|---|
| ჯენოა-მანტოვა | 2:1 |

**სერია C1/A**

| | |
|---|---|
| პადოვა-ვენეცია | 1:0 |

### გერმანია

**II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| კარლ ცაისი-ოფენბახი | 2:3 |
| ესენი-კაიზერი | 0:0 |
| უნტერჰახინგი-აუე | 1:1 |

### საფრანგეთის თასი

| | |
|---|---|
| ამიენი-ნანტი | 1:3 |

### ჰოლანდია

| | |
|---|---|
| დენ ჰააგი-ალკმაარი | 1:3 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| აპელდოორნი-ომნივორლდი | 1:3 |
| გრააფსხაპ-კამბური | 3:1 |
| ეინდჰოვენი A-დორდრეხტი | 1:7 |
| ვოლენდამი-ცვოლე | 1:0 |
| იგლზი-ემენი | 2:0 |
| ჰაარლემი-როსენდალი | 1:1 |
| მაასტრიხტი-დენ ბოში | 1:1 |
| ტოპ ოსი-ტელსტარი | 3:3 |
| ვეენდამი-ჰელმონდი | 3:0 |
| ვენლო-ფორტუნა | 3:1 |

### ბელგია

| | |
|---|---|
| ვარეგემი-გენკი | 2:2 |

### თურქეთის თასი

| | |
|---|---|
| ქარსიაკა-ქაისერი | 0:2 |
| ბურსა-ერჩიესი | 2:4 |

## კალათბურთი

### საფრანგეთი

| | |
|---|---|
| შალონი-ნანსი | 86:84 |

## ჰოკეი

### გერმანია

| | |
|---|---|
| კრეფელდი-ინგოლშტადტი | 0:1 |
| აუგსბურგი-აისბარენი | 1:2 |
| ჰამბურგი-ისერლონი | 3:0 |
| კიოლნი-ჰანოვერი | 9:1 |
| ნიურნბერგი-დიუსელდორფი | 3:4 |
| ფრანკფურტი-მანჰაიმი | 6:4 |
| შტრაუბინგი-დუისბურგი | 4:4 ო.ტ. 5:4 |

### სლოვაკეთი

| | |
|---|---|
| მარტინი-კოშიცე | 1:3 |
| სკალიცა-ჟილინა | 5:3 |
| ნიტრა-პოპრადი | 3:1 |
| ტრენჩინი-მიკულაში | 2:2 ო.ტ. 3:2 |

### ჩეხეთი

| | |
|---|---|
| ვიტკოვიცე-კარლოვი ვარი | 1:5 |
| ზნოიმო-ტრშინეცი | 1:0 |
| ლიტვინოვი-სპარტა | 4:4 პენ. 4:5 |
| ბუდეიოვიცე-ლიბერეცი | 1:1 ო.ტ. 2:1 |
| პარდუბიცე-კლადნო | 1:3 |
| სლავია-ქლინი | 0:4 |

### შვეიცარია

| | |
|---|---|
| დავოსი-ლუგანო | 3:4 |

ავსტრალიის ღია პირველობა

# როჯერს ქორის თვალი გამოადგა


მარატს წაგება არ უყვარს, მაგრამ რას იზამს...

რაც უფრო უახლოვდება ფინალს ავსტრალიის ღია პირველობა, მით უფრო საინტერესო შეხვედრების მომსწრენი ხდებიან ჩოგბურთის მოყვარულები. გუშინ ტურნირის მესამე წრის შეხვედრები ჩატარდა და ალარავის უკვირს ის, რომ ერთმანეთს უკვე განთესილი მეჩოგნეებიც ხვდებიან.

ამჯერად, განთესილთა შორის არაა ტურნირის ყოფილი ჩემპიონი, რუსი **მარატ საფინი**, მაგრამ მისი ნებისმიერი გამოსვლა ყურადღების ცენტრში ექცევა. მით უმეტეს, როცა მეორე მხარეს ამერიკელი **ენდი როდიკი** დგას. მოკლედ, ამ ორი ჩოგბურთელის დაპირისპირება მიმდინარე ტურნირის მთავარ მოვლენად იქცა.

როდიკმა შეხვედრა ოთხ სეტში მოიგო. მან პირველივე სეტში მოიპოვა უპირატესობა, თუმცა მის მოსაგებად მაინც ტაიბრეიკი დასჭირდა. მეორე სეტი კი რადიკალურად განსხვავებული იყო. მასში სულ ოთხი ბრეიკი დაფიქსირდა, რომელთაგან სამს რუსმა მიაღწია და სეტიც თავის სასარგებლოდ დაასრულა.

თუმცა, ამით როდიკი არ გატყდა. მან სტაბილურად ჩაატარა მესამე სეტი, რომლის მიწურულს მეტოქის მოწოდებაზე იმარჯვა და სეტებში დაწინაურდა. მეოთხე სეტში რუსმა გაბრძოლება სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მეცხრე გეიმში კი როდიკმა კიდევ ერთ ბრეიკს მიაღწია და თითქოს, თავის სერვისზე შეხვედრისთვის გამარჯვების წერტილიც უნდა დაესვა, მაგრამ საფინმა იქვე საპასუხო ბრეიკი შეაგება და სეტი ტაიბრეიკზე გადაიყვანა, სადაც მეტოქეს ჯეროვანი წინაამდეგობა ველარ გაუწია.

*"როცა კენჭისყრის შედეგებს გავეცანი და ვნახე, რომ მესამე ეტაპზევე მიწევდა საფინთან თამაში, ჩემდაუნებურად ვთქვი - რატომ მე-მეთქი. მან რომ აქ ბოლოს ითამაშა, ჩემპიონი გახდა. მოკლედ, ვიცოდი, რომ თუ მაქსიმალურად არ დავიხარჯებოდი, შინ ადრე წასვლა მომიწევდა. მინდა გითხრათ, რომ სხვა სლემ-ტურნირებისგან ავსტრალიისა ძალიან განსხვავებულია - აქ რომ მოდიხარ, იცი, რომ არავინ იქნება ფორმის პიკში. ყველა თანდათან შედის ფორმაში და ამიტომ, ბევრი სიურპრიზია მოსალოდნელი"*, - ყვებოდა თამაშის შემდეგ როდიკი.

მოკლედ, როდიკმა საფინს ავსტრალიის ღიაზე ცხრამატჩიანი წაუგებელი სერია შეაწყვეტინა. შეგახსენებთ, რომ რუსმა ეს ტურნირი 2005 წელს მოიგო, მაგრამ შარშან მელბურნში მუხლის ტრავმის გამო არ უთამაშია.

მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრა როდიკმა უკეთ დაიწყო, პირველ ბრეიკს მაინც მისმა ვიზავიმ მიაღწია. ეს მეშვიდე გეიმში მოხდა, როცა საფინმა "მშრალი" ბრეიკი აიღო. თუმცა, ამერიკელმა იქვე საკადრისი პასუხი გასცა. სეტი ტაიბრეიკზე გადავიდა, სადაც როდიკი თავიდანვე დაწინაურდა და სეტიც თავის სასარგებლოდ დაასრულა.

მეორე სეტი საოცრებას ჰგავდა, ამ საოცრების შემოქმედი კი საფინი გახდა, რომელმაც ზედიზედ ოთხი გეიმი მოიგო. ამერიკელმა ერთი ბრეიკი კი გაქვითა, მაგრამ ამის მეტი ვერაფერი მოახერხა და სეტიც საკმაოდ იოლად დათმო.

მესამე სეტი იმით დაიწყო, რომ საფინმა თავგანწირული თამაშისას თითის ტრავმა მიიღო, რის გამოც მან სამედიცინო პაუზა მოითხოვა. კორტზე დაბრუნებულმა, როდიკს ბრეიკი გაუქვითა და ანგარიში გაათანაბრა - 4:4. თითქოს, ამჯერადაც საქმე ტაიბრეიკამდე უნდა მისულიყო, მაგრამ როდიკმა ასე არ ისურვა. მომდევნო გეიმშივე კიდევ ერთხელ აიღო ქულა მეტოქის მოწოდებაზე, რასაც თავის სერვისზე კუთვნილი ქულის მოპოვება და სეტის მოგება მოჰყვა.

მეოთხე სეტის დასაწყისში გაწვიმდა, რის გამოც, ორგანიზატორებმა თამაში მცირე ხნით შეწყვიტეს, კორტი გადახურეს და ჩოგბურთელებს კვლავ კორტზე უხმეს. ამაზე საფინმა უკმაყოფილება გამოთქვა (რატომ, არავინ იცის) - ტურნირი ხომ ღია კორტზე ტარდებაო, მაგრამ ამაზე მხოლოდ გაფრთხილებით უპასუხეს. თუმცა, რუსის დაოკება არ მოხერხდა. ის გეიმებს შორის პაუზებს ემპაიერთან საკამათოდ იყენებდა, რითაც პირველ რიგში, თავის თავს ავნო.

მეცხრე გეიმში როდიკმა სამი ბრეიკ პოინტი მიიღო, მაგრამ საფინმა ყველა გაქვითა და საქმე კვლავ ტაიბრეიკამდე მიიყვანა. აქ კი ამერიკელი თავიდანვე დაწინაურდა და მოპოვებული უპირატესობა ხელიდან ალარ გაუშვია.

ამგვარად, ამ ორი მეჩოგნის ურთიერთშეხვედრებში ამერიკელი 4:3 დაწინაურდა. მეოთხე წრეში კი ის ხორვატ **მარიო ანჩიჩს** შეხვდება. შეგახსენებთ, რომ როდიკმა ავსტრალიის ღია პირველობაზე ორჯერ (2003 და 2005 წლებში) მიაღწია ნახევარფინალს.

მესამე წრე კი **როჯერ ფედერერმა** და **სერენა უილიამსმა** გახსნეს. ამერიკელს სამი სეტი დასჭირდა მეხუთე ნომრად განთესილ რუს **ნადია პეტროვას** დასამარცხებლად. არადა, პირველი სეტი დათმო და მეორესაც 5:4 აგებდა, როცა რუსის მოწოდების ჯერი დადგა. მაგრამ ამერიკელმა კიდევ ერთხელ დაიძვრინა თავი. ჯერ ანგარიში გაათანაბრა, შემდეგ კი ზედიზედ ორი გეიმი მოიგო და სეტებში ანგარიში გაათანაბრა, რის შემდეგაც პრობლემა თითქმის ალარ შექმნია.

ფედერერს კი პრობლემები მსაჯის გადაწყვეტილებებმა შეუქმნა. ტურნირის წინ რომ ვიდეოჩანაწერების გამოყენებას აკრიტიკებდა, ახლა თავად დასჭირდა "ქორის თვალის" გამოყენება და ასე განსაჯეთ, ამით კიდევაც იხეირა. პირველად ეს პირველი სეტის მიწურულს მოხდა, როცა მსოფლიოსა და ტურნირის პირველი ჩოგანი სეტ პოინტზე აწოდებდა. ემპაიერმა "აუტი" დააფიქსირა, მაგრამ შვეიცარიელმა ვიდეოჩანაწერის განხილვა ითხოვა და მისი წყალობით, ემპაიერს გადაწყვეტილება შეაცვლევინა - 6:3.

როგორც ჩანს, ფედერერს მოეწონა, რომ ქულა დაუბრუნეს და ვიდეოჩანაწერით მესამე სეტშიც რამდენჯერმე ისარგებლა. ოლონდ, ერთ-ერთ შემთხვევაში სანადელს ვერ მიაღწია. თუმცა, ამას მისთვის მოგებაში ხელი არ შეუშლია. ფედერერის მომდევნო მეტოქეა სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი**, რომელმაც ოთხ სეტში მოუგო ტაილანდელ **დანაი უდომჩოკეს**.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

### კაცები. III წრე

**როჯერ ფედერერი (1)** - მიხაილ იუჟნი (25) 6:3, 6:3, 7:6(5); **ენდი როდიკი (6)** - მარატ საფინი (26) 7:6(2), 2:6, 6:4, 7:6(2); **ტომი რობრედო (7)** - სემ ქვერი 6:4, 6:7(5), 6:2, 6:1; **რიშარ გასკე (18)** - დომინიკ ჰრბატი (22) 6:3, 6:2, 6:1; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (14)** - დანაი უდომჩოკე 6:3, 6:4, 5:7, 6:1; **დავიდ ფერერი (16)** - რადეკ სტეპანეკი (20) 6:7(5), 4:6, 6:0, 6:4, 6:3; **რიშარ გასკე (18)** - გაელ მონფილსი 6:0, 4:6, 7:5, 6:3; **მერდი ფიში** - უეინ არტურსი 3:0 არტურსი გამოეთიშა

### ქალები. III წრე

**ამელი მორესმო (2)** - ევა ბირნეროვა 6:3, 6:1; **სვეტლანა კუზნეცოვა (3)** - ნადია პეტროვა (5) 6:1, 6:4; **სერენა უილიამსი** - ნადია პეტროვა (5) 1:6, 7:5, 6:3; **ელენა დემენტიევა (7)** - მარია კამერინი 6:1, 6:3; **ნიკოლ ვაიდიშოვა (10)** - კატარინა სრებოტნიკი (21) 6:4, 6:4; **ელენა იანკოვიჩი (11)** - ვიქტორია აზარენკა 6:3, 6:4; **შაჰარ პეერი (16)** - ტატიანა გოლოვინი (20) 3:6, 7:7, 7:5; **ლუსი საფაროვა** - ანასტასია იაკიმოვა 6:3 იაკიმოვა გამოეთიშა



ტურ დე ფრანსი

# დოპინგზე პერეიროც ჩავარდა

ასე გაგრძელდა, შარშანდელ ტურ დე ფრანსს ჩემპიონი ალარ ეყოლება. ყოველ შემთხვევაში, ახლა ირკვევა, რომ თურმე, რბოლის მსვლელობისას ჩატარებულ ორ ტესტზე, ესპანელ ველომრბოლს აკრძალული პრეპარატი სალბუტამოლი აღმოუჩინეს.

ამ ინფორმაციას ფრანგული გაზეთი "ლე მონდი" ავრცელებს. მის პუბლიკაციაში ნათქვამია, რომ პერეიროს მე-14 და მე- 16 ეტაპების შემდეგ ჩატარებულ ტესტებზე აღმოუჩინეს სალბუტამოლის (ასთმის წამალია) ჭარბი დოზა. ორივე შემთხვევაში ესპანელ ველომრბოლს უთქვამს, რომ ამ პრეპარატს ექიმთა მიერ დანიშნული რეცეპტით იყენებს, თუმცა შესაბამისი საბუთები არ წარმოუდგენია.

*"პერეიროს ამ პრეპარატის კვალი ორჯერ, გაპისა და ლა ტუსურის შემდეგ აღმოვუჩინეთ, მაგრამ ორივეჯერ ახსნა-განმარტებაში დაწერა, რომ TUE-თი (გამონაკლისი თერაპიული საჭიროებისთვის). ჩვენ მას მოვთხოვეთ, რომ თავისი განმარტების სამედიცინო დასაბუთება ოფიციალურად გამოეგზავნა, მაგრამ აქამდე პასუხი არ მიგვილია. ჩვენ დიდხანს ლოდინს ალარ ვაპირებთ. თუ 25 იანვრამდე პასუხს არ მივიღებთ, მაშინ საქმეს საფრანგეთის დოპინგ-საწინააღმდეგო სააგენტო განიხილავს"*, - ამბობს ტურ დე ფრანსის ორგანიზატორის, კომპანია "ამორი სპორტ ორგანიზასიონის" პრესმდივანი **მატიე დეპლა**.

სხვათა შორის, საფრანგეთის დოპინგ-საწინააღმდეგო სააგენტომ (AFLD) განმარტება ველოსპორტის საერთაშორისო კავშირისგანაც მოითხოვა იმ იმედით, რომ კავშირში ეცოდინებოდათ პერეიროს სამკურნალო დანიშნულების შესახებ. თუმცა, პასუხი აქამდე არც იქიდან მიულიათ.

იმ შემთხვევაში, თუ AFLD პერეიროს ბრალს სცნობს, მაშინ ესპანელ ველომრბოლს საფრანგეთში ასპარეზობა აეკრძალება. გარდა ამისა, მას ტურზე შარშან ნაჩვენებ მეორე შედეგსაც გაუუქმებენ და არც წლევანდელ რბოლაში დაუშვებენ.

ამ ამბავმა გააოგნა ესპანეთის სპორტული კავშირი, რომლის დირექტორი რაფაელ ბლანკო აცხადებს, რომ მის ორგანიზაციას AFLD-ისგან არანაირი შეტყობინება და წერილი არ მიულია. *"ჩვენი აზრით, ამ ტესტების შედეგები არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც დადებითი პასუხი. ეს სკანდალური საკითხი საფრანგეთის ორ ორგანიზაციას შორის გაუგებრობისა და შეუთანხმებელი მოქმედების შედეგია. თუ ტესტის ჩატარების შემდეგ რაიმე ეჭვი წარმოიქმნა, მაშინ შესაბამისი საბუთები მაშინვე უნდა მოეთხოვათ"*, - ამბობს ბლანკო.

რა თქმა უნდა, ყველაზე საინტერესო თავად პერეიროს მოსაზრებაა. ის ამბობს, რომ ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის ნებართვით, პრეპარატ ვენტოლინს იყენებს. ეს ასთმის სამკურნალო პრეპარატია, რომელიც სალბუტამოლს შეიცავს. თუმცა, AFLD-ი ირწმუნება, რომ ესპანელ ველომრბოლს შესაბამისი საბუთები არ აქვს.

პერეიროს გუნდი "კაისე დ'ეპარნი" ყოველივეს დაუდევრობას აბრალებს. *"ოსკარმა AFLD-ისგან ორი წერილი მიიღო, მაგრამ როგორც ჩანს, მას პასუხის მიწერა დაავიწყდა. ყოველ შემთხვევაში, შეგვიძლია ყველა დავარწმუნოთ იმაში, რომ ასეთი საბუთები არსებობს"*, - ნათქვამია ესპანური გუნდის განცხადებაში.

**მერაბ ლორთქიფანიძე**


ოსკარ პერეირო ტურზე ასპარეზობისას

სპორტული გაზეთი
მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე
დირექტორი
პაატა გელაშვილი
რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი
ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე
უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე
რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი
ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე
ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში
ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი
კორექტურა
ლევან ბიბილაშვილი
ლელა ხომასურიძე
გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), ბივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე
მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაძარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ეზანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1984-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14, 0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა, 0159 თბილისი (დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა